

899.962.1(05)

3-89.

საქონლები

პროლეტარებო უცხლუ მაჟინისა, უშერთდეთი.

წელიწადი მესამე

პროლეტარები მცხვნისა

№ 9

(33)

სეიჭელშენი

1929

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის
ყოველობიური ორგანიზაციის

ბ. ბუბჩიძის, ი. გაკელის, ვ. ლუარსაშვილის, ა. მაშაველილის,
შ. რადიანის და დ. როდიოლის რედაქციით


ვ. ნარიშვალი

ხოლო მუშა აგრძელება აგრძელება

(ყოფა-ცხოვრება საბჭოთა სოფელში)

თენდება, გარბის მინდორზე მხეცი,
მშერია თუ ლეშით მაძღარი,
ცის აღმოსავლეთს უჩნდება ცეცხლი —
ამომავალ მზის რუხი ხანძარი.
ათას კავებთან იწყება შებმა,
ხარ-კამეჩებით გამოდის „ძველი“,
ჩამოსულ ხოლო თვალწინ იშლება
საბრძოლი სივრცე, საბრძოლი ველი.

პირველს მეორე ეზო მიჰყვება,
შუა საზღვარი და ნაშენია;
მათ შორის ჩხუბი ასე იწყება:
„ეს მიწა ჩემია. ეს მიწა შენია“.
„აქ სახურგოზე ხე არი დარგული,
იქით გადასვლა მე არ მინდება,
აქეთ არ გნახო ფეხებ დადგმული,
გათამიც ნულარ გადმოფრინდება“.



ერთიც, მეორეც იყო ღარიბი,
მათ შეა ნაჯახმა გააპო ძმობა;
ერთმა გამრუდა ზღვარი და გოჯი
მეზობლის მიწა შემოილობა.
ათასი ეზო, ათასი ღობე,
მთელი სოფელი მიჭრილ-მოჭრილი,
ათასი ზღვარი, ათასი გზები —
გზები შეკრული და შებოჭილი
აი საბრძოლი გარემოება...
ზღუდე ქვიტკირის და აკაციის.
მოვიდა ხოლტი, რომ ეზოები
წაშალოს გმირულ აგიტაციით.

ვინმეს ამაოდ გაუაზრია
„ძირს ეზოები“-ს დროშა დახაროს,
ომში გამოსულ ხოლტის რაზმია:
ცალხარიანი და უცალხარო.
ხოლტზე შემჯდარი ჯან-გულმამაცი
„ცალხარიანი“, მატორს განაგებს.
ააგუგუნა რკინის ვაჟკაცი
ეპოქის გმირმა და მოქალაქემ.

ველზე გუგუნებს შავი მდევარი
ოცდახუთ ცხენის ძალის სიმკაცრით,
უკვე მტრის მიწის მდებარეობას
მიუახლოვდა რკინის ვაჟკაცი.
მტერს შეეჯახა ჯარისკაცივით:
„ომს გიცხადებ! მოგერევი!
არა სიტყვიერ აგიტაციით“ —
აყარა ხურგი და გაარღვია
ზღუდე ქვიტკირის და აკაციის.

ისევ გუგუნებს შავი მდევარი
ოცდახუთ ცხენის ძალის სიმკაცრით,
გარღვეულ ეზოს მდებარეობას
უკვე გასცილდა რკინის ვაჟკაცი.
შავ ყამირს ებრძვის შავი მდევარი
ოცდახუთ ცხენის ძალის სიმკაცრით,

დგას გუთანი და ოთხი ყევარი,
 დგას, ხოლტს უცქერის მდიდარი ქაცი;
 გაარამებულს გულშივე უთქვაში:
 „სიამოვნებით დავშლიდი გუთანს,
 რომ მანქანები მყავდეს მონებად,
 რომ ხოლტი იყოს ჩემი ქონება“.
 ხოლტი გუგუნებს: ძირს ეზოები!
 თავგამეტებულ ჯარისკაციებით:
 „უცალხარონი“ ქმნიან კომუნას
 ამხანაგ ხოლტის აგიტაციით.

ველზე მიწყნარდა ხოლტის გუგუნი.
 დაალევინეს ბაქოს ბენზინი.
 მინდვრად, მთელი ღღე ნამუშევარი
 დგას კომუნიზმის აგიტატორი.

თავისებური ვახშამი უნდა
 მოქალაქე ხოლტს.

რუხი ლამე დამდგარიყო,
 ჩამქრალიყო შუქი მზისა,
 ჩამდგარიყო, გამქრალიყო
 სიცხე დღის და მტვერი გზისა —
 გაშავებულ მინდორ-ველზე
 „ნისლი იდგა შავი ზღვისა“.

ჯოგს გამოთიშა ბებერმა ბულა,
 ბულა იქნება კერძი ხვალისა,
 მას იზიდავდა წინეთ კისერი
 გამძლეობა და ღონე ხარისა...
 ეხლა უყურებს როგორც ყასაბი —
 „ექნება ხორცი კარგი ხარისხის“.

ამაღლებული მიწა ქვიანი
 ღვარქათა სისხლით იყო სოველი,
 ბებერმა დაჰკლა ბულა რქიანი,
 ხორცით გააძლო „მთელი სოფელი“.
 როცა საკმაოდ შემოიღამა,
 სასაკლაოზე ჯოგმა იბლავლა,

ბუღას გლოვობდენ, დიღხან ბლაოდენ,
ნასისხლ მიწაზე რქით ბურღაობდენ.

ყოველ ზაფხულის სიცხე და ბნედა
ბერიკაცს სცემდა ვით მზის ლახვარი,
მუღამ ღარიბი გუთანის დედა
ბელტებს ებრძოდა კავით და ხარით.

იყო, არაა გასაკვირალი
ველზე ტრაქტორი შემოყვანილი,
ხოლტის სისტემის ვაჟკაცი,
რომელმაც ტეხა შავი ყამირი.

მოდის ბებერი, ვახშამმა დაღლილთ
ჯანი და გული გაახალისა,
თქვა ბერიკაცმა შუბლ გაღიმებით:
„შეირგეთ ხორცი ბუღა ხარისა,
მაგრამ ვინც ტეხა შავი ყამირი,
ბელტებს ბელტებზე გმირულ კეცავდა —
ხოლტზე მჯდომარე ვაჟკაცმა
მიირთვას კერძი გაორკეცებით“.

ეს ასე მოხდა: ლამე, ნისლი და
ყრუ სოფლის გული რომ გაებზარა,
მოხსნეს მატორი და ტფილისიღან
მივლინებაში მათ გაეგზავნა;
თავად დაშლის და თავად ააწყობს,
„ცალხარიანი“ უვლის, განაგებს,
ასვამს ბენზინს და ფოლადის სხეულს
თავის ნებაზე ალაპარაკებს.
მანქანის მმართველს სახე ეწვება,
უსმენს, მის გუგუნს გაუტაცია,
შავი მატორი ქედში ეწევა
კომუნისტური აგიტაციას.
ძირს საკუთრება! ძირს ეზოები! —
ასე გუგუნებს ეს მოქალაქე.
ვისაც ეკუთვნის, ვინც მას განაგებს
ხოლტი მის ენით ილაპარაკებს.

გადანერგილი *)

3

ქვირა დილაა.

სასწავლებლის ეზო სავსეა ახალგაზრდობით.

ქოჩორა ბიჭებს აცვიათ გულლია ხალათები, ზოგს უმკლავებო, ზოგს კიდევ უქამროდ, თავისუფლად.

ისინი მხიარული და ცოცხალი სახეებით დგანან ჯგუფ-ჯგუფად და ლაპარაკობენ, ოხუნჯობენ, ზოგი მათგანი საქმიანი კილოთი შეტყველებს, მაგრამ სიცილი მაინც შეუწყვეტელია მათში.

დღეს ტანცარჯიშული გამოსვლაა.

თეთრი ხალათებით და შავი მოკლე შარვლებით მოდებიან ეზოს ყმაწვილები და საზეიმო ელფერს იძლევიან.

ეზოს ერთ-ერთ კუთხეში ზის რამდენიმე ვაჟი, მათ შორის ერთი ქალია. ეს ერთი ქალი, რომელსაც თბა შეკრეჭილი აქვს და ფართო ლურჯი ხალათი მხრებამდე დამკლავებული, ტონს აძლევს ამ ჯგუფს.

ერთი ამბობს:

— ანეკდოტს გეტყვით, რამდენს გაცინებთ!..

— თუ მლაშეა საჭირო არ არის, — დასძენს ეს ქალი.

— მარო, იცი, უპასუხებენ მას, შენ თვალები დახუჭე და ვერა-ფერს ვერ გაიგებ. მე ვიწყებ, ამხანაგებო, ეს არის მღვდლისა, მისი ცოლის და დიაკვნის შესახებ.

— ვიცი, ვიცი, ეს ის ანეკდოტია თუ დიაკვანმა მღვდლის ცოლი...

მარომ თვალებზე ხელები მიიფარა. ყველას ეგონა რომ ის სირცევილისაგან გაწითლდა, მე კი ვიცი რომ ის ხელებს შიგნით ეშმაკურად იღიმება. სიტყვებმა გულში ღიტინი დაუწყეს.

— თქვენ, ეი, წამოხტა ერთი, შავი ხუჭუჭა თმით, ჩავარდნილ „შავივე თვალებით, ამას აეთანდილი ჰქვია, უჯრედში აქტივისტია, ერთი საკითხი არ არის გარჩეული ისე, რომ მას სიტყვა არ ეთქვას. ძლიერ უყვარს საკითხის პრინციპიალობამდე დაყვანა. ამ წუთას ის

*) დასაწყისი იხ. „პროლეტარული მწერლობის“ № 8.

მეტად გაჯავრდა, თვალები შავი ნაპარწკლებით გამოანათა, ხელები ნერვიულად აათამაშა და განაგრძო, — ქალიშვილთან უწმაწურზე პარაკობთ, მერე მარცხენა ხელი თმაზე გადისვა და მოულოდნელად გაჩუმდა.

ჯგუფმა ხმა ჩაიკმიდა.

ზოგმა უხერხულება იგრძნო. ისინი გულში ამბობდენ:

— მერე რა? — ეს ხომ ისე, ამხანაგურად...

ზოგმა კი ხელი ჩაიქნია და ჩუმი გინებით გვერდზე გასწია.

მცირე ხნის შემდეგ კი, როდესაც ავთანდილმა მარო მარტო დაიგულა, ფრთხილად მიუახლოვდა, გვერდში ამოუდგა და მარჯვენა ხელი მაჯაში ჩასჭიდა.

— მარო, — მიმართა ჩუმად და ჭარხალივით აწითლებული სახე სხვების შეუმჩნევლად ოდნავ მისკენ მიიბრუნა.

ავთანდილს უყვარდა მარო. სიტყვაც კი მისცა რომ განუყრელები იქნებიან და ეხლა მას თავისად გრძნობდა. სწყინდა ავთანდილს როდესაც მაროსთან უშნო სიტყვებს ხმარობდენ.

— რა გინდა?!. წყრომის მაგვარი ხმით მიაძახა მარომ.

— ხომ ხედავ როგორი... ვეღარ დაამთავრა სიტყვა ავთანდილმა.

— აბა რა, რა მოხდა?!. ჯავრიანი ნერვიულობით გამოეხმაურა ისევ. ქმრობას კი ნუ მიწყებ ეხლავე, თუ გინდა ამხანაგი იყავი, თუ არა და... სიტყვა აღარ დაამთავრა. გაშეშებული სახტად დასტოვა მოსაუბრე, თვითონ კი ქალების ჯგუფს შეერია.

დარჩა ავთანდილი მარტო. დარჩა მასთან ახალი ფიქრი. მას უნდა გაეგო რას ნიშნავდა, — „თუ არა და“.

ეზოს განაპირა მხარეს, აივნის ძირში დარბაზია დიდი. მოისმის იქიდან სასულე ორკესტრის ხმა. რაკრაკებს კლარნეტი. გუგუნებს ბასი და დროგამოშვებით კი დიდი ბარაბანი ხმაურდება ხოლმე დამფეთიანებელი ხმით.

უფრო შორს კი, ეზოს სილრმეში, საიდანაც მტკვარს გადასცერის თვალი, სხედან თავწავარდნილი მომღერლები.

ისინი ხალისიანად და თავდავიწყებით გაიძახია:

„ხუცესს ჰყავდა ერთი ძალლი, მას ის უყვარდა“...

და ამ სიმღერას ადევნებენ ხელებს, ფეხებს, თავებს, — დამთავრებისას კი ყველანი აყოლებენ ერთ მთლიან და ძლიერ ხარხას.

ცოტა დროც და ალაყაფის კარი გაიღო. ოთხ მწერივად დაწყობილნი შემოვიდენ ქალთა სკოლიდან მოწაფეები. რუს წინსაფრებში გამოწყობილნი ისინი აღგავდენ არეულ განუზომელ ნაბიჯებს, ამაოდ გაპკივოდა მათი წინამძლოლი:

— ერთი, ორი, სამი!.. რადგან ისინი ყურადღებას არ აქვთ ვდენ
მის ძალის.

შემოვიდენ. ცალ მხარეს მოეწყენ.

შუადღისას სასულე ორკესტრი შეწყობილად აგუგუნდა.
ხმაური შესწყდა.

გამოვოგდა ეზოში ორძელი, მაგიდა, სწრაფად ააგეს ლერძი.

აივანზედ უჯრედის მდივანი გადმოდგა. მშვიდი, აუღელვებელი,
ტანწვრილი და ტანსწორი ყმაწვილი. გულმოდგინეთ გადავარცხნილი
ქერა თმით, ჭროლა თვალებით.

გადმოისროლა თბილი და მხურვალე სიტყვა:

— ამხანაგებო!..

გაჩუმდა. კარგა ხანს ჩუმად იდგა და იცქირებოდა პატარ-პატარა
ტალღებად აშლილ სახეებზე:

მისმა დუმილმა ყველა დაადუმა.

— სიტყვა რა საჭიროა. განაგრძნო მან ნაწყვეტ-ნაწყვეტად. ჩვე-
ნი უჯრედის ჯანსაღი სხეული დაგვანახვებს თავის ძლიერ სულს.

მან ილაპარაკა ახალგაზრდობასა და ტანვარჯიშობაზე.

და როდესაც სიტყვა დაამთავრა, აგუგუნდა ტაში. დასძხეს ვაშა.
ორკესტრმა ინტერნაციონალის ერთი მუხლი შეასრულა და ქვლავ
დუმილი დამყარდა.

ჩამოვიდა მღივანი აიგნიდან ძირს. მას მიუახლოვდა მასავით ტან-
სწორი და ღიმილვადაკრული ქალი.

— სერგო, მე ვრცელ სიტყვას მოველოდი.

— ჩემ სიტყვაზე საქმიანი, ის იქნება რაზედაც მე უნდა მე-
ლაპარაკა.

გვერდში ამოუდგა. ქამარში ხელი ჩასჭიდა და ნახევრად და-
ეყრდნო. გრძნობდა თავის გვერდში ამხანაგს. ნამდვილს, შეუცვლელს.
მას გული, არასოდეს ვნებათა ღელვით არ ასტკივებია, არც გულის
აჩვილებით მოსწოლია გრძნობები, მაგრამ სჯერა რომ სერგო მისი
ერთად-ერთია და უცვლელი.

ცეხში და უჯრედში ერთად მუშაობენ. მეგობრებად გრძნო-
შენ თავს.

აგუგუნდა ორკესტრი.

სწორი განზომილი ნაბიჯებით გამოვიდა მოვარჯიშეთა ჯგუფი.
შექმნილ ოთხკუთხედში შემოუარა წრე და გაჩერდენ პირველ
იარაღთან.

თავმომწონე ბიჭები იყვნენ ისინი. ვიდრე წრეს შემოვლილენ, იხედებოდენ ირგვლივ, ათვალიერებდენ ნაცნობებს. მათ ტიტულიდა დაკუნთულ სხეულზე სიცოცხლისა და სიჯანსალის ელფერი კოთოდა.

ჯგუფის ხელმძღვანელი ვარლამი ალბათ თვრამეტი წლის ბიჭია. მის შავგრემან სახეს სიყმაშვილვაჟოდ ამეტყველებს ოდნავ ბუსუს-მოდებული ზევითა ბაგე.

ვარლამის თვალი მაშინვე ქალთა გუნდისკენ გადავარდა; თავ-მომწონეთ ადგავდა ნაბიჯებს და ჩვეულებრივი უბრალოებით ათვა-ლიერებდა მათ. რამდენჯერ ყოფილა მათთან სასწავლებელში, საღა-მოებზე, გასამართლებებზე. ვის არ მოუსმენია მისი სიტყვა, მის მკლა-ვის ძალა, მისი ხერხი.

უცბად მისი თვალები მთვარისაზე დაეცა და იმავე წაშსვე ვარ-ლამი ტანში შეირხა, გასწორდა, თითქოს მოხრილობა იგრძნოო, აკოხ-ტავდა და მტკიცე ლამაზი ნაბიჯებით განაგრძო სვლა.

— ვინ არის?.. გაიტარა ვონებაში.

— რა კარგია!.. დაუმიატა გულში და ერთხელ კიდევ შეხედა, ჩააშტერდა.

დაიბნა მთვარისა.

წინსაფრის მაჯებს თვალებითა და თითებით ძიძგნა დაუწყო.

უკვირდა. რათ უცქერის ასე დაუინებით. ვინ არის?.. არც ნაცნ-ბია, არც ნათესავი. ფშავობისაც არაფერი ეტყობა. სხვა მიწისაა და სხვა წყლის.

ასე თბილად, ასე ტკბილად რად გადმომხედა?..

იდგა და ფიქრობდა.

— სმენა!.. გაისმა სიტყვა და მთლიანი სიჩუმე ბადესავით გაიშალა. ჯგუფმა ვარჯიშობა დაიწყო.

ვარლამი მუდამ პირველი იწყებს.

მისი წვრილი და სწორი ტანი ლერწამივით იზნიქება წელში და ტრიალებს ლერძის ირგვლივ.

ვარჯიში პირველი:

გაქნევი დიდი და წყნარი. უკუქნევზე ასკლა. შემოსწრაფა. მერე სამი აღმატრიალი და შორი ლამაზი ქვევლა.

მისდევენ მოვარჯიშენი ერთმანეთს და სრიალებენ ლერძის ირგვლივ.

მათ შორის განსაკუთრებით გამოკრთის ვარლამი. ის თავისებურ ფორმასა და სტილს აძლევს ყოველ ვარჯიშს. უმატებს თავის სურვილისამებრ სხვადასხვა ელემენტებს და როდესაც რწმუნდება რომ მან ყველაზე უკეთესი და ლამაზი ვარჯიში შეასრულა გულ-

მშვიდი სიამაყით უბრუნდება ჯგუფს. მერე მალულად გადაპედაგის
ხოლმე მთვარისას, თითქოს სურს შეეკიოხოს: „მოგწონს თუ არა უკავშიროება მაგრამ მთვარისას, უურადღება დაჭიმული დგას. თითოეული რთული ვარჯიშის დროს, ტერთიდან ცერებამდე იწევა, სხეულში შიშის ძრუანტელი გაურბის და თრთის, თითქოს სურს დაეხმაროს სახითათო მდგომარეობაში ყოფნის დროს.

მაგრამ მოვარჯიშენი ერთიმეორეს მიჰყებიან, სცვლიან ერთ მანეთს. ნაირ-ნაირ სურათებს იძლევიან.

იარალი შესცვალეს. გადავიდენ მაგიდაზე.

როგორც მერცხლები ისე გადაპეროდენ მაგიდის თავზე.

აქაც ვარლამი ნებისმიერ ვარჯიშებს ასრულებდა. ღურვის მაგიდაც აკეთებდა ფეხშლას ხელყირით და არღვევდა ჯგუფის სილამაზეს.

— ეი, ვარლამ, რას შვრები!?

— რათ ასხვაფერებ!?. ბუზღუნებდენ ბიჭები.

ის კი წყრომით უპასუხებდა:

— მე როგორც ხელმძღვანელს უფლება მაქვს.

რა შეეძლოთ მათ. ჩუმდებოდენ. ხმას იქმნდდენ.

ირჩეოდა მათში ვარლამი. ის ცდილობდა გამოსიაშვოდა ვარჯიშობის მოლიან სურათს და ცალკე სახე შეექმნა. მხოლოდ ის აზრი ასულდებულებდა, რომ დაეჩრდილა ყველა და მთელი ყურადღება ოკითონ მიეპყრო.

მართლაც უპატრონო, განცალკევებულ დროშასავით ფრიალებდა ის ამ დროშების მთელ წყებაში.

უცქეროდა მთვარისა ვარჯიშს.

უცქეროდა განსაკუთრებით ვარლამს.

ვარლამიც დროგამოშვებით, როგორც მჭრელ ისრებს, ისე ჩაასობდა ხოლმე ორი ვიშერი თვალის მზერას თითქოს ამით ეკითხებოდა: „როგორ მოგწონვარ?..“

მთვარისას პასუხი გულში უგროვდებოდა. ეს პასუხი როგორც მორევი ისე დატრიალდა მის გულში და ააშფოთა.

ფართოდ დახსნილი თვალებით, გაგანიერებული გუგებით, მისჩერებოდა მისოვის უცნობ სანახაობას და თან ფიქრობდა: „მამაცია, ყოჩალი, თვალი ნუ დამიბნელდება...“

არ უნახავს არასოდეს ასეთი რამ.

ყოფილა ფშავეთში დღეობებზე, საღაც ფაუკაცნი შევაიბრებიან ერთმანეთს ხმლითა და ფარით მკლავის სიმტკიცეში.

უნახავს ნავარდი, როდესაც ჩაუქი ცხენს მუცელზე შემოჰკრობის. ან მიწამდე დაზნექილა, სავსე თასი აულია ძირიდან ან და ფრინველი მოუკლავს ჰაერში, ელვის სისწრაფით დაუცია ძირს ფრთებმოტებილი. ის, სივაჟუაცე ამასა ჰქვია — გაიფიქრა მთვარისამ და ვარლამისკენ გაიხედა.

„რას მიქვია უცხო ვაჟის გულთან მიკარება. ვინ არის ჩემთვის?.. არცა ძმაი, არცა ბიძა, არცა მოგვარე ვინმე, რას ვნაღვლობ მას“, — გაიტარა გონებაში მთვარისამ და თავი შეარხია, თითქოს ამით შემოიბერტყა ყოველი აკვიატებული ფიქრი მოწონებულ უცნობზე.

ვარჯიშობა გრძელდებოდა, მაგრამ მთვარისა უკვე ვეღარაფერს ხედავდა. ვარლამიც ამაოდ ცდილობდა ეჩვენებინა მისთვის ორძელზე ახალი ნაერთები. თვალა მღვრეული იდგა და მხოლოდ საკუთარ გულისცემას უგდებდა ყურს.

ტანვარჯიშობა დასასრულისკენ მიღიოდა.

თავდებოდა სანხხაობა.

დღე იხრებოდა სალამოსაკენ და ქალაქი დატოვებული სხივების ამარა დარჩა.

გრილი და წყნარი ბინდი დაეშვა ყველგან.

ვარლამი ერთხელ ნახულ მთვარისას თვალით ატარებდა, მთვარისა კი გულით.

4

ეს დილა მეტისმეტი უცნაური გათენდა. მზე არ გავდა მზეს და არც ცა ჩვეულებრივს. სისხლიანი ამოვიდა მზე, ოქროსფერი კი არა, წითელი, როგორც შუაგადაჭრილი მწიფე საზამთრო შავი ლაქებით. ცამ დაუხვედრა ნაირი ფერის ლრუბლები და შიგ ჩაიღვარა უცნაურ სხივებად.

ცაზე გადიშალა ჭრელი ქარაგმიანი ხალიჩა.

ექვსი საათი რომ შესრულდა სერგო საწოლიდან ადგა. საცვლების ამარა საწერ მაგიდასთან მივიდა. დამტვერიანებულ წიგნებს სინჯვა დაუწყო. „ლენინიზმის საკითხები“ გადაშალა. სხვადასხვა ადგილები გადიკითხა. იქვე მდებარე ქალალდზე ციტატები ამოსწერა და წიგნი დახურა.

რასაც კი ხელი შეახო ყველგან დააჩნდა მისი თითების ანაბეჭდი. მივიდა ისევ საწოლთან. იფიქრა: „დავწვე თუ არა?..“ მაგრამ წამსაც არ გაუვლია და უკვე უკანალ გახეულ შარვალში ფეხებსა ჰყოფდა.

— მე ვუჩვენებ დღეს ვარლამს. ყველამ თავი აიშვა. წაილაპარაკა ბუტაუტით და რამდენჯერმე თავი გააქნია.

გამოვიდა ოთახიდან გარეთ. ვიწრო შუბლის ქვეშ ორი პატარა
თვალი დაჭმულია და ახედა ცას.

ცა, როგორც ზევით ვსოდეთ, ქარაგმიან ხალიჩას ჰგავდა, ბრწყინ-
ვალეს, ნაირ-ფერიანს.

გაშტერებით უცირა. გაიკვირვა. მოეწონა. გზას კი მიჰყვებოდა.
ფიქრობდა: „როგორ მოვიქცე, ყველა თვითნებობს, ლაგამია საჭირო
თავებედებისთვის“ — გადასწყვიტა ღლეისთვის სხდომა მოიწვიოს, რომ
ეხლავე ჩაჰკლას ყოველგვარი გამრუდება.

ნახევარი საათის შემდეგ უკვე სახარატო ამქართან იყო. მუშაო-
ბის დაწყებას ბევრი დრო აკლდა. ამქრის წინ შეგროვილიყვნენ ასტა-
ტები, მუშები და მოწაფეები. ელოდენ ზარს.

საზეინკლო ამქართან ვარლამი გაბრუებული იდგა. მას კარგათ
არ გამოეძინა. ღამე ფიქრებში და პაპიროსის წევაში გაატარა.. დილა
კი შემოათეთოდა ღია თვალებზე და ფიქრები გაუშიშვლა. სწუხდა
ვარლამი. სწუხდა თავის თავდავიწყებაზე.

თანდათან ახმაურდა ეზო. ამქრების წინ ურიამული და ბაასი იყო.
სერგო რომ მოვიდა, გზაში ნაყიდი გაზეთი ამოილო ჯიბიდან
და კითხვა დაიწყო. მცირე ხნის შემდეგ მუშები შემოეხვივნენ და
სთხოვდენ ხმამალლა წაკითხვას. მათი სახეები იყო დაძაგრული, ამომ-
წვარი, მაგრამ სალი და ძლიერი. იცქირებოდენ მჭრელი ისრებით, ჩამ-
წვდომათ.

სერგომ კითხვა დაიწყო. მუშები უსმენდენ..

კმაყოფილება, აღმოსავალი და ჩვეულებრივი გულგრილობა ერ-
თი-მეორეს სცვლიდა მათ სახეებზე.

ზარი დაირეკა. აიშალა ჯგუფები. ზოგი ღინჯად და ზოგი ზან-
ტად გაემართენ სამუშაოსკენ.

— ი, ახალგაზრდაც ასეთი უნდა!.. წაილაპარაკეს მუშებმა, რო-
დესაც სერგომ გაზეთის კითხვა შესწყვიტა.

მშთოთვარე ნაკადულებად ჩაიღვარა კარებში მუშათა სახეები.
გრძელ და უზარმაზარ საზეინკლო ამქარში რამდენიმე წყებად ჩა-
მომდგარია დაზგები და ზედ ურიცხვი გირაგია დამაგრებული.

მოწაფეები — ქალები და ვაჟები მივიდენ საქუთარ გირაგებთან
და მუშაობის დაწყებამდე იარაღი მოაწესრიგეს.

ახმაურდა უთვალავი ხელი გირაგებსა და ქლიბებზე და ერთი
მთლიანი შეწყობილი ჩხრიალი გავრცელდა ამქარში.

დღეს ავთანდილს დაუგვიანდა. ის ქაქანით შემოვარდა ამქარში.
მუშაობა უკვე დაწყებული იყო. მან სწრაფად გადაიცვა ლურჯი წინ-
საფარი და თავის გირაგონ მივიდა.

ავთანდილი სხვანაირი ბიჭია. ის არ ჰგავს სხვას. მას უკუღელი გული, გრძნობა, სულ რამდენიმე თვეა, რაც საზეინ კლო აძმეტში მი-იღებს ხელობის სასწავლებლად და უხაროდა ეს მას, მოსწოდა მან-ქანებთან მუშაობა, არასოდეს არ ენახა ეს და ეხლა კმაყოფილებია, ევსებოდა გული. მას ხშირად უთქვია ამხანაგებისათვის, რომ როდე-საც ის მუშაობს, თითქოს გირაგზე აწკრიალებული ქლიბი მას ელა-პარაკება, ეტუტუნება, ამ დროს ის უდიდეს სიამოვნებას გრძნობს, და მას ისიც უთქვია, რომ ძლიერ ხშირად გულში ჩავიკრავ ხოლმე და ვგრძნობ თუ როგორ გაცხელებულა ჩემი პატარა იარალი, პატარა ქლიბი, მერე კი ისევ ავათამაშებ გირაგზე და მის ჟღარუნს ვუერთებ გულიდან ამომსკდარ სიმღერას.

ასეთი ბიჭია ავთანდილი. ეხლაც მოვიდა თუ არა მაშინვე მფრთხა-ლი თვალი გადაავლო თავის იარალებს, თითქოს ეშინოდა რომელიმეს აღმოუჩენლობა და შეუდგა მუშაობას.

ერთ კუთხეში გაისმა პატარა ჩაქუჩების ცემა, მეორეში ხერხის წკრიალი, და მესამედან კი მოდიოდა თუნუქის ხმაური. ყველაფერი ეს ჟღერს, მღერს, ატკბობს სმენას.

სრიალებენ ქლიბები რკინებზე.

უმღერს ავთანდილს გული:

„ჩვენ გართ მვედელნი, ძლიერნი სულით,

ჩვენ ვჭედავთ მომავლისა ბედს“...

ხშირად გაღმოსკდება ხოლმე ფოლადის ხმასავით აწკრიალებუ-ლი ეს სიტყვები და ოღვრება რკინების ფონზე. მაშინ ყველა გადა-პხედავს ხოლმე მას და ეს ყველანი იღიმებიან ტუჩებშეკავებით. მათ ეცინებათ კიდეც, მაგრამ სიცილის დრო არა აქვთ, ქლიბები საშუა-ლებას არ აძლევენ, არც ხელები აძლევენ უფლებას. ისინი ათრთო-ლებულნი მისცემიან შრომას.

აი, ასე მუშაობს ავთანდილი.

— ვარლამ!..

— რა გინდა?..

— დღეს რომ უჯრედის კრებაა, იცი?..

— არა, მართლა?..

— მობრძანდები და ნახავ. აგეწვის ტვინი.

— შენ ეი, ავთანდილ, შენ მე თავი დამანებე თორემ!..

— ფეხებსაც ვერ მომჭამ, დაგავიწყდა, ძმობილო, უჯრედზე რომ დამასმინე. განა შეგრჩებოდა; — უპასუხა ავთანდილმა და თავის ად-გილზე სიმღერით გასწია:

„ზე აღმართ ძლიერად, უროც,

დაეცი ფოლადისა მკერდს“...

ჩაფიქრდა ვარლამი. ოთვაშვა ისეთი ოომ უჯრედის სხვამას
იწვევდენ. მთელი დღის განმავლობაში თავბრუდახვეული მუშაობდა,
რამდენჯერმე თითებიც დაიწერა, დაისისხლიანა. ხელს უშლიდა
უჩვეულოდ მოწოდილი ფიქრები, ქლიბიც კი აღარ ემორჩილებოდა.

დღეს თითქოს ყველა მტრულად უცქეროდა და ყველა ემუქრე-
ბოდა. რამდენჯერმე გავიდა სახარატო ამქარში. უჯრედის მდივანს
ჩაუარა გვერდით. გამოლაპარაკება უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა.
ის გართული იყო მუშაობაში, ტრიალებდა სახარატო მანქანა და
ითლებოდა ხრახნი. წვრილი, ტყვიის ფერი ფოლადის ზონარი კუ-
ლულებივით ლაგრეხილი ცვივოდა მანქანიდან, მისი თითები კი მიჰყვე-
ბოდენ საზომს და ხრახნს, — ჰკვეთავდენ.

დღე ისე მიიღია ოომ ვარლამმა ვერაფრის გაკეთება ვერ
მოასწრო.

ოსტატმა მოწაფეებს ჩამოუარა, დახედა მათ ნამუშევარს, თავი
რამდენჯერმე გააჭია და თავისითვის ჩაილაპარაკა:

— აი, ესეც კომსომოლები, ჭკუა კრებისკენ მიურბით, მუშაო-
ბას კი არა ნაღვლობენ.

— არა, ოსტატო, აგრე ნუ გაირჯებით, მე კომკავშირელი არა
ვარ, მაგაზე ნაკლები კი არ გეგონოთ. აბა შეხედეთ, ჩემს ნამუშევარს!...

ლიმილით გადახედა ოსტატმა ავთანდილს. მას სათვალეები ცხვი-
რის კენწეროზე ჰქონდა დამაგრებული. ცხვირთან ახლო მიიტანა,
ბეცივით დაათვალიერა და მერე კმაყოფილებით შესძახა:

— ყოჩალ, ბიჭო, შაბაში ალალია.

შემოტრიალდა ავთანდილი. დასძახა თავისი საყვარელი გამა-
მენევებელი სიმღერა:

„ჩენ ვართ მჭედელნი, ჭაბუკნი სულით“...

და გარეთ გამოემართა.

ეზოში ოომ გამოვიდა, დაფაზე დიდი თეთრი ქალალდი ეკრა.

დღეს მოწვეულია უჯრედის სხდომა.

დღის წესრიგში დგას:

1. კომკავშირის დისკაბლინის შესახებ.

და

2. მიმღინარე კითხვები.

უჯრედის ბიურო.

მუშაობა გათავდა.

დაიცალა სამქროები. გაეშურენ გარეთ, რომ თავისუფლად ესუნ-
აქეთ, რომ მოსცლოდენ მთელი დღის განმავლობაში ერთფეროვნად
ახმაურებულ ქლიბებს, უროებს, მანქანებს.

ვარლამი რომ გამოვიდა მის თვალებს როგორც ეკლები ისე
ეჩხვლიტა უჯრედის განცხადების თვითეული სიტყვა.

ქუდი შუბლს უკან გადიგდო და დიდხანს უცქირა.

ფიქრობდა: ვისი ბრალი იყო ეს?.. უცნობი ქალის, რომელიც ეხ-
ლაც თვალშინ ეხატა. ფიქრობდა იმასაც, დასწრებოდა თუ არა და
ერთმანეთში ერეოდა ეს ორი კითხვა, ეს ორი სახე.

გადაუწყვეტლად ჩამშრალი და დაჯავრიანებული ნელი-ნელ ავი-
და კიბეებზე და სახლისაკენ გასწია.

სალამო გაიშალა მტრედის ფრთასავით ლამაზი, ფერადი. მზე ისევ
მთაწმინდაზე ავიდა ტანჯვით, ვაი-ვაგლახით და იქ პატარა ხანს მოი-
კალათა; მერე წავიდა.

გადმოქროლდა კოჯრის ნიავი და ქალაქი გააგრილა.

ვარლამი მოუსვენრობდა.

ჯერ ხუთი არც კი იყო და ის სახლიდან გამოვიდა. გზაში ერთი
ბოთლი ლუდი დალია და ოდნავ აპრიალებული თვალებით გასწია
უჯრედის სხდომაზე დასასწრებად.

გზაში მარო შემოხვდა.

— გამარჯვება.

— გაგიმარჯოს. უპასუხა ვარლამმა. მერე თვალებში მიაჩერდა.
ეგონა ესეც მუქარას ეტყოდა.

— სხდომაზე მოდიხარ?..

— არა!..

— მაშ?!.

— მე და შენ ერთად მივდივართ.

— როგორ, ჯერ ხომ ჩემი თანხმობა არა გაქვს?!.

— მერე რა, მექნება.

მარო მიუახლოვდა და გაკვირვებით ჩააშტერდა თვალებში.

— შენ მთვრალი ხარ...

— მხოლოდ ლუდი დავლიე.

ვარლამმა მაჯაში ხელი ჩასჭიდა. მძლავრად მოუჭირა. თითქოს
სურდა რომ ძლიერება ეგრძნობინებინა.

მაროს კი ძარღვები აუჩქროლდა. გული აუტოკდა.

როგორც გაზაფხულზე მდინარეები დიდდებიან, აღუდუნდებიან,
და გადმოხეთქავენ ნაპირებს შფოთვითა და ჩქეფით ისე აუჩქრიალადა
სისხლი სხეულში.

აჰყვა მის ნაბიჯებს და სიტყვაამოუღებლივ მიჰყვებოდა ვარლაშს.

— არც მე წავალ უჯრედის სხდომაზე. მომბეჭრდა ერთი და
იგივეს ლაპარაკი. კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ წაილულლულა მარომ.

— მომაბეჭრეს თვით. უჯრედის სურვილზე მოიქეციო, ჩამჩი-
ჩინებენ, სად შემიძლია ათასის ნებაზე ვიარო; — უკმაყოფილოდ გა-
მოეხმაურა ვარლამი და თათრის მოედნისკენ გაუხვია.

იცოდა მარომ რომ კრება ვარლამის მიერ იყო მოწვეული. ვარ-
ლამი კი დასასწრებადაც არ მიღიოდა.

— ნარიყალის ციხის ნაშთზე ავიდეთ, დავათვალიეროთ; პო-
ლიტცოდნის გარდა ტფილისის სიძველეთა ცოდნაც არის საჭირო.

მარო უსიტყვოდ დაეთანხმა.

გაუხვიეს ნარიყალასკენ.

— იცი, აღა-მამაღ-ხანი აქედან შემოიჭრა ტფილისში, ცეცხლი
წაუკიდა, გადასწვა...

— ვერაგი, რას გვერჩოდენ?!

— ლამაზი ქვეყანა ვიყავით და ჩვენი ხელში ჩაგდება უნდოდათ...
და ვარლამმა გაროს ტანზე ხელი შემოხვია. მან უჩვენა როგორ უნდო-
დათ საქართველოს ხელში ჩაგდება.

— ოხ, კარგი... ისტორია კარგად გცოდნია?!. მარომ ხელი ვა-
აშვებინა. მერე თვითონ ქამარში ხელი ჩასჭიდა და აღმართში ასა-
სვლელად დაიხმარა.

ნარიყალას ციხე-ბჭეზე შედგეს ფეხი.

თვალი გადაავლეს გარემოს.

შორს, მტკვრის მდინარეების გაყოლებით მოსიანდა ამწვანებული
ჭილები, უფრო შორს კი გორაკები, გრძები, მთები.

უცქეროდენ ტფილისის გარეშო ბუნებას.

ხელი ხელს ეჭირა და ძარღვი ძარღვს ერთვოდა.

— შენ ხომ იცი მარო, მე როგორი აზრისა ვარ, ცოლ-ქმრობა
არა მწამს. ტრადიციაა. სისულელე.

— არც მე... ერთად ხომ ვიქნებით?!

იცოდა ვარლამმა რომ ავთანდილი გულგრილად არ უცქეროდა
მაროს. გაუგონია ისიც, რომ მარომაც თანხმობა განუცხადა.

და უკვირდა ვარლამს, რა უნდოდა მაროს მასთან.

უკვირდა ვარლამს.

მზე გაქრა. ვარლას ამოეფარა მზე.

დაბინდდა.

სანთლებივით ანთო ვარსკვლავები მკრთალად და მორცხვად.

— წავიდეთ, ვარლამ!..

— ხო, წავალთ, წავალთ.

ისეთი ძალა აგრძნობინა ვარლამმა მაროს, რომ მკლავები ტოტებივით ჩამოუცვივდა.

— რას შვრები?!. წყრომით უთხრა.

— მე ხომ ავთანდილი არა ვარ, რომ ლექსით შეგამკო...

ჯერ გაფითრდა და შემდეგ გაწითლდა მარო. სიბნელეში არც ერთი არ შეეტყო. ვარლამს მიეკრო, ათროთოლდა, თითქოს თრთოლით, უნდოდა დაემტკიცებინა, რომ ავთანდილი მისოთვის არაფერია...

— რა ღონიერი ყოფილხარ, — სიტყვა შეუცვალა. მცირე სიჩუმის შემდეგ დაუმატა. წავიდეთ, უკვე ბნელა!..

— კარგი, წავალთ, წავალთ...

— ეგნი რა საჭიროა, ვარლამ, კარგი, გეყოფა!..

— მაიცა...

— მაგას ნუ, ვარლამ... მაგას ნუ!.. ვაი!..

— !?.

— შენ ხომ იცი, მარო, მე ცოლ-ქმრობა არა მწამს; ტრადიციაა, სისულელე...

• (შემდეგი იქნება) ცერ-ცძირ პარაგონი

მანებრძე ქულებით ითხოვთ

ოულერძეობა თეშისმამ რიტუალურ შირებისთვის მართვის ქრისტი

ინტერნ იმპერია ინტერნოს ის არა რა გარე არაუგო

მანებრძე რეცენდ მიმირიდო მართვის ქრისტი

იორგოს ქრისტი იცოდის თ თეში ქრის რაც

ართებრ ართებრ იმპერია ეს ართებ იყი ჩო ჩემ —

ცეცულმა თევითობა მართვის არა

! რიტენდი ჩოდ ქამარ არ ცირ —

არ ართებრ ართებრ ჩოდ ამართოს თევი არ ართებრ ართებრ ჩოდ არ ართებრ

არ ართებრ ართებრ ჩოდ არ ართებრ არ ართებრ არ ართებრ არ ართებრ

କେତଳେ ସାଥେରିପା

ଲୀପିକାଳ

ଲ୍ୟେଜ୍‌ସ ହେମ୍‌ ମିହିର ଡାଢ଼୍‌ରିଲ୍‌
ଇସ ଗାଉତ୍ରାପ୍ରିଯାର,
ତିତକ୍ଷେ ବାର୍ଷିକ୍‌ପ୍ରଳାଙ୍ଗେ ବାତ୍‌ର୍‌ନିଲ୍‌
କିରାଲଦନ୍‌ଧି ମନ୍‌ପ୍ରିଯା.

ଶଲାକାରୀର ଏସ, ତୁ କା?!

ତୁ ଦେଖାଇ ମିଥିଲା?

କାହିଁ କାହିଁ ବାତାରା

ତତ୍ତ୍ଵିତ-ମତ୍‌ରିନାମଦି ରକିନିଲାମ.

ଶାରଦାତିଲି ଶମିତ ଡାକତିକାଳିଗାର?

ତୁ କ୍ରମିକାମ ଡାମାତରନ?!

ଗୁଲି କାହିଁ ଅନ୍ତରିକ୍ଷାଲଦା,

ଗୁଲି କାହିଁ ମାରିଫାତାବଦି.

ଶରୀର... କାହିଁକି କାହିଁକି ବାର?

ତୁ କି ମେଲିଲିଲି ମିଠିମଧ୍ୟ,

ଶୁଣେଲାଇ କାହିଁ ବନ୍ଦିମାରିତିରି

ଲାଗିଲାଇ ଶିଖିତାରି ଏବଂ ଶିଖିବି.

ମାତ୍ରକୁଳେ ପ୍ରକ୍ରିଯାମିଲି ମପ୍ରିଯାନିଦା

କିମ୍‌ବେଳେ ଲ୍ୟେଜ୍‌ସିଲି ହେରିଲି ଲାଗିଲା;

ଲାଗେ କି ମିଳି ମିକ୍ରିନିଦା —

ଏହି ଲ୍ୟେଜ୍‌ସିଲି ହେରିଲି ଲାଗିଲା.

ଏହି କାହିଁକି, କାହିଁକି?

ତୁ କି କାହିଁକି ବାରିବାରିବା?



პოეტის მზით გამთბარის
 ვარსკვლავებში გარევა.

ვარსკვლავიო?!

ოჰ, ორა,
 მე ცხოვრების შვილი ვარ;
 ჩემთვის მისი აშკარა —
 გული გადაშლილია.

შიგ ვტრიალებ და შვებაც
 მისი მწვავს და მდაგავს მე,
 მისი აღმშენებლობა,
 მისი სიგანთიადე.

სდეგ... აქა ვარ, — საღაც ვარ,
 სულ ერთ რამეს ვუმღერი:
 შრომის გმირმა მამაცად
 ზიდოს შრომის უღელი.

ეს ცხოვრება, ხომ მზეა,
 მზეა აცეცხლებული.
 ეხლა ჯერი ჩვენზეა
 ვიქნეთ აღტაცებული.

მუშა ხარ, თუ გლეხი ხარ?
 ხომ ორივეს ეს გინდათ:
 ლექსი თითქოს ხერხია,
 ლექსი მოდის ხერხიდან.

რაღგან იცოდეთ პოეტს
 მე იმ მელექსეს ვარქმევ,
 ვინც ჩვენს ცხოვრებას მოსდევს
 და აქვს სულ მასთან საქმე.

კარგია ლექსის წერა,
 მაგრამ სჯობს ამ ლექსს ასჯერ,
 თუ როგორც მოქალაქე
 იბრძოლებ, გაიმარჯვებ.

პ. ჩხილაძე

დაბინდებილან გათენებამდის

V *)

ჭორის სისწრაფით გავრცელდა სოფლებში მოულოზნელ თავ დასხმის ამბავი... შეიძრა აღმოსავლეთ გურია და ხალხში შეიქნა ბჭობა, მითქმა-მოთქმა...

— რავა, ქისიხში ჩასდიეს კაცო ამ ჩვენი თავრობის კაცებმა მაგ ბალშენიკებს, სული არ მოათქმეის კისერში, ოჯახში ფუტი კოუცივეს და აბუნტდებოდენ აბა რას იზამდენ? ამბობს ერთი ჭალარაშე-სული გლეხი სოფლის წინ თავშეყრილ გლეხებში და თუ-თუნს უგემურად ათითხინებს ჩიბუხის ტარში...

— ო! შენ პირს შაქარი ოსიყმა! გამიხარდება რაცხა, კაცი მარ-თალს რომ იტყვის. აბა, რა დასაჭირავი იყო, საწყალი ჩემი ბიჭი. კაცმა ქვეყანა მეიარა, რვაი წელიწადი ჯარში იყო, იმდენი ომი და ბერასინი გამეიარა, ეშველა რავაც იყო ნიკოლოზეს გადაგდებას მი-ესწრო ხალხი, ჩამევიდა შინ საწყალი, თითოვით გაშიშვლებული, სტა-ცეს ხელი აქანე ამ ბატონებმა და უკრეს თავი ციხეში; მაი ბალშე-ნიკიაო... ბალშენიკი რომაა იმიზა ქვეყნის დამქცევია თუ?

— ქვეყნის დამქცევი კი არა, ვინ იცის ეგება მაგენისთანე ბარ-თალი ერთი კეკალი არ არის, არც ერთი — ი პარტიიები... ამ გამო-სვლებში მართალი არიენ მაი ბალშენიკები, რავაც მე ვიცი.

— რაო? მართალი არიან გამოსვლებშიო? ჩაერია გლეხების სა-უბარში ოთხკლასიან სკოლის მოწაფე — ეტყობოდა ახალგაზრდა მარქსისტი — კაცი მოხუცებულხარ და ობიექტურად მსჯელობა არ შეგიძლია. შენ, იცი რომ ეს აჯანყება ავანტიურისტული ნაბიჯია და რადიკალურად ეწინააღმდეგება მარქსისტულ დიალექტის პრინ-ციპებს?!!

*) დასასრული. იხ. „პროლეტარული მწერლობა“ № 8.

— შენ გაზრდას, მაგ ფრანციულს თავი დაანებე და თუ რაშე
იცი ქართულად გველაპარაკე, — შენიშნა მოწაფეს ოსიყმენ

— ფრანციული რა არის? ფრანციული კი არა ფრანგული
უნდა თქვათ ეს ერთი. მეორე კი საქმე იმაშია რომ მე ფრანგულად
კი არ ვლაპარაკობ, არამედ წმინდა პოლიტიკურ მარქსისტულ დია-
ლექტიურ ენაზე...

— ჰო, კაი ბიძია შენ გაზრდას ჩვენ ამდენი „ურ-ურის“ არა-
ფერი გაგვეგება და ისევ შენ ტოლებს ელაპარაკე მაგ შენი
„ურ“-ული ენით...

გლეხებმა ახალგაზრდა მოსაუბრეს გვერდი აუქციეს და ისევ
ერთმანეთში გააბეს საქმიანი საუბარი... ხალხი თანდათან გროვ-
დებოდა.

— მოქალაქენო! — გაისმა ხმა ეზოს შუაგულიდან. ვიღაც შავ-
წვერა ასულიყო სკოლის წინ, წინასწარ საორატორო ტრიბუნათ გამ-
ზადებულ მაგიდაზე — თქვენ ალბად მოგეხსენებათ თუ რა დიდი
უბედურება დაატყდა ქართველ ხალხს თავზე. სხვა გარეშე მტრებ-
თან ერთად ჩვენს ერს მოსვენებას არ აძლევენ ჩვენი შინაური მო-
სისხარი მტრები: ბოლშევიკები, რომლებიც ამ უკანასკნელად იქამ-
დისაც კი გათამამდენ რომ, აჯანყებით, იარაღით ხელში გვემუქ-
რებიან. მაგრამ ჩვენ ლრმად გვწამს რომ ქართველი ხალხი, შესძლებს
ყოველგვარ მტრების ფრონტის გარღვევას და ბალშევიკების განად-
გურებას... გამოდით ქუდზე კაცი, როგორც ეს სჩვევია ქართველო-
ბას თამარის დროდან და ერთხელ კიდევ იხსენით საქართველო.

მაშ, ბრძოლისკენ მოქალაქენო! ქვეყნის თავდაცვა: აი დღევან-
დელი ჩვენი ლოზუნგი!

ტაში... აქა-იქ ჩოჩქოლი... უხმო წინააღმდეგობა...

ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლის ყველა პარტიის წარმომადგენ-
ლები, რომელთა სიტყვის შინაარსი და მოწოდება, საქართველოს თავ-
დაცვა და სამშობლოს ხსნა არის..

— ქვეყანა განსაცდელშია, გამოდით ქუდზე კაცი... მჭერმეტ-
ყველობს სიტყვის დასასრულს ყველა ორატორი და არტისტულ ხე-
ლოვნობით ნასესხები ცივი ცრემლები უსველებენ თვალის უპეებს,
ნოემბრის სუსხით მხედველობა-გალიზიანებულ ორატორებს... მაგრამ
ხალხი თვით სიბრძნეა... ხალხს რა მოატყუილებს...

— ჩვენ ქე მოგვიწოდებს საომრად და ნახე თუ მაგათი ორანი
დეინახო საღმე ფრონტებზე... ტყვიას მიეკარება მაგენი სიახლოვეს?..

ის, ბიძია მოგიცლია შენ? ყველა სოფლებში მოაწყვეს მფრინავი მა-
ტინგები...

დააფაცურეს მცხოვრებლები და ააღელვეს ბოლშევიკების „უგ-
ვანო საქციელით“. ამოძრავდა ოჯახებში თუ ქორწილებში საქეი-
ფოდ ჩარჩენილი ერობის და გვარდიის მესვეურნი...

აფრინეს კაცი ოზურგეთში ჯარისა და არტილერიის მოსაშვე-
ლებლად...

სოფლებში კი გულშემატკივარი შესთხოვდენ შველას და სა-
განგებო სამეულის წინაღადებით ძალად გამოყავდათ ოჯახებიდან
ქუდზე კაცი...

მოწაფეებმა თავი გაანებეს მეცადინეობას და მოხალისეთა რაზ-
მში ჩაეწერენ. მოწაფე-ახალგაზრდობა თოფებისა და იარაღების
ხელში ჩაგდებით თავბრუდახვეულნი, ერთმანეთს უმიზნებდენ და-
უანგულ ბერდანკებსა და შაშხანებს დასვენების დროს და ამით ერ-
თობოდენ...

ოღონდ იარაღი ეჭიროს ხელში და თუ გინდ მშიერ-მწყურვალი
„იომებენ“ მოწაფე-მოხალისენი...

ერთი საათით მეცადინეობდა პორუჩიკი მინდაქე მოხალისებ-
თან... ამ ხნის განმავლობაში პორუჩიკმა „საფუძვლიანად“ შეასწავლა
მოხალისეთა რაზმს, მთელი საომარი ტეხნიკა და სტრატეგია...

დასვენების დროს კი:

— გაჩერდი თუ არა გესროლე აგია! თოფმილირებით შესძახის
მეოთხე კლასის მოწაფე-მოხალისე ვანო თავის ამხანაგს, გოგის.

რეპეტიციას გადიან მოხალისები... საომარ და მზვერავთა წე-
სებს იზეპირებენ. დანარჩენები იცინან, ვანოს სერიოზულ სახის გა-
მომეტყველებაზე...

საღამოს პირად „მოხალისეთა“ „ჯარი“ მზად არის ყველა სოფ-
ლებში... ემზადებიან ჩოხატაურზე თავდასასხმელად, მაგრამ, სანამ
ოზურგეთიდან რეგულიარული ჯარი და არტილერია არ გამოჩნდება,
თავდასხმას ვინ გაბედავს? რაიონული სამხედრო მარაგი, ტყვიის-
მფრქვეველები და ასაფეთქი მასალები, ხომ ბალშევიკების ხელშია...

ბალშევიკების რაზმები კი იმზომ ძლიერია რომ უბრალო მო-
ხალისეთა შეფაფხურებით ვინ რას გახდება?.. ამიტომ:

ელოდებიან ჯარსა და არტილერიას...

საალყო წესებია სოფლად გამოცხადებული. ქუჩაში ვაგლახ არა-
ვის აჭაჭანებენ...

VI

დაბინდდა. ისმის კანტი-კუნტი სროლა შაშხანებიდან...

დროგამოშვებით ტყვიამფრქვევებიც ვარჯიშობენ...

ჩოხატაურს, დროებითი კომიტეტი განაგებს... ელოდებიან ცნო-
ბებს სხვადასხვა კუთხეებიდან მაგრამ...

ჯერ საიმედო ხმა არსაიდან არ ისმის...

ჩოხატაური შემორკალულია ყოველი მხრიდან...

— სულით არ დაეცეთ ამხანაგებო! გამხნევლით, გასალკლდევ-
დით როგორც ეს მებრძოლ კომუნარებს, შეფერის და მომავალიც
ვნახოთ... ამხნევებს თედორე ამხანაგებს... — ვინ იცის იქნებ წამო-
გვეშველონ კიდეც...

კომიტეტი ისევ საქმიანობაში ჩაიძირა.

გარედნ კი:

სახელდახელოდ თავშეყრილი „მოხალისეთა“ ჯარი შუალამემ-
დის დაცარიელდა... სანახევროდ სადღაც გაიპარა...

შეტაკების შიშით შეპყრობილმა მოწაფეებმა ჯარის რიგები მია-
ტოვეს და შინისაკენ გაკურცხლეს...

— საიდან მოდიხართ? პაროლი?! კითხულობდენ გზაში და-
რაჯები.

— პაროლი: ლულა! ჯარიდან მოვდივართ, საჭირო აღა
დავრჩით:

— როგორ? დანებდენ ბოლშევიკები?

— არა, მაგრამ, ჯარს ელოდებიან ოზურგეთიდან და არტი-
ლერიას...

— ხო! მაშინ თქვენ რაღა საჭირო იქნებოდით...

რეგულიარული ჯარი და მსუბუქი არტილერია დღის ორ საათ-
ზე დაიძრა ოზურგეთიდან.

სუფსა-გუბაზოულის შესართავამდის სული ძლივს მოიტანა მენ-
შეგიკურმა ჯარმა. ჯერ არც კი ენათებია რომ შიშისმგვრელი გრია-
ლი ატყდა ზარბაზნებიდან ჩოხატაურის მიმართულებით...

აზუზუნდა ყუმბარები დასეტყვილ ჰაერში და თოფის წამლის
სუნით გაიუღინთა არემიდამო...

ჯარი სამხედრო ცერემონიალით მიიწევდა ჩოხატაურისკენ და ზაშეწყობილი ტყვიამფრქვევები შორიდანვე იტყობინებოდნენ მოულოდნელ თავდასხმის საშიშროებას...

— დავცალოთ ჩოხატაური და გზა დავიჭიროთ ერკეთ-ხევის მიმართულებით. დამარცხება აუცილებელია... მტკიცედ განაცხადა თედორემ კომიტეტში და ამხანაგებს გადახედა. — თავს უნდა ვუ-შველოთ....

— გაამაგრეთ ყოველი კუთხე... ციხეს დარაჯები მიუჩინეთ... ტყვიისმფრქვეველებიდან განუწყვეტილი ცეცხლი... იძლეოდა ბენია საომარ განკარგულებებს. და თანაც კომიტეტში თათბირობდა...

— საღამომდის გავმაგრდეთ როგორმე... საღამოს კი დარაჯები თანდათან მოვხსნათ პოსტებიდან, მთელი ძალა ბუკისციხის მიმართულებით დავრაზმოთ ტყვიისმფრქვეველებით თავდაცვა ვაწარმოოთ თუ საჭირო იქნება და როცა ერკეთს გავცდებით მერე არა გვიშავს...

— გადაწყვეტილია... საღამომდის გავამაგროთ რიგები რითაც არ უნდა დაგვიჯდეს... ბენია ისევ პოსტებზეა... ისევ რაზმებს დასტრიალებს თავს... გრიალებს ზარბაზნები... და დაზაფრული მოსაწლეობა გარბის მთებში გადასახიზნად...

ტყვიისმფრქვეველები ქვას ქვაზედ ადულებს... შაშხანების ხმა კვნესას წააგავს... წიგილ-კივილით ზრიალობს განაპირა სოფლებზო...

— ჰაი გიდი! — ოხრავს მოხუცი, რომელსაც ერთი შვილი კომუნარების რიგებში ეგულება — მეორე კი რეგულიარულ ჯარში — ძმამ ძმას უნდა თოფი ესროლოს? ჰაი რა ღრო დადგა, რა ღროს შევესწარი სიბერის დღეში?!?

— შვილებო, შვილებო! მოსთქვამენ შინ დარჩენილი მოხუცი მშობლები და დილიდან-დაბინდებამდის ოხვრა და კვნესა დაფარფატობს დაღარულ გულებში...

— ბენიასი რა იცით? არაფერი უმცნიებია? კითხულობს მოხუცი ათანასე...

— ვაი შენს დედას შვილო! არაფერი ამბავი არ მოსულა ჩემი ათანასე... ეგება ცოცხალი არც კია, ვაი უბედური მისი დედა! თებ-რონემ ცრემლიანი თვალები მოიწმინდა...

— აბა, ოცი კაცის არჩივი სადილი, ოხლავე, ჩქარა... ჯარს უნდა გადუგზავნოთ... იძლევა სოფლის მეთაური განკარგულებას სოფლებში და ცხელ-ცხელი მჭადები გროვდება მიჩნეულ პუნქტებში, ჯარში გადასაგზავნად...

გრილებს ზარბაზნები და ისმის განუწყვეტელი კაკანი ტყვია-
მფრქვევების... მთელი დღე მშიერ-მწყურვალნი ზიან კომუნარები
განათხრებში და მოტანილ იერიშებს იგერიებენ.

საღამოს რეგულიარული ჯარი გადმოვიდა შეტევაზე...

ჩოხატაურის ხიდს ზემოდ თავდასხმამ მიიღო ფრიად სერიოზუ-
ლი ხასიათი და თუ ამდენ ხანს კაცთა მსხვერპლს ერიდებოდენ —
კომუნარები მაინც, — საღამო უამს აკვნესდა დაჭრილები ორთავ
ბანაკში...

აგერ რაზმის უფროს ბენია ბერიძეს ტყვიამ ქულის საქოჩრე
გაუხვრიტა და თვითონ კი უვნებლად დარჩა...

ყურადღება არ მიაქცია, ისევ რაზმს მიუბრუნდა:

— „ამხანაგებო! თანდათანობით დასტოვეთ პოსტები და ბუკის-
ციხის მხარეზედ გაამაგრეთ აქეთ-იქითა პოსტები... ამხანაგებო და
აბა, ეცადეთ არვინ დავკარგოთ... დაჭრილებს უპატრონეთ... ზურგზე
შესმული თან წაიყვანეთ... ჩქარა...“

კომუნარები აღმოსავლეთით მიიწევენ... დაბას აცარიელებენ...

— დაიხით უკან! ტყვიისმფრქვეველო განუწყვეტელი ცეცხლი
ერთი საათის განმავლობაში...

ორი „მაქსიმა“ იგერიებს მოტანილ იერიშებს ყოველი მხრიდან.

უკვე ვახშმობის დროა.

ჩოხატაური დასკალა კომუნარებმა.

ჯარმა კარგა ხანია იგრძნო დაბის სიცალიერე, მაგრამ ერთობ
ვერ ენდო, შიგ შესვლა ჯერ ვერ გაბედა... ფრთხილობენ: — არ შე-
გვიტყუილონო... მხოლოდ როდესაც ორი უკანასკნელი ტყვიამფრ-
ქვევიც მიყუჩდა, შესწყვიტა საომარი მოქმედება, ჯარი პირდაპირ
დაიძრა შტაბის შენობისკენ და მოახდინა ყოველმხრივი რესტავრაცია
მმართველ ორგანოებში... არტილერია და ჯარის ნაწილები ერთი
საათის განმავლობაში საზეიმო შედლულით ამცნობდა ქვეყანას დაბის
დაბრუნებას...

კომუნარები გზას მიიკვლევდენ ერკეთ-ხევის. მიმართულებით
და გზა და გზა სტოვებდენ ტყვიამფრქვევებსა და საომარ მარაგს,
რადგან უკანასკნელთა გადაზიდვა საცალფეხო გზებით შეუძლებე-
ლი შეიქნა...

მცირე თათბირის შემდეგ რაზმი ოფიციალურად დაშლილად
გამოაცხადეს, ხოლო აქტიური ამხანაგები და აჯანყების მეთაურნი



VII

ერთი კვირის განმავლობაში დღე-და-ღამე გრიალებდა ზარბაზ-ნები ერკეთ-ხევის მიღამოებში.

ცეცხლის ალში ირუჯებოდა წითლნარი ტყეები და გველებად დაკლაკნილი საშემოდგომო ხანძარი საშიშროებას უქადდა სოფლის ოჯახებს...

ქვეითა ჯარმა შესწყვიტა საომარი მოქმედება და ეგზეკუცუიად ჩადგა სოფლებში.

დააპატიმრეს ყველა აჯანყებაში მონაწილენი და თანახმად სამაზრო ხელისუფლების განკარგულებისა, სამაზრო ციხეში გადაგზავნეს მსჯავრ-მოსახდელად.

რაზმის სრული დაპატიმრებამდე ამხანაგებმა შესძლეს აჯანყების ხელმძღვანელის ამხანაგ თედორეს გურიიდან გაპარება. შიშობლენ — არ დახვრიტონო...

მიწყნარდა ყოველივე...

აჯანყება დამარცხდა...

— ვითომ რაიო, ბოშო, ახლა ამ ბოლშევიკებმა, ასე რომ გასწირეს თავი და შეიარაღებულ აჯანყების მოწყობასაც არ დაერიდენ? კითხულობდენ სოფლელები ერთმანეთ შორის. ჯარი და არტილერია გავიდა სოფლებიდან და საბოლოოდ მიწყნარდა საომარი მოქმედება...

— რაი ჩემო ბიძია და ქვეყანას ამცნიეს, რომ ხალხი ვერ ეგუება არსებულ ხელისუფლებას, ვერ იტანს მის კანონსა და სამართალსო...

VIII

წვიმს...

გულშემზარავი ამინდები დგას გურიაში.

ქრის ნოემბრის ბორიო და ტყვიისფერ ლრუბლებში თავს იმალავს ძალმილეული მზის სხივები, თითქოს ამათაც შესცივნიათო.

კედლის კალენდრები ცხრამეტს უჩვენებენ...

სოფლის ეზოებში კარგამოქეტილი ოდები პარტახ ოჯახების შთაბეჭდილებას სტოვებს. სიჩუმე მეფობს სამარისებური...

აქა-იქ ძალლები თუ შეუყეფს რამეს თორემ... არც კრიმანჭული.

აღარც საშემოდგომო მოლენა და გურიაში ჩვეული მხიარულება...

შარაში თავმოყრილი ქარწამონაბერი ფოთლები ფეხ-ქვეშ იტეჭუ-
ყება აჭენჭეხებულ ტლაპოებში და ზოგან ათოთილ ჭინჭიბურში ჩალ-
დაყებამდის ეფლობა ურმები...

ოზურგეთის სამაზრო ციხე საცოდავად გამოიყურება პატია სარ-
კმელებით. სამაგიეროდ: ციხე სავსეა აჯანყებულ პატიმრებით...

ციხის კარებში კბილებჩაცვენილი მოხუცი დარაჯი რაღაცა
ფქვილის ღომივით ჩიფჩიფებს და თავის ქნევით უთითებს შტაბის
თანამშრომელს კომენდანტის კაბინეტისკენ...

დაბლა კი, ნახევრად ბნელ საკანებში ზის ბენია თავის ამხანაგე-
ბით და დღითი-დღე ხელისუფლების განახენს ელოდებიან...

რამდენიმე კაცი გუშინ გაუშვეს საპატიმროდან...

დანარჩენები კი ზიან და ელოდებიან...

— ამხანაგებო! არც ერთი მონანიების მაგვარი სიტყვები... არა-
ვითარი წუწუნი და გულშემატკივრობის სამძიმრები, მით უმეტეს
ჯერ კიდევ მსჯავრ-განახენის მოლოდინში. რაც მოხდება ჩვენ სრუ-
ლის გონების სიმშვიდით შევეგებებით მას და თუ გინდ სიკვდილის
ჟამსაც კი არ შევარცხვენთ გაბედულ მებრძოლის სახელსა და
დიდებას.

— არა, ამხანაგო ბენია! ჩვენ კი არ ვნანობთ თუ გინდ სიკვდი-
ლის განახენსაც მავრამ...

— მაგრამ გული, გული რომ არ ისვენებს, ფიქრები რომ მა-
ხრჩობს?.. აიმალლა ხმა ქაიხოსრომ...

— მხიარულება ამხანაგებო! იგრგვინა ბენია ბერიძემ და განგებ
მოსალენი სიმღერა წამოიწყო... აყვენ სხვებიც და გულშემზარვი
სიწყნარე მხიარულებაში გადავიდა.

კომენდანტმა, უგულოდ ჩამოართვა შტაბელს დალუქული პა-
ტეტი და კაბინეტში ჩაიკეტა...

გულმა რაღაც რეჩხი კრა და ყურმოკრული განახენის სინამდვი-
ლის მოლოდინში ნერვიულად ჩაიკითხა ბოლომდის გრძელი გა-
ნახენი...

— დახვრეტა! აღმოხდა გულიდან კომენდანტს და სავარძელს
დაეყრდნო...

— დახვრეტა! დიახ, დახვრეტა...

IX

— ციხეში!

ეტლი დაიძრა შტაბის ეზოდან...

ბნელა... თორმეტი რა ხანია დაკრა საათმა...

ციცინათელასავით ციმციმებს ციხის სარკმელებიდან გამომ-
კრთალი ბეჭტი სინათლე...

ჰაერი დამძიმებულია...

ცრის შემოდგომის წვრილი წვიმა...

ციხეში სიწყნარეა...

გუშაგი ადგილზე ტკეპნის მოკლე ნაბიჯებით... დალლეტილ ქა-
ლამნებში ცერები საცოდავად იცქირებიან...

სცივა გუშაგს მაგრამ... ვის უნდა შესჩივლოს თავის გასაჭირი?

გაქექილი ბუშლატი სიბოს ველარ იქერს და შემოდგომის ქარ-
შეთი თავისუფლად დანავარდობს დარაჯის გამხდარ, მოხრილ
სხეულზე...

შეჭარხალებული მაუზრიანები გაღმოხტენ ეტლიდან...

— გამოუტადეთ განაჩენი? გაისმა ბოხი ხორხოზი ხმა საკო-
მენდანტოში.

— რა საჭირო იყო. განაჩენის სისრულეში მოყვანის დროს რომ
გამოუტადოთ რა გვიანი იქნება? ჰკადრა კომენდანტიმა.

— დროა? გამოყვანეთ!..

ნაცემარ ძალლივით წელგათრეული წამოდგა ფეხზე კომენდანტი
და განაჩენით ხელში დაბლა საკანისკენ გაემართა... ციხეს ალფა შე-
მორტყმოდა შტაბის განკარგულებით და რამდენიმე დარაჯი კომენ-
დანტსაც აედევნა საკანისკენ...

— რაჩხ! გაიღო მეხუთე კამერა და სულყველამ თავი წამოყვეს
საწოლებიდან.

არც ერთს არ ეძინა...

კომენდანტი მძიმედ სუნთქვავდა... დარაჯები იდგენ გაქვავ-
ბულები...

ტუსალები გრძნობდენ საქმე რაში იყო...

იდგა ხესავით კომენდანტი და ვერ მოეხერხებია განაჩენის წა-
კითხვის დაწყება...

— რაღაც იგვიანებთ. შეღრიალა ბენია ბერიძემ და ფეხზე
წამოდგა...

— აღარ გვალირსებთ ბედნიერებას? კვლავ დაიგმინა ბენიაშ.

კომენდანტი აბუგუნდა საცოდავი ხმით და ძლივს დაასრულა
განაჩენის ბოლომდის წაკითხვა... — და ხვეტა...

— ო ო ოხ!... ა? ა? ხა! ხა! ხა! ბიჭი, იორდანა, ვა-
სიკო, მაკრინე... ხა ხა ხა! მშვიდობითო? ხელს მიწევთ? რაიმ? ა?
ხა ხა ხა! თქვე შერცხვენილებო... მე, მე რომ ქაიხოსრო ვარ თქვენ
დაგვიწყდა... ხა ხა ხა! საცოდავებო! ქაიხოსრო კუთხეში მიიკრუნჩხა
და ცივცხელი აფლით აუტალახდა მთელი სხეული.

— საბრალო. შეიშალა... — მძიმედ ჩაიქნია ხელი ბენიაშ, — მედ-
გრად ამხანაგებო! სულით არ დაეცეთ... ვანო! ეგ ცრემლები რა
მოხელეა?

— ოხხ! მე მაგათი ცოლ-დედის...

— სუ! არა გრცევნია! მებრძოლი კაცი... ამხანაგებო! გადაე-
ცით ყველას რომ ჩვენ წარბშეუხრელად მივდივართ ჩვენთვის უკვე
გამზადებულ საფლავებისკენ... ძმათა სასაფლაო ახსოვდეს ჩვენს ამხა-
ნაგებს მომავალ ბრძოლებში. დებს კი გადაეცით აუცილებლად რომ
გაინე და მარო ამიერიდან შესცვლიან ბენია ბერიძეს ბოლშევიკურ
რიგებში... მშვიდობით ამხანაგებო...

საერთო აღელვება... გახშირებული სუნთქვა და გულის ბაგა-
ბუგი. ეთხოვებიან ამხანაგები ერთი მეორეს...

— მეც თქვენთან ერთად შვილებო! წამიყვანეთ მეც... ითხოვა
მოხუც ივანემ მაგრამ... მოხუცისათვის არვის სცალია... ათვალოვა-
ლებული ვარსკვლავთ-შემთამაშე რვა ვაჟკაცი რიგში ჩამწკრივეს..

ქაიხოსრო ძალით გამოათრიეს...

ხელფეხშეკრულები გარედ გამოიყვანეს...

X

— წაიყვანეთ! გაისმა განკარგულება და ჯარი დამწკრივდა ორ-
თავ მხარეზე.

ხელფეხშეკრულები ჩამწკრივეს გზაში მსჯავრდადებულნი...

ციხიდან ისმის უწმაწური გინება და ზორიალი...

რვა კომუნარი უკვე ტიალ მინდორზე დააყენეს...

შემოდგომის წვიმა ცრის... ნისლი ერთმანეთში ირევა...

ბნელა...

— მშვიდობით ამხანაგებო!

— გაუმარჯოს თავისუფლებას! რვა კომუნარი ერთმანეთს გა-
მოეთხოვა..

* * *

გავიდა დრო...

იყო სოფლელებში დაუსრულებელი გლოვა და ტირილი...

ელვის სისწრაფით გაიჩინა თვეებმა, წლებმა და როცა 25 თე-
ბერვალს 1921 წ. წითელი დროშა აფრიალდა საქართველოს მიწა-
წყალზე, კომუნარების თანამებრძოლმა ამხანაგებმა, ბენის სიტყვები
პირველსავე დღეს მოიგონეს და ცალკე სოფლებში ობლად გათხრილ
საფლავებს მიულოცეს ბრწყინვალე გამარჯვება!... ბენის დედა სი-
ხარულის ცრემლებით ბალახს პოტნიდა შვილის საფლავზე და თანაც
ჩასძახოდა ერთად ერთ პირმშოს:

— აღსდექ! უკვე გამოზაფხულდა, რა ჯობია ახლა თავისუფალ
განავარდებას აყვავილებულ ველმინდვრებშომ...

მაგრამ...

წითელი დროშა ნაზად ირხეოდა მებრძოლის გულზე...

კალე ბობოხიძე

ს ა მ ჟ ო ბ ლ ო

საღაც გავზრდილვარ — ყველაფერი არის ნაცნობი,
დაბადებიდან ამ ბუნებისთვის მე მიცქერია,
აქ სიდუხჭირით მივაღწიე ყმაწვილკაცობას,
ეხლა მომწყინდა ჩემი ქოხი, ჩემი კერია.

გაგიკვირდებათ რომ მიყვარდეს მე ეგ მიღამო,
რადგან გრძნობები მისმა მზერამ უკვე გაცვითა;
„ცა ფირუზ ხმელეთს“ და ბინულის ლირიკულ დენას
სხვებმა უმღერონ პატრიოტულ სიზარმაცითა.

მე სიყრმიდანვე თუ ვეზრდებოდი ტყეებს, მთა-ველებს —
მზე ჩვეულებრივ ჩადომდა და ბინდდებოდა,
ვხედავდი ყანებს, შევხაროდი დახრილ თაველებს,
უმიზნო მზერა საღამდე აღარ მომწყინდებოდა.

ზამთარში თოვლი ველ-მიღამოებს, ისევ ფარავდა,
გაზაფხულისას იშლებოდა მინდვრად ყვავილი,
აიშლებოდა მთის ფერდობზე ცხვრების ფარა და
კვლავ გაისმოდა შემზარავი ყორნის ჩხავილი.

საკვირველი და მიმზიდველი აქ რაღა იყო, —
ან რას უმღერდა ასე ტკბილად ნეტავ ბულბული?!
მგოსნურ ჰანგებით შმაგ ამინდმა არ გადაიღო
და იდგა ხევში ტყე ველურად გადაბურდული.

უწინ. — აქებდენ ამ ბუნებას „ფერად ოცნებით“
და სიმღერები გაისმოდა ნარნარ ხმიანი,

როცა იზრდება განთიადივით სხვა საქართველო,
„ტურფა სამშობლო“ რალად მინდა, რომ მიზიდავდეს,
მე აღარ ვნანობ, ეგ სიმწვანე ქუსლით გავთელო,
რომ ავაშენო ურიცხვ მზეებით დღე გაზაფხულის.

და თუ მეც მიყვარს ჩემი სამშობლო, მხოლოდ იმიტომ —
კვლავ ამშვენებენ ინდუსტრიის მასაც უბნები,
ვგმობ თანაშეზრდილ საბალნაროს და კვლავ მიმიპყრობს
ხრიოკი შხარე, სადაც მუშებს ვესაუბრები.

უტყვი ბუნება — ეგ უმიზნო სილამზეა,
როგორ მომხიბლავს, თუ მთებს აკრავს გუნდი ნისლისა,
როდესაც მიპყრობს ელმაშუქი ალმასებივით,
პირველი კერა და სამშობლო კომუნიზმისა.

სადაც გშობილვარ — ეგ სამშობლო არის გულცივი,
ის სიღუხჭირის მორევიდან ვეღარ დამიხსნის,
ჩემი სამშობლო, სამშობლოა რევოლუციის,
სადაც ფრიალებს ბრძოლის დროშა მშრომელ ხალხისთვის...

პოლიტიკური დოკუმენტები

ა ხ ა ლ ი გ ლ ე ხ ე ბ ი

(შირაქის კომუნისტი)

გეგმლების შესახებ -

გამოჩნდით ჩემოდნით ან მცირე შეკვრით ხელში ხონის ან სხვა მიმართულებით მოარულ ეტლების ბირჟაზე, — თქვენს წინაშე წამოიშლება რამდენიმე მეეტლე და გააბამს გულშემზარავ ღრიალს.

— აბა, აქეთ ბატონო, ამხანაგო...

— შევარდენა ცხენებია,

— ახალი ეტლია, საით მიბრძანდებით?

თუ შემთხვევით თქვენი ან თქვენი მასპინძელის გვარი წამოგცდათ, იმერელი მეეტლე იმ წამშივე შეეცდება თქვენთან გამოცნაურებას, დამოყვრებას. იმდენხანს ივლის მიკიბულ-მოკიბული ბილკებით სახელების და გვარების ჯურლმულებში, რომ ბოლოს ორივეს-თვის — თქვენთვის და მისთვის — საერთო ნაცნობს აღმოაჩენს.

ეს კი ისეთი მტკიცე საბუთია, რომ ძალიან მაგარი ხასიათის კაცი (უმჯობესია არა იმერელი) უნდა იყო, რომ მის ეტლს, რომელსაც ეტლის თვისებები დიდიხანია დაკარგული აქვს, გაშორდე და უკეთესის დაქირავებას შეეცადო.

ნუ გაკვირვებთ;

იცოდეთ რომ დამოყვრების მთავარი მიზეზი — ავტობუსებია, რომელნიც მარდათ დაქროლავენ დღეს; იმერეთის გზატკეცილებზე. შეეტლემ იცის რომ მანქანასთან სისწრაფეში კონკურენტობა ისევე შეუძლებელია მისთვის, როგორც შოთერობა. სისწრაფეში თუ არა, ნელა სიარულში ხომ შეიძლება ჯიბრი!

ერთხანს გაჰყვიროდენ;

— მაგი ანტობუსია თუ რაცხა ჭადი, საღმე ხრამში გადაგიძხებს, მერე დაჯექი და უყარე კაკალი ჩემო ბიძია; ამ გაგანია სიცხეში ვინ გეიგონა მაგით სიარული! აგერ ბატონო ეტლი! წამოვწვეთ არხეინად შიგ და ვიაროთ ჩვენთვის, ნელ-ნელა, სიგრილეშიო.

არ გასჭრა, არავინ უსმენდა „ეტლების შინა მღალადებელ ხმას“.
— ჩაჯექით თქვე ოჯახ დაქცეულებო, ლურსმანი ჭუალობის
მირჭვია ბალიშებზეო!..

ლურსმანი არა, მაგრამ ბალიშის დანჯლრეულ ზამბარაკებს იძ-
დენად კარგად შეუთვისებია ლურსმანის ჩეცეულება, რომ ძალიან ნა-
კლებად იძლევიან არხეინად წამოწოლის საშუალებას.

— ეგება ამითი მაინც დაგვდვან ხათრიო, — იფიქრეს მეეტლეებმა
და მგზავრებთან დამოყვრების პოლიტიკას დაადგენ.

კახეთის მაზრაში მრავალი კარგი გზატკეცილია, მაგრამ არ არის
მანქანა. ამისთვის როცა სიღნაღელ მეეტლეების ფუნდუში ჩავედი:
არც ერთი მეეტლე არ შერჩეულა რომ სხვებზე უწინ შემომგებებოდა.

ეპიური სიღნაჯით ისხდენ ალაყაფის წინ, თუმც პროფესიონა-
ლური ინსტიქტით გრძნობდენ, რომ ეტლის დამქირავებელი ვიყავი.

რომელსაც პირველად გამოველაპარაკე, მან ორმოცი მანეთი მოხო-
ვა; როცა მეორეს მიუბრუნდი, პირველმა გაილიმა. მეორემ ორმოც-
დათ მანეთად შემომთავაზა თავისი ეტლი. მესამეს და მეოთხეს აღარ
შევაჭრებივარ. ღიმილზე ეტყობოდათ: რამდენ მეეტლესაც დაველა-
პარაკებოდი, იმდენი თუმანი მიემატებოდა პირვანდელ საფასურს.
ისევ პირველ მეეტლეს დაუბრუნდი და უკანა აღილები დავიბევე:

— გათენებამდე გავიდეთ სიღნაღიდან, სიცხეს გავასწროთ;
მითხრა მეეტლემ და ხუთმანეთიანი წყნარად ჩაიკეცა ჯიბეში.

ე ტ ლ ი ს პ ი ფ ი დ ა ნ

განთიადი ჩქარი ნაბიჯებით მოარღვევს სიბნელეს. ვჩქარობ, შაგ-
რამ ჩემი სიჩქარის პრაქტიკული შედეგები მეტად მცირეა. ოთახიდახ
გამოსვლა ვერ მომიხერხებია. ყველაფერი შევკარი; ჩანთა მხრებზე
მოვიგდე. რა მაკლია! თითქო არაფერი: მაგრამ ჩემმა არა-ტურის-
ტულმა ბუნებამ ნახევარი საათი მაინც მაწრიალა ოთახში უქმად.
სულ მეჩვენებოდა, თითქო რაღაც მავიწყდებოდა, მრჩებოდა.

ეტლზე დავაგვიანე და გლეხთა სახლში, ბალლინჯოების ტყვეო-
ბაში ჩავარდნილ ფრიდონისაგან საყვედურიც მივიღე; რა ძალა აქვს
აქცურ ბალლინჯოებს! მათი წყალობით მთელ ღამეებს ისე ფხიზლად
ვატარებთ, როგორც საგუშავოზე მდგომი ჯარისკაცები.

— ადრე რომ გავსულიყავით, შუაგზამდე ვერ წამოგვეწეოდა
სიცხე. დიდათ შეწუხება არ მოგიხდებოდათ; მითხრა მეეტლემ, თუმ-
ცა ნახევარი საათი მანაც გვალოდინა, სანამ ეტლს გაამზადებდა
და ნელი ლასლასით გაუდგებოდა მიხვეულ-მოხვეულ, დიდათ ღაქა-

ნებულ დაღმართს, რომელიც გომბორის კალთებიდან ეშვებრაბოლი ბის ხევში.

ჩვენს წინაშე მთელი თავის დიდებულებით გადაიშალა ალაზნის ველი. რა წამს დაღესტნის მთებზე ამოგორდა მზე, მოოქროვილი და მზინავი ნისლი თუ ბული (უკანასკნელს უფრო გავს) აფარდა ალაზნის ველზე. შეუძლებელია მისი ფეროვნების გამოჭერა. ხედავ: გეჩვენება, თითქოს შენს წინაშე დაგარღნილი უზარმაზარი ველი, მოფენილია სარკის მინის ნამსხვრევებით, რომელზედაც უკუშიცეული მზის გამოსახულება და ოქროსფერ მტვერად ავარდნილა ზევით. ღრძა დაკვირვებით, ოქროსფერის ალაგ-ალაგ შეეპარება იისფერი. თვალი დამშვიდდება, მაგრამ წამშივე კვლავინდებურად თვალების მომჭრელ სანახაობად შეიცვლება ველი. დაიკარგება ტატნობი. აგერ უეცრად პატარა თეთრი ღრუბელი გაეთამაშა მზეს. თითქო დიდათ განათებულ დარბაზში გამომრიცხველი გადააბრუნესო, მთელი ალაზნის ველი სწრაფად ჩაჰარი და ფერდაკარგულ ნისლში შემოცურდა მთების და ტყეების მოხაზულობა. ფერების თამაში დაუსრულებელია, ვიდრე მზე „აკადემიკოსის“ საგარეულს, შუადლეს არ მიაღწევს. მაშინ, როგორც ყოველი აკადემიკოსი, ისიც ჰერგავს სიახლეს და მომხიბლელობას, გაერთოფეროვანდება და გადმოიქცევა მომაბეზრებელ სიცხის ღვარებად.

სიღნაღიდან სამ კილომეტრზე, გომბორის კალთაზე, რომელიც აღმოსავლეთით ალაზნის ველს გადასცერის, გაშენებულია ბოდბის მონასტერი. ხეებიდან გამოკრთა რამდენიმე მაღალი, სამსართულიანი თეთრი შენობა და რუხი სამრეკლო. სამრეკლო სდომის. რამდენიმე წელია, რაც მოჩვენების მსგავს მოლაზონებს არ აღუპყრიათ ცისკენ გახრწნილი თვალები, რომ ერთხელ კიდევ გადაეხადათ მაღლობა მის-თვის, რომლის არსებობა და სიწმინდე არას დროს არ სჯეროდათ, მაგრამ რომელიც საუკეთესო საფუძველი იყო მათი კეთილმოწყობისა. მონასტრის გაუქმების შემდეგ, ყველანი საჩქაროდ გათხოვდენ, იმდენად საჩქაროდ, რომ ურწმუნო გლეხებშიაც კი გამოიწვიეს გაკვირვება-

ებლა ბოდბის მონასტერში მოთავსებულია კახეთის მაზრის სავადმყოფო. უფრო ნაყოფიერად ვერავითარ სხვა დანიშნულებას ვერ შეასრულებდა მონასტერი. ჯანსაღ ჰერს და შუვენიერ წყალს საპატიო ადგილი უჭირავს მედიკურ პერსონალში. პირველიც და მეორეც საუკეთესოა აქ.

მძლავრდება სიცხე. გზა კარგია, მაგრამ ცხენები ისე ნელა მიაგორებენ ეტლს, თითქო მეეტლეს დაპკარგოდეს ხმაც და მათრახიც-

— ასე ივლის ქედამდე (სიღნაღიდან ზემო-ქედის კომუნამდე 70 კილომეტრია), წამითაც არ გაუჯავრდება ცხენებს; მეუბნება თანამგზავრი.

— რატომ! ამას წინად...

— ამას წინად შენ იჯდომებოდი ისეთ ეტლში, რომელსაც და-ქირავებული კაცი მართავს; მას რა ენაღვლება ხაზეინის ქონება; ისე გარეკავს რომ... როცა თითონ ხაზეინებს დაყავს ეტლი...

კოფორსკენ ათითებს:

...მაშინ ცხენებს ძალიან უხარიათ ალბათ; მგზავრებს კი... რაღა ჩემი თქმა გინდა, თითონაც გაიგებ;

გზატკეცილმა უკანასკნელად მოუხვია. ეტლი ჩახრიალდა ბოლ-ბის ხევში.

ბოლბის ხევი გომბორის ტიტველ კალთებში ძევს. იგი წარმოა-დგენს მტკვარის ოდენა მდინარის დამშრალ კალაპოტს, ბრტყელი, რიყის ქვებით მოფენილს. ხევის ორივე ნაპირზე გაშენებულია სოფ-ლები, ბოლბის ხევი, ბოლბე და სხვა; ხევი განთქმულია მეჭურტკლეო-ბით (თიხა). გზა და გზა ვხედავთ უამრავ ქურებს და აგურხანებს, სადაც საოცარი ისტატობით ამზადებენ თორნეებს, ქვევრებს, ვიწრო-ყელიან კაკებს და სხვ.

თავისებურია ქიზიყის სოფლები. ისინი სრულებით არ გვანან დასავლეთ საქართველოს სოფლებს, სადაც კოხტაც წამოჭიმულ, ყავ-რით ან კრამიტით დახურულ სახლების წინ, გაშლილია დიდი ეზოები, წაბლის ან ეკლის სარებით შემოვლებულ ეზოს შუა — ქანდარი ან კაკლის მრავალ შტოება ხე, მუხლამდე კოინდარი, და არშინ-ნახევ-რიანი ჭა, რომელსაც ერთი, მაგრად მოწყურებული ძროხაც კი შე-სვაშს; ქიზიყის სოფელი ძალიან მოგაფონებთ ქალაქის გარეუბანს, სადაც ხვდება და ერთმანეთში ირევა ქალაქი და სოფელი. აღმშენებ-ლობის მძლავრ ტალღებს ჩამოურეცხავს ქიზიყის სოფლებისათვის პრიმიტიული სახე; როცა სიღნაღიდან ღამით გადავხედე რამდენიმე ათეულ ვერსზე ერთმანეთზე მიკრულ, ელექტრონით გაჩირალდნებულ სოფლებს — მეგონა რომ ჩემს წინაშე უზარმაზარი ქალაქი იყო.

პირველად ძნელად დასაჯერებელი იყო ჩემთვის რომ ეს თვალ-უწვდენი რიგები და ჯვარედინები ელექტრონის ბოძებისა და ფანჯ-რებისა, სოფელია და არა რომელიმე ჩემთვის უცნობი და დღემდე უნახავი ქალაქი.

ჩვენი მშენებლობის ტემპმა ეგზომ გაამალა და დააჭინაურა ცხოვ-რება, რომ ძალიან ჩქარი ნაბიჯები, მოქნილი გონება, მახვილი სმენა და მარჯვე თვალები უნდა გქონდეს აღამიანს, რომ უკან არ ჩამორჩე

მას. ცხოვრება გაზეთია — ამ სტუკის საუკეთესო მნიშვნელობით. უნდა ეცადო; ყოველდღიურათ იკითხო ის. არ უნდა სთქავა; მგრესათ ის წვრილმანია, რომ მის გაკეთებას ან მოფიქრებას ხევლეც მოვასწრებო; დღეისთვის საჭირო წვრილმანების და საქმეების ხვალე კეთება, ისევე უსარგებლოა და მიუზიდველი, როგორც ძველი გაზეთების კითხვა.

აგრე წიგნს ვსწერ დღევანდელზე და თანაც ვშიშობ: ჩემი წიგნი დაბეჭდვამდე არ მოძველდეს და მკითხველს არ ათქმევინოს:

— პო, ასეთი ჩვენ უწინ ვიყავითოთ...

მწერლისათვის არ გააჩერდება ცხოვრება: ცხოვრება კი გააჩერებს მწერალს, და თითებზედაც დაარტყამს, როცა იგი ელექტროფიკა-ციის მნიშვნელობას „ჩრდილების გაქრობაში და ღამურებისათვის ბინების ჩამორთმევაში“ დაინახავს. ქიზიყელ გლეხისათვის ღამურების უბინაობა მაინც და მაინც არც ისე „საჭიროა“, მაგრამ ის რომ, მისი წისქვილის ბედი ღამოკიდებულია პატარა ნაკადზე, რომელიც კვირაში სამჯერ შრება, მას ძლიერ აფიქრებს. ამისთვის გასაგებია ის ზეიში და აღფრთოვანება, რომლითაც გლეხობა შეხვდა ელექტრო საღურის გახსნას ქვემო მაჩხანში. ეს საღური „ღამურებსაც ჩამორთმევს ჩინას“, მაგრამ რაც მთავარია, აამუშავებს წისქვილს. ამავე სოფელში ეხლახან დამთავრეს თეატრის ორსართულიანი და რამდენიმე დარაზიანი კოპერატივის შენობები, რომელნიც მრავალ სამაზრო ქალაქს მოანატრებს თავს.

ერთი მოავარი ნაკლი ქიზიყის სოფლებისა, რომელსაც ეტლის კოფოდანაც შეამჩნევს კაცი, არის უსუფთაობა, სიბინძურე. ეკონო-მიურად და აღმშენებლობით დაწინაურებულ სოფლებში, როგორიც კარდანახია, ანაგა, ქვემო-მაჩხანი და სხვა, ასეთი მოვლენა სრულიად შეუთავსებელია.

ეზოები, სახლები, ქუჩები და სახელოსნოები გარეგნულად ისეთ შთაბეჭდილებას სტროგებენ, თითქო მიტოვებულნი არიან პატრონების მიერ. აქ არ მოსჩანს — მზრუნველი, მოუსვენარი ხელი, როგორიც მაგ, იმერელ გლეხს აქვს, რომელიც გულგრილად ვერ ჩაუვლის ღობეში წამოქცეულ სარს, ჩამონგრეულ სახურავს და სახლის წინ დაყრილ ნაკელს;

საუზმის და შესვენების შემდეგ, ჩვენი ეტლი აჩოჩდა მცირეოდენ აღმართზე და შეხრიგინდა უზუნდარას ტყეში. უზუნდარას ტყე ყაჩალებით უფრო განთქმულია, ვინემ ხეებით და ტყის დანარჩენ თვისებებით. გასაბჭოების პირველ დღეებში ვერც ერთი მგზავრი ვერ ჩაუვლიდა გზის ნაპირზე დაყოლებულ ბუჩქნარს გულდამშვიდებით

და მოსვენებით. ყაჩალები იმდენად გათავხედებული იყვნენ, რომ ბეს უფრო დაუტოვებდენ გამვლელს, ვინემ სიცოცხლეს. უპატიროსა დან ფული, პარტიულიდან სული-ო.

სიღნაღელებს ეხლაც ახსოვთ ერთი ღამე, როცა ამოულიტეს ოც-დაცხრა-სულიანი ოჯახი. ყოველი შემდეგი ღამე წინანდელისაგან მხოლოდ დახოცილთა რაოდენობით თუ განიჩრეოდა. სიღნაღის ბა-ლის კედელში ჩადგმულია ორი, ერთმანეთისაგან რამდენიმე მეტრით დაშორებული ლოდი.

ლოდებზე ავდარს ნახევრად ჩამოურეცხავს ცუდათ გაკეთებულს წარწერა, მაგრამ გადარჩენილ ნახევარითაც გაიგებთ, რომ იქ მარ-ხია უზუნდარას ტყეში, ყაჩალებთან და კონტრ-რევოლუციონურ ბანდებთან ბრძოლაში დალუპული მიღიციონერები. ასეთი ლოდების ხარჯზე მცირდებოდა ბანდიტების რიცხვი და უვნებელი ხდებოდა უზუნდარა.

ტყე გათავდა. ჩემი ყურადღება მიიპყრო გადაყვითლებულმა მინ-დერებმა. მარჯვნივ: მარცხნივ: პირდაპირ: მზესუმზირა. ქიზიყში ძა-ლიან გავრცელებულია მისი თესვა. კარგი მოსავალის გარდა ნამზეს-უმზირალ მინდვრებზე დათესილი პური „გადაირევა, საუკეთესო თაფ-თავს გაიკეთებსო“ მითხრეს.

სოფელ თუქურმიშადან იწყება შირაქი. მარილის პატარა ტბა გამოვიარეთ, მალლობზე ავედით და თვალი შეუჩერებლივ წაილო, გაიტაცა შირაქის ველმა; ვერ გადაიწვდინა და მარჯვნივ, ტანტონბზე გაქვავებულ ზეირთებივით დაფენილ გორაკებს მიაწყვიტა. მარცხნივ, რამდენიმე ათეულ საუენით დაბლა, ალაზნის ველია. მოუთმინარი სიცხე, ხვატი. ვერაფერზე ვერ შეგვიდგამს თვალი. არც ხე, არც ბუჩქი; ისე შევეჩიეთ ამ გარემოებას, რომ ერთად-ერთ კაკლის ხის გამოჩენას ჩემი თანამგზავრი ისეთი წამოძახილით შეხვდა, როგორც კოლუმბი, მისი გემის წინაშე აღმართულ მატერიეს. აქა-იქ, მაღალი ზეინების ჩრდილში ისვენებენ გლეხები. პური მომკილია. ნაპურალში ხანდახან გაიფრთხიალებს ეტლის ხმაურით შეშინებული მწყერი. მხი-არულად ჩახახებენ ჭრიჭინები.

შზე გადახრილიყო, როცა ტანდიდა, მგლისებური ქოფაკები ავი და ბოხი ყეფით გამოექანენ ეტლისაკენ. ყოველ შემთხვევისათვის ეტლის საფეხურზე ჩამოწყობილი ფეხები შიგნით შემოვკრიფე და ჩვენი ეტლი რბილად შესრიალდა სოფელ ზემო ქედის ფართე და მტვერიან შარაზე.

1926 წელს 25 იანვარს შესდგა სოფელ ჭემო ქედის ს. ს. კომუნის კრება. დაესწრო 22 მარტაცი და 8 დედაკაცი. სულ 30 წევრი. თავმჯდომარეობს კობა ჩოხელი, მდინარეობს ალექსანდრე კობაიძე.

დღის წესრიგი: 1. სამთავისის კომუნის წესის გაცნობა.
2. წევრთა დახალისება და მიღება.

მ ო ო ს მ ო ნ ၏

დ ၏ ა დ გ ၏ ნ ၏

სამთავისის კომუნის წესის (გაცნობის) შესახებ მოხსენება გააკეთა ამს. ბასილი ქავთაროვი, რომელიც აღნიშნავს იმ კომუნის წესწყობებს და მიღწევებს.

წევრთა გადახალისება.

მოისმინებს რა მოხსენება კრებამ ერთ-ხმად დაადგინა რომ ყოველი კომუნის წევრი ეცდება და ყოველ ღონისძიებას იხმარს ჩვენი კომუნის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას.

დახასიათებულ იქნა საეროო კრება — ზე თითოეული წევრი და მიღებულ იქნა კომუნაში შემდეგი ამხანაგება:

(ჩამოთვლილი 17 კაცის სახელი და გვარი)

ამ უბრალო კრებით იწყება ის დიდი ცხოვრება რომელმაც მძიმე და მდუმარე შირაქი გამოაღვიძა, აახმაურა, დააჩქარა, როგორც სა-დგური მატარებლის მოახლოვებამ.

შირაქის კომუნები, როგორც სახალხო მასიური მოძრაობა, რომელიც იზრდება ქვევიდან, არ დაბადებულა რომელიმე ქვეგანყოფილების მაგიდაზე:

— თავი გამაბეზრა ძალურმა ცხოვრებამ. თოხი არ დამიკრავს იმდენჯერ, ჩემი გაჩენის საათი რომ დამიწყევლია. ტანჯვაა კერძო გლეხის ჯაფა; რა უნდა იყოს სხვა! ორმოც წელს თავი მოუყარე, დღე და ღამე ერთი მქონია, ცაზე არ ამხედია...

მაღალმა, ოღნავ მოხრილმა მთიელმა ქლიავის ჩეროში მოთაშა-შე ბავშებისაკენ გაიშვირა წკნელი, რომლითაც ლაპარაკის დროს წრე-ებს და ოთხუთხედებს ხაზავდა მიწაზე:

...ორი ჩემია; ერთხელ მაინც დაეძახნათ — მამა — ისე რომ „პურა მშიაო“ არ დაემატებინათ ზედ; ეხლა კი, არა ნახე... შეერთებამ გვი-სნა, თორემ ჩვენი პაპისეული გუთანი...

მთიელმა წკეპლით სივრცეში ისეთი რაღაც შემოხაზა, რომ თო-თონვე გაეცინა;

პაპისეული გუთანით რომ სიღარიბეს და სიბინძურეს ვერ გა-ექცევი, კარგად იცოდენ ქედელებმა. იცოდენ ისიც რომ ოც-სათიანი

სამუშაო დღე უბარაქოთ ინთენდა წვრილი, კერძო მეურნეობის დღის ლურითით;

...რალაც უნდა გაგვეკეთებია, ახალი; ჩვენი ცხოვრების წესი უნდა შეგვეცვალა...

მაგრამ როგორ, რაში უნდა გამოიხატოს ახალი?!

თვალით ვერ ხედავდენ, ხელებით ვერ ეხებოდენ, წინაპართა გამოცდილებით და გადმოცემებით ვერ იხელმძღვანელებდენ;

ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში იყვნენ, რომ ერთმა მათ-განმა შემოისროლა სიტყვა „კომუნა“;

გლეხებმა მაგრათ ჩასჭიდეს ხელები ამ სიტყვას და შეეცადენ ნათლათ წარმოედგინათ მისი სიავეჯრებე;

— შეერთების საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს! გამოაკეთებს კი ჩვენს ცხოვრებას?

შიშით იქითხა ერთმა:

— ვცადოთ;

შესამეგ ჩაიცინა და შენიშნა:

— რატომ არ ცდი შვილოსა რა, ცარიელი მოხვალ — არ გამოვა არაფერი — და ისევ ცარიელი წახვალ; რა გაქცს, რომ დაკარგო!

შენიშნა იმდენათ დამატიქრებელი იყო რომ მეორე დღეს რამდენიმე შეძლებული გლეხი არ მოვიდა კრებაზე.

წარსულ ცხოვრების პირობებმა გლეხი დაარწმუნა, რომ ის მხოლოთ და მხოლოთ საკუთარ თავზე უნდა დაეყრდნოს. გაჭირვების უამს გარედან იშვიათად გამოეწევა დამხმარე ხელი. გოლვა და ჭირი, სეტყვა და კალია — მისი მეურნეობის დაუძინებელი მტრები — თვალის გამასუყებელ მშვენიერ ყანას და ლონიერ საქონელს, ისე დასცემს და გაავერანებს რომ მათზე მოგონების გარდა არაფერს არ დაუტოვებს პატრონს; ამისთვის გლეხი ყოველთვის ცდილობს, გადაირჩინოს, მოაგროვოს და სახვალით მოაგროვოს რამე, რომ შიშველი ხელებით და ცრემლებით არ შეხვდეს მისი ოჯახი კარზე მომდგარ უბედურებას.

გლეხი ფრთხილია და იჭვიანი. ყოველ ახალ საქმეში ხვალის უზრუნველყოფის საწინდარს ეძებს; უსაგნობას გაურბის. ცასაც კი საჩერებლიანობის თვალსაზრისით უცქერის და მხოლოთ მაშინ ახედავს მას, როცა ხვალინდელი ტაროსის გაგება სწადია. სიფრთხილე და იჭვი გლეხს ხშირათ ინიციატივის და ხელმძღვანელობის უნარს უკარგავს. მსხვერპლის გაღებას ერიდება. გლეხის ბუნება მიმბაძველია; აჩვენე, დაუმტკიცე რომ ამ და ამ საქმის წამოწყება მისი ოჯახი

ხისათვის ხეალის უზრუნველყოფას ნიშნავს — ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს მას.

მაშინვე, რა წამს კომუნის დაარსების იდეია წარმოიშვა, ზეშო-
ქედელებმა სამთავისის კომუნაში გაგზავნეს წარმომადგენლები.

— გაეცანით, დაუკვირდით მათ ცხოვრებას; მოდით და გვიამ-
ბეთ: როგორ ცხოვრობენ, რას აკეთებენ. შეისწავლეთ: როცა კერძოთ
ცხოვრობდენ, უკეთესათ იყვნენ, თუ ეხლაო...

მისცეს ნაკაზი თავიანთ კაცებს.

სამთავისის კომუნაში ასეთივე ნაკაზით არა ერთ და ორ სოფელს
მიუგზავნია წარმომადგენლები, და — საქართველოში ყველაზე ხნიერ
სამთავისის კომუნის დამსახურებაც მასშია რომ, არა ერთი და ორი
წარმომადგენელი გამოუსტუმრებია უკან ძალლური ცხოვრების გარ-
დაქმნის წყურვილით, იმედით და სიხარულით. ალბათ არ ფიქრობდა
სამთავისიდან გამობრუნებული ქედელი ბასილა ქავთარაძე, თუ ორი
სამი წლის შემდეგ, ისე გაიზრდებოდა მათი კომუნა, რომ მათთანაც
შემოაღებდენ კარებს გლეხები იმ მიზნით, რომელმაც რამდენიმე
ასეულ ვერსის მანძილზე წაიყვანა ბასილა.

დანგრეული ხილები

კომუნარებს უყვართ სტუმრები, მაგრამ ძალიან ეჯავრებათ სულ-
წასული და უადგილო ცნობისმოყვარეობა, რომლის დასაქმაყოფი-
ლებლათ სამუშაო საათების გაცდენა სჭირდებათ. ამ შემთხვევაში
უხასიათოდ გამოგელაპარაკებიან და გაგრძნობინებენ: ცოტათი თუ
შეწუხდები, კომუნის კარმილამოში გაივლი და საკუთარ თვალებს
და ყურებს კარგათ მოიხმარ, უფრო მეტს გაიგებ, ვინემ ჩვენი ზერელე
დაკითხვით.

კომუნარები თავმოყვარე ხალხია. მხიარულათ ეგებებიან ყოველ-
გვარ ექსკურსიებს და ცდილობენ რაც შეიძლება სრულათ და ნათ-
ლათ გადაუშალონ კომუნის მიღწევების სურათები.

სწყინთ, როცა მათი სურვილი დაუკმაყოფილებელი რჩება და
რომელიმე ექსკურსია ჩრდილში დასვენების და რამდენიმე მოსაკითხი
სიტყვების შემდეგ, უკანვე გაბრუნდება. კომუნარები ასეთ საქციელში
მათი შრომის დაუფასებლობას და უპატივცემლობას ხედავენ და
უკმაყოფილოთ ლაპარაკობენ.

— ფასონისთვის მოვიდნენ! მატარებელივით ჩამოგვიქროლეს და
გაქრენ, შემდეგ იტყვიან — კომუნა ვნახეთო!

ჩვენ კი, პატარა რიდი და უხერხულობა, რომელიც უფროშე
ხალხში და გარემოებაში (პირობითად ვლაპარაკობ) მოხვედრობის
ახასიათებს, მალე მოვიშორეთ კომუნის ყოველდღიურ საქმიანობაში
ჩაბმით; არამც თუ შენობის, ყოველი კომუნარის გულიც ღიაა
ჩვენთვის.

კომუნის საბჭოს მიერ კანცელიარიაში მომუშავეთ გამოყოფი-
ლია, კომუნის ერთ-ერთი დამაარსებელი, სიმონ ჩხერელი. საქართვე-
ლოს ყველაზე დიდი კომუნის ქალალდების და ანგარიშების წარმოება
არც ისე ადგილი საქმეა, მაგრამ სიმონი მაინც ახერხებს მინდვრის
სამუშაოებზე გასვლას. კომუნის დაარსების რამდენიმე მომენტის შო-
თხრობა დამპირდა. მივდიოდი მასთან პირობის მოსაგონებლათ.

როცა გლეხის ჭიშკარს მიადგებით, დაყეფს ძალლი, გამოჩნდება
მასპინძელი და ორთავე გამოეშურება თქვენსკენ. იმერელი ყოველ-
თვის გამოასწრებს თავის ძალლს და დამშვიდებული შეყვებით ეზო-
ში. ქიზიყში კი პირიქით ხდება. დაწინაურდება ძალლი და მასპინ-
ძელის მოსვლამდე სამჯერ მაინც შემოგარენინებს ეზოს და გადა-
გიტრიალებს გულს. ყოველთვის, როცა კანცელიარიის ეზოსკენ მარ-
ტოთ მივდიოდი, შორიდანვე დავიწყებდი წყალწალებულ კაცივით
ხელების ქნევას, ვიდრე არ გამომხედავდა ვინმე. ეხლაც სიმონის საი-
მედო მხრებს შევაფარე თავი, ფეხაკრეფით როგორც ქურდმა. ავიარე
საეჭვო სიმაგრის კიბე და შევედით კანცელარიაში. ორი მაგიდა ქა-
ლალდებით და დავთრებით სავსე. კედლებზე პლაკატები და რუქები.
ერთი, უცხო ენაზე შედგენილი დიდი რუქა წარმოადგენს ომამდე
არსებულ ევროპას. კომუნარები ხშირათ ეძებენ ამ რუქაზე საბჭოთა
კავშირის ევროპიულ საზღვრებს, წამდაუწუმ გადაუცდებათ თითო
და ხან პოლონეთს გაასაბჭოებენ, ხან ლატვიას.

ქვემო სართულის აიგანზე კომუნის წევრი არწევს აკვანს. იგი
ბრმა არის ორივე თვალით. საერთო საქმიანობის ხალისს ისიც გაუ-
ტაცნია და ჩრდილში უქმად ჯდომის მაგიერ, გამოუნახავს მისთვის
შესაფერი საქმე: ნელინელ დაბაჩუნობს ეზოში და მის მახვილ სმენას
არც ერთი ატირებული ბავში არ გამოეპარება; დაუჯდება თავთან
და ურწევს აკვანს.

— საიდან დავიწყო?

მეკითხება სიმონი:

— ი იქიდან... წესდება რომ შეადგინეთ;

— აბა ეგ რა არის, ისეთი არაფერია; გამოუცდელები ვიყავით;
დავჯექით ერთ ღამეს, ჩამოვწერეთ ოცი მუხლი... აკი დაგვეკარგა

ის წესდება; რა იყო კაცი რომ მომავლნდება! რამდენი ისეთი რამეები ჩავწერეთ შიგ!

სიმონი თავს აქნევს და იღიმება. მის ღიმილში ვკითხულობდა: — რა ბავშობა, რა გულუბრყვილობა იყოო. თითქო რცხვენია იმ ღამის, რომელმაც ბავშურ გატაცებამდე მიიკვანა მისი დინჯი გონება.

არა, მეგობარო სიმონ, შესაძლებელია იმ წესდების ზოგიერთი მუხლი ბოძებივით ვერ შესდგომოდა თქვენს ახალ საქმეს, ის ვერ გამოაძლებდა დამშეულ პუტებს. ვერ მორწყავდა გადამხმარ მინდვრებს, მაგრამ მან როგორც უზარმაზარმა მაშხალამ, წინ წაგა- გდოთ თქვენ. იმ პირველმა ღამემ დაგძრათ ადგილიდან, სადაც მრა- ვალი წლების განმავლობაში იყავით დაბმული.

— დავდივარო სოფელში, ვწერთ სიაში ისეთ გლეხებს, რომელ- საც ვენდობით. 35 კაცი ჩამოვწერეთ. მოსალამოვდება, შევიკრიბე- ბით, დავდივარო, ვკამათობთ. გადავწყვიტეთ შეერთება; ვერ ამოვა- რჩიეთ კი: კომუნა თუ არტელი, არტელი თუ კომუნა; ვინც მოჯა- მდებირე იყო, კომუნას ემხრობოდა: — არც სახლი მაქვს, არც კარიო. არტელში რომ შევიდე, სახლს ვინ მომცემსო. ღატაკი ვარ, ღატაკათ დავრჩებიო. რახან ერთობილ ცხოვრებას ვიწყებთ, ბარემ ყველაფერი გავაერთიანოთ და ბინებიც ახალი აფაგოთო. ზოგიც გაიძახოდა: — არ- ტელში წევრები მარტო მსხვილ მეურნეობას — მიწებს აერთიანებენ, წვრილი ქონება კერძო საკუთრებათ რჩებათო; ვინ იცის, იქნება არ- ტელის ზოგიერთმა წევრმა საერთო მეურნეობას უღალატოს და თა- ვის კერძო ქონების გაძლიერებას მიყოს ხელით; რას არ გაიძახოდენ; ორ მეურნეობას — კერძოს და საერთოს ვერ გაუძლვებით, ერთი გვქონ- დეს და კარგიო. არტელებს შეძლებულები უფრო ემხრობოდენ; — ჯერ ვნახოთ არტელში როგორ შევთვისდებით, როგორ შევეწყობით ერთ- შანეთს, — კომუნაზე შემდეგ ვილაპარაკოთო. დავდივარო, ვიკრიბე- ბით; სულ ამაზე ვკამათობთ. როცა თითეულმა ჩვენგანმა გაიგო, რომ კომუნა ყოველგვარ კერძო საკუთრების მოსპობას ნიშნავდა, ზოგი- ერთმა რეევა დაიწყო. 35 კაციდან საღამომდე 30 კაცზე ჩამოვიდა სია; ვილაპარაკეთ, ვილაპარაკეთ კომუნის შესახებ და მეორე დღეს 20 კაცი დავრჩიოთ. კიდევ ვილაპარაკეთ, ვიკამათეთ... მესამე დღეს კრებაზე 17 კაცი მოვიდა. გაღაწყვიტეთ კომუნა:

... ინკვისი ყინვები იყო. მივანგრ-მოვანგრიეთ ჩვენი გომურები და ქოხები, მიწასთან გავასწორეთ. ახალგაზრდა და მოხუცი, ქალი და ბავში — ყველანი ფეხზე დავდეჭით. დიდი გაჭივრებით და წვალებით მოგზიდეთ ქვები. დავიწყეთ დროებით საერთო საცხოვრებელ ბინის

აგება; რაც ჩვენ მაშინ გადაგვხდა, ძნელია მისი აღწერა! გარეთ უფა-
რა ნახევარი ხალხი:

— რალას ანგრევდით ქოხებს! დროებით ბინათ ისინიც ხომ გა-
მოდგებოდენ?! ჯერ გეშოვათ თანხები, დაგემზადებიათ მასალა და
ზაფხულში შედგომოდით საერთო საცხოვრებლის აგებას!

სიმონმა ჩაიცინა და თვალები გაუბრწყინდა:

— ჩვენ სიმტკიცე და გატანა შევფიცეთ ერთმანეთს, მაგრამ
მაინც ვშიშობდით; ახალ საქმეს ვიწყებდით, ახალი ცხოვრების შო-
წყობა გვინდოდა; ახალ საქმეს ათასი დაბრკოლება შეხვდება; იქნებ
რომელიმე ჩვენგანი გაეტეხა, შეეშინებია რამე დაბრკოლებას და ძვე-
ლი, კერძო ცხოვრებისაკენ დაბრუნების სურვილი მისცემოდა; უკან
გასაბრუნებელი ხდებოდა ხილები ჩავინარება, ჩავინარება და ძვე-
ლი, კერძო ცხოვრებისაკენ დაბრუნების სურვილი მისცემოდა; უკან
გასაბრუნებელი ხდებოდა ხილები ჩავინარება, ჩავინარება და ძვე-
ლი, კერძო ცხოვრებისაკენ დაბრუნების სურვილი მისცემოდა;

გაკვირვება „ცრუმორწმუნეობაა“; უკვირს პასიურ მჭვრეტელს;
გლეხს აკვირვებს ვარსკვლავები, მაგრამ მეცნიერულათ დაუმტკიცეთ
მისი გაჩენის მიზეზები, მაშინ ის გულგრილობას გამოიჩენს ვარს-
კვლავების მიმართ; გაკვირვება შეეცვლება იმ სიხარულათ, რომელ-
საც ცოდნა, მოვლენის მონაბიძან განთავისუფლება და მასთან
გათანასწორება იწვევს ადამიანში. ჩვენ მეცნიერულათ ვიცით რომ
მშრომელთა მასების ენტუზიაზმით განოყიერებულმა ღიად სამუშაო-
თა გეგმამ სასწაულები უნდა მოახდინოს ჩვენს მეურნეობაში. ამის-
თვის ჩვენ არ გვაკვირვებს ჩვენი მიღწევები; ისინი ბუნებრივი გა-
რძელებაა 25 ოქტომბრის ღამის.

ეხლა კი, ამ წუთში მთლიანათ გაკვირვების ნიშანივით ვიდექი;

— უკან გასაბრუნებელი ხიდები ჩავშალეთ... ეს სიტყვები შე-
იძლება ამოიკითხო წიგნში და დაგავიწყდეს; მაგრამ როცა ამას გაი-
ვონებ გლეხისგან, რომლის ოცნება და მიზანი საკუთარი, სავსე ბე-
ლელის იქით არასრიოს არ მიღიოდა, მაშინ შეუძლებელია მისი და-
ვიწყება; შეუძლებელია, რადგან იგრძნობ რომ გლეხის კონსერვა-
ტიულ ტვინს მძლავრათ დასჯახებია ახალი ქვეყანა.

ლირიკული უპან დახევბა

— ყოველი წერა-კითხვის მცოდნე, ყველა წიგნს ვერ გაიგებს! —
სისინებდენ ჩვენი უალრესათ განათლებული მტრები, რომელნიც ცოდ-
ნის დიპლომს ჯიბით ატარებდენ და არა თავით, — როცა ჩვენი სა-
ქარხნო-საფაბრიკო მშენებლობა წაიკოჭლებდა საღმე;

ჩვენ ავაშენეთ ზაგესი.

ერთმა ცნობილმა ქართველმა მწერალმა, რომელიც უკრაშამი უნიათო ინტელიგენტის თვალებით ხელავს საქართველოს და რესპუბლიკის უმრავლესობის სახელით ლაპარაკობს, დაცინვით მითხრა:

— რა გამოვვიჭელეთ ყური მაგ ზაგესით; სოციალიზმს რომ ზაგესებით აშენებდენ, ამერიკაში არც ერთი ელექტრო სადგური არ იქნებოდა; ამერიკელებს სახლებში უდგათ ზაგესის ოდენა სადგურები! მათგან სწავლობთ ნივთების კეთებას, მაგრამ უკანონოთ შობილ ბავშვივით ჩუმათ ნათლავთ და ოქვენს სახელს არქმევთო!

ჩვენ ვსწავლობთ ბურჟუაზიულ ქვეყნებიდან ნივთების კეთებას. მტრისგან კარგის გადმოლება რომ „სასირცხო“ იყოს, მაშინ ჩვენი „პატივცემული“ მწერალი არ შეეცდებოდა ესწავლა პროლეტარულ მწერლებისაგან რევოლუციონურ ლექსების წერა; ჩვენ ვსწავლობთ, მაგრამ არ ვგევართ იმ მოწაფეს, რომელსაც წვერ-ულვაში სასკოლო სკამზე ამოდის. ჩვენ ვსწავლობთ ამერიკელებისაგან ნივთების კეთებას, ჩვენ კი ვასწავლით ამერიკის მშრომელ ხალხს ამ ნივთებთან დამოკიდებულებას.

მე ვნახე ქიზიყში ჭალარა გლეხი. ის არ გაშორებია ქიზიყს და თავის გომურს, რომელშიაც ისე წვიმდა და ჰქონდა ქარი, როგორც მინდორზე; მაგრამ მას თავის მიყრუებულ სოფელშიც უნახავს სამი დიდი, თბილი და კარგი შენობა, რომელსაც უხვად აშენებდა იმპერატორის ბინძური ხელი;

ციხე, ყაზარმა და ეკლესია.

ამერიკაში ნივთები კეთდება იმისთვის რომ საკოები და ვანეტები დაჯდენ ელექტრონის სკამზე.

ჩვენ კი ვაკეთებთ ნივთებს რომ ასეთმა ქიზიყელმა გლეხებმა შევიდენ და იცხოვრონ ისეთ შენობაში, რომელშიაც არც წვიმა ჩამოვა, არც ქარი გამოიქროლებს და რომელიც ამავე დროს არ იქნება არც ციხე და არც ეკლესია.

ჩვენ შედარებით უმტკივნეულოთ და სწრაფათ ვისწავლეთ ფაბრიკა-ქარხნების შენება. ისინი ჩვენამდეც შენდებოდენ და ქონდათ მდიდარი წარსული. მთელი სიძნელე კოლმეურნეობათა მოძრაობის განვითარებისა მათ სიახლეში გამოიხატება, ამ საქმეში ჩვენ უწინაპრონი ვართ. გასაგებია ის წინააღმდეგობანი და „ჩავარდნები“, რომლებსაც ყოველ კომუნის ისტორიაში საკმაო ფურცელი უჭირავს.

სახელდახელოდ აგებულ ბინებში შინაურ კაცივით დასეირნობდა ქარი და ყინვა. გამოუცდელმა ხელმა ასჯერ უნდა გააფუჭოს საქმე რომ მისი გაკეთების საიდუმლოებას მიაგნოს. ასეთი ხელების ტრიალი იქ, სადაც თითეული დაკარგული მარცვალი საგრძნობ გავლენას ახდენს გლეხის კუჭზე, დარღვევით ემუქრება წამოწყებას. იმედი გარგი საქონელია, მაგრამ თუ მისი ფლოქვები მაგარი ნალებით არ არის დაჭედილი, შორს ვერ წაგიყვანს. ძრებოდენ, იმსხვრეოდენ ნალები და უჭირდათ კომუნარებს სიარული. უგეგმობა, სუსტი ხელმძღვანელობა და ცუდათ დაყენებული აგრო-დახმარება კომუნარების ყოველ ახალ ნაბიჯს უკუ-აქცევდა, როგორც კედელი რეზინის ბურთს.

— აგრონომის რჩევით ნამყენები მაისში დავთესეთ; ნამყენები წახდა. ზოგი ჩვენგანი გაიძახოდა: — მაისში სად გაგონილა ნამყენიო, — მაგრამ აგრონომი ხომ იცით... მისი სიტყვა ჩვენ სიტყვაზე მეტად ლირს; დაუჯერეთ და დავლუპეთ ნამყენი: — ლაპარაკობდა საბჭოს წევრი.

გარდა ამისა, პირველათ კომუნაში მოხვდენ უცხო ელემენტები, რომელთა ინტერესები არ ეგუებოდა კომუნის საერთო მისწრაფებას. გაჩალდა ინტერესთა თამაში და კომუნა ირყეოდა როგორც ნავი; ჯერ შეუმჩნევლათ: საერთო გაჭირვება ანელებდა რყევას, მაგრამ პირველი მოთხოვნილების საუნების მოპოების შემდეგ ინტერესთა სხვადასხვაობა თანდათან გალრმავდა და პატარა რყევა გადაიქცა უზარმაზარ დელვათ და ბრძოლათ.

გათავდა პირველი ზამთარი. გათბა დღეები და იფეოქა მიწიდან სიმწვანემ. დაიძრა ცხვარი მთებისაკენ და ოკეანესავით აღელდა ჯეჯილი შირაქზე.

მოგუგუნდა პირველი ტრაქტორი კომუნის ეზოში.

— გაუშვით ი ჩვენი სოციალისტი მინდვრებზე; ახრიალდა, აქშინდა; ორ დღეში არ გადმოაბრუნა ჩვენი მიწები! მიადგა მიჯნას და გაჩერდა; ტრაქტორი და მიჯნა!?

ცეცხლი და წყალი უფრო მორიგება; ხარბა, გაუმაძლარი, დიდ მინდვრებს თხოულობს!

მიყვებოდა კომუნარი „სოციალისტი“-ს თავგადასავალს. (კომუნარები პირველ ტრაქტორს სოციალისტს ეძახიან).

გაჩერდა ტრაქტორი. დათიქრდნენ კომუნარები. მიხვდენ: რაც ცხრა უღელა ხარ-კამეჩისთვის ბევრია, ტრაქტორს „საუზმეთაც“ არ ყოფნის. პატარა მიწის ნაჭერზე ტრაქტორის დატოვება დანაშაულია

ტრაქტორის და სახელმწიფოს წინაშე. ტრაქტორი მაშინ იქნება სა-
სოფლო მეურნეობის სოციალისტი, როცა „სასადილო“ და „საქართველოს მიწებიც და „პარტბიროტვი“-ც ექნება მისაბმელ მანქანების სახით.
კომუნარები დარწმუნდენ რომ კომუნის განვითარებას უზრუნველ-
ყოფს ტრაქტორის შესაძლებლობათა მთლიანად გამოყენება.

მინდვრის სამუშაოების გარდა, ტრაქტორი საუკეთესო ძალაა
ტრანსპორტისათვის; ტრაქტორით შეიძლება პატარა ქარხნის ამუ-
შავება; ყველაფერია ტრაქტორი, როცა იგი მსხვილ მეურნეობაში
მოქმედობს; დარწმუნდენ აშაში კომუნარები და დიღი ენერგიით
შეუდგენ საზღვრების გაფართოვებას.

ინსტიტუტის ჯანები

ძველი გლეხის სამყაროს შეადგენდა მისი საკუთარი ოჯახი და
ნივთები. მის წვრილბურჟუაზიულ მსოფლმხედველობას ქმნიდა პი-
რადი, პატარა მიზნისათვის ბრძოლა. მისი ინდივიდუალისტური ბუნე-
ბა გაურბოდა საზოგადოებრივობას. დღევანდელი გლეხი ხედავს, რომ
კოლექტივს გამოყავს ის სიღატაკიდან. ეკონომიური მდგომარეობა
უკარნახებს მას კოლექტივში შესვლას, მაგრამ საუკუნოებით გამო-
ჭედილი კერძო საკუთრების ინსტიქტი იმდენათ მძლავრია, რომ აქე-
რებს გლეხის სწრაფვას კოლექტივისაკენ და ახალ ინსტიქტებს უმარ-
თავს ბრძოლას. ხშირათ გლეხი გაურბის საკუთარ არსებაში ორი
ქვეყნის შეჭიდებას და ცდილობს კოლექტივს მისცეს ისეთი ფორმა,
რომელიც შეუნარჩუნებს მას თავის ინდივიდუალისტურ, წვრილბურ-
ჟუაზიულ ბუნებას. რამდენიმე კომლი (შვიდი-რვა) ერთიანდება და
აძლევს კომუნას ტრადიციულ ნათესაურ-გვარეულობის ინსტიქტე-
ბით წარმოშობილ ოჯახის ხასიათს. ასეთი „კომუნა“, რომელიც ჩვე-
ულებრივ გაუყოფელ ძმების ოჯახს მიაგავს, დაკეტილია გარეშე პირ-
თათვის, მით უმეტეს არათრის მქონე სოფლის პროლეტარიისათვის.
ცრუ კომუნის წყალობით გლეხი გადაარჩენს თავის თავში ძველს,
იკმაყოფილებს კერძო საკუთრების ინსტიქტებს. მას ეძლევა კომუ-
ნაში მის მიერ შემოტანილ ნივთებთან დამოკიდებულების და მათი
განცალკევების საშუალება. გლეხი ერიდება იმ „ტკივილებს“, რომე-
ლიც მოსდევს მისი ნივთების სხვებში ოლრევას და „დაკარგვას“.

რამდენიმე ფერდებ დამრგვალებული და კარგი მეწველი ძროხა
მოიყვანა მარიამმა შირაქის ერთ-ერთ კომუნაში; როცა მარიამმა კო-
მუნაში შემოსვლის სურვილი განაცხადა, კომუნარებმა გააცვნეს კო-
მუნის წესებს.



მარიამი ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე ქალია. შრომა და გარეული მისთვის ისეთივე მოთხოვნილებათაგანია, როგორც საზრდო და მიღლივი:

მას იზიდავს საერთო ცხოვრების ფერებული. ვისთან რა ეწება საღაო და საკინკლაო!?

მარიამი ყველასთან შეხმატებილებულათ იცხოვრებს კომუნაში. მისი ლონიერი მხრები ბერკეტებივით შეუდგებიან საერთო გაჭირვებას; საერთო მხიარულების დროს კი, მისი თვალებიც გაიცინებენ და მისი ფეხებიც ათამაშდებიან.

დავალების შესრულება!?

მარიამი იცინის;

განა თვითონაც არ იცის რომ კომუნაში არ ედგომება ზარმაც წევრს!?

ყოველი, ყოველი მუხლი წესდებისა მისაღებია მარიამისათვის: არამც თუ მისაღები, კიდევ მეტი: წესდებაში ისეთი რამეებიც სწერია, რომელიც მთლიანათ გაშლის და გამოიჩენს მარიამის აღამიანბას; კერძო ცხოვრების დროს რამდენი მდიდარი და ჭივიანი აზრი გაჩენილა მის ფართე შუბლში, მაგრამ ყველანი შიგნითვე ჩამკვდარა და ჩაქოლვილა, როგორც წიწილები, რომელთაც გარედან არ მიეშველებიან ნაჭუჭის გატეხაში. ვინ დააძვრევინებდა ენას. მარიამი ქალი იყო. მაშასადამე, მოახმარდენ და გამოიყენებდენ მისი სხეულის ყოველ ნაწილს, გარდა იმ ადგილისა, სადაც იბადება აზრი.

აქ კი, კომუნაში, ოლონდაც გვითხარი, გვირჩიე, გაგვითანასწორდი; შენი ყოველი სიტყვა და საქმე აღიბეჭდება, როგორც დალი, როგორც ნაწეიმარზე ქვალი.

— ჩემისთანასთვის ყოფილა გაჩენილი კომუნა!

ფიქრობდა მარიამი და მიღენიდა თავლისკენ ძროხებს. მხოლოდ ერთხელ, მხოლოთ წამით შეკრთა და შეეჭვდა ქალი, როცა გაიგო რომ დღეიდან მისი ფერდებ დამრგვალებული ძროხები მარტო მის საკუთრებას არ შეაღგენენ; ქალი მიხვდა რომ მას ქონებაში შეეზიარა ვიღაც სხვა; თითონ კი ვერ იგრძნო სხვათა ქონებაში საკუთარი თავი და წილი; გლეხი ქალის მკერდში შეირხა მიძინებული პატარა მხეცი, რომელსაც კერძო საკუთრების ინსტიქტი ეწოდება. მხეცმა წამოყო თავი და აგრძნობინა მარიამს: კომუნა მას გაუტკბილებს სიცოცხლეს, ვინც ამ მხეცს მკერდშივე ჩაჰკლავს, და გადაისროლის; მტკიცეთ იჯდა მხეცი ბუნაგში. ყოველი მისი გაღვიძება სიტკბოსა და სიამაყეს გვრიდა მარიამს; მაშ დარჩეს, რა უშავს!?

ის რომ განდევნოს, რითი შეავსოს მისი ადგილი. ძნელია დაცარიელებულ გულის ტარება; ვიდრე იპოვიდეს შემცვლელ გრძნობას, დარჩეს შესაცვლელი;

მარიამი შევიდა კომუნაში;

ღელავს, შრიალებს მაღალი, რძიანი და მსუყე-ხორციანი, ფალეზი შირაქვე; დადიან მინდვრებზე კომუნის ძროხები, ივსებენ ფერლებს, სუქდებიან და იმატებენ წველას. სალამოთი მოლალავენ ძროხებს ბიჭები; მკლავებ და კაპიტებული ქალები შეუდგამენ ქოთნებს გატენილ ცურებს; არაკრაკლება გაკრიალებულ ქოთნების ძროზე სქელი და ნოყიერი რძე;

ძროხების საწველათ სამი ქალი გამოყო კომუნამ. მათ რიცხვშია მარიამი.

რათ ბუზლუნებენ ეს ქალები, როცა მარიამი პირველათ თავის მოყვანილ ძროხებს მიგარდება მოსაწველათ! განა დანაშაულია რომ მარიამს ძალიან უყვარს თავისი ძროხები? ქალებისთვის ხომ სულ ერთია, საქმეში ხომ არ ჩამორჩება მათ! მაშ ნუ წაართმევენ ამ პატიარა სიხარულს და მისი ძროხების მოწველა მასვე დაუთმონ; მარიამის ჩვეულებით ქალები თითქო შეურაცყოფილათ გრძნობენ თავს; მათვის გაუგებარია მარიამის საქციელი. მეწველი საქონელი საერთოა. ყოველი ქალი ვალდებულია თითოეულ ძროხს ერთნაირათ მიხედოს და უპატრონოს. ქეთევანმაც მოიყვანა კომუნაში ძროხა, მაგრამ მას თავის საქონელზე მეტათ მარიამის თეთრშუბლა უყვარს. რატომ? თეთრშუბლა მეტს იწველის, მეტად ასარგებლებს კომუნას; მარიამს კი გონია რომ მხოლოთ და მხოლოთ მას უცქერიან მისი ძროხები ასეთი მშვიდი, სიყვარულით და სასოებით დაწყლიანებულ თვალებით; ქეთევანზე მეტი სიყვარული და ზრუნვა უნდა გამოიჩინოს მარიამმა მათდამი; და მარიამიც, როცა მის თეთრშუბლას ვინმე მიუალერსებს, წავა და ჩუმათ ათჯერ მეტს აკოცებს და მოეფერება მას;

ერთ არა მშვენიერ დღეს კომუნამ თავის საჭიროებისათვის გაყიდა რამდენიმე ძროხა; რა არის მოულოდნელი და გასაოცარი?! არაფერი;

მარიამისათვის კი

— განგების გამიყიდეთ ჩემი ძროხები; ქეთევანს ეხარბებოდა და იმან შეგაცლინათ; რალის ჩემები გაიმეტეთ, შემომიტყუეთ კომუნაში და დამაქციეთ, თვალის ჩინი დამიბნელეთ... ჩემი თეთრშუბლა... ჩემი მაცოცხლებელი... ჩემი...

ყვიროდა ქალი. ცეცხლ მოკიდებულივით ეწოდა სახე.

— ქალო, რას ქვია შენი! გადარეულხარ; კომუნაში ვინ გაიგონა შენ-ჩემობა; ძროხები გინდა? გახედე, რამდენი გვყავს კიდევ შენი იყოს!

ამშვიდებდენ კომუნარები; უმტკიცებდენ რომ არავის არ განუ-
ზრახავს მისი ღაქცევა; გაყიდეს; მერე რა! მარიამს მოაკლდება სასმელო—
საჭმელი, ჩაცმა-დახურვა? რასაკირველია ორა. განა რძე, რომელ—
საც მარიამი სვამს, განა კაბა, რომელიც მარიამს უყიდეს, საერთო
დოვლათი, რომელშიაც მარიამსაც უდევს წილი, მარტოდენ მისი ძრო-
ხების შემოტანილია?! წამით ღამშვიდდება ქალი: წამშვივე ამოძრავდე-
ბა მხეცი და მაცდურათ ამოსძახებს: — არ ღამშვიდდე, არ მოისვენო...

საგონებელში ჩავარდა ქალი; გახდა, დასუსტდა. ღაფლაჟა ლო-
ყებზე გადაჯრა სიყვითლემ. პატარა მხეცი აკეთებდა თავის საქმეს.

— ქალო, აგე ძროხები. მოწველიდე, მოუარდე, ესენიც შენია!

— ქალი ქვითინებდა პასუხის მაგიერ;

— არ მინდა; ჩემ თეთრშუბლას ცურს რომ თითები ვერ შევავ-

ლო, მოვკვდები, დავიწვები-ო.

— ლოგინათ ჩააგდო ჯავრმა, დააწვინა; ისე შეგვაწუხა ყველა, კი-
ნალამ დავიბრუნეთ ძროხები! — მითხრა კომუნარმა და ღიმილით გადა-
ხდა იქვე მდგომ მარიამს; მისი დარცხვენილი თვალები ლაპარაკობდენ:

— რაღა მარტო მე გამამხილეთ ამ უცხო კაცთან! სხვები?!?

მის გულში ნელი-ნელ შეჭრილა ახალი, უზარმაზარი გრძნობა,

რომელსაც სიტყვა „ჩემი“-ს გარდა, ყველაფერი ესმის და უყვარს.

წვრილი, ცრუ კომუნები ზემო ქედის კომუნის მახლობლათაც
გაჩნდენ. პირველი კომუნარები ხელმძღვანელობას უწევდენ მათ, მაგ-
რამ როცა დაინახეს, რომ ისინი „მარიამების“ გარდაქმნის მაგიერ,
მათ წინაშე დაომტბებზე მიღიან, განიზრახეს მათი შემოერთება;
წვრილმა კომუნებმა პირველათ უარი განაცხადეს:

— ავირევით, ავისვრებით, ძალლი პატრონს ვერ იცნობსო! —
ქედელებმა არ დაიხიეს უკან; მიიტანეს მეორე იერიში; შეიჭრე
მტკიცე საბუთებით და ჩააფიქრეს გაჯიუტებული გლეხები;

— ამხანაგებო, კარგი გინდათ თქვენთვის არა?

— რატომ? კომუნაც მისთვის დაგვიარსებია!

— კარგს რომ კარგი მიუმატოთ?

— ეგ როგორ კობა, აგვიხსენი!

უხსნიდენ კომუნარები თუ რა სარგებლობას მოიტანს სამი კო-
მუნის გაერთიანება: პირველი: შვიდი ოჯახისაგან შემდგარი კომუნა
წვრილი მეურნეობაა; მასში შეუძლებელია მანქანების სათანადოთ
გამოყენება; მეორე; მუშა ხელების მიზანშეწონილათ განაწილება:
თითეულ კომუნის საქონელს გასარეკათ და მოსავლელათ სამი კაცი
სჭირდება; სამივე კომუნისას — ცხრა; კომუნების გაერთიანებულ სა-
ქონელს კი სამი კაციც ეყოფა; ნახირი — ნახირია; ოცი და ორმოცი

სული რომ შეემატოს, მწყემსების რიცხვი მაინც უცვლელათ რჩება; ეხლა სკას მოვლა... ეხლა ეს... ეხლა ის... უანგარიშეს ქედელებმა და დაუმტკიცეს, რომ კომუნების გაერთიანებით ორი ათეული მუშა ხელი განთავისუფლდება საქმის დაუზიანებლათ; ორი ათეული მუშა ხელი კი რად ღირს სოფლის მეურნეობისათვის?! მათი შემწეობით შესაძლებელია სულ ახალი საქმის წამოწყებაც; მარტივმა, მაგრამ დაბაჯერებელმა არითმეტიკამ ჩააქრო ძველი ინსტიქტების ჯანყი; გაერთიანდენ კომუნები; რამდენიმე ათეულმა, მაგარ-მაგარ ძვლებისაგან გაკეთებულმა გლეხმა მანქანების მეთაურობით სასტიკი ომი გამოუცხადა სილარიბეს;

„ნაცნობი“

ადგილი, სადაც არ შეიძლება მოწყენა და მარტოობა, მატარებლის მესამე ქლასია; რონოდაში ისევე აუცილებელია ნაცნობის გაჩენა, როგორც ადგილის მონახვა; ჩემს პირდაპირ სამი გლეხი კამათობს — ჩინელ და თეთრგვარდიელ ბანდების თავდასხმების შესახებ საბჭოთა ტერიტორიაზე. ერთ მათგანს, საშუალო ხნის გლეხს, რაღაც ეშმაკათ გამოველაპარაკე. მაშინვე მომიჯდა გვერდით და დაიწყო ის საშინელი დაკითხვის პროცედურა, რომელსაც ცნობისმოყვარე გლეხთან შეხვედრა გულისხმობს. ვინ ვარ, სად მივდივარ, რატომ მივდივარ, სად ვმსახურობ, რა ამბავია ქალაქში და სხვა; ჩემი პასუხებით ვაგრძნობინე, რომ ეხლა ასეთი გრძელი საუბარი ძალიან საძნელოა მისოვის, რომელსაც ძლიერ ეძინება და რომელმაც ხეალკარგი მოზრდილი გზა უნდა გაიაროს ფეხით; მომშორდა, მაგრამ ვაი ასეთ მოშორებას; ჩაერია გლეხების კამათში; ჩავთვლიმე და სუსტათ მესმის მისი ლაპარაკი; ამტკიცებს: — ომი დაიწყო, მაგრამ გვიმალავენო; იტყვის ორ-სამ მოგონილ ჭორს, მერე გაღმოიწევა ჩემსკენ და ტკბილათ მოვლემარეს, თითქოს თავში დამარტყესო, ისე დამეცემა მისი სიტყვები:

— მართალს ვიძახი არა, ამხანაგო?

წამდაუწუმ მიმოწმებს; გამიჭირვა საქმე; ვიღაცამ კალია ახსენა, მაშინვე გამოაბა კუდი და მიამბო რამდენიმე დღის წინათ როგორ გააჩერა კალიამ კახეთის მატარებელი; ვიღაცამ ყაჩალების უკანასკნელი თავდასხმა მოიგონა:

— უზომო გადასახადები ვერ იიტანეს და ტყეში გავარდნო!

ჩამილაპარაკა და მასზე შეწერილ გადასახადების სიღიღის და უკანონობის შესახებ ჩამოაგდო სიტყვა; ვიცანი ბობოლა; დამაინტერესა. ორი-სამი შეკითხვა მივეცი და გავაგრძელებინე ლაპარაკი; მშვი-

დათ ხვრინავენ მგზავრები. ცხელა. მატარებელმა მოუჩქარია. ხანდახან ფანჯარაში გადავყოფ თავს, რომ მატარებლის სიჩქარეთ გაჩენილმა ჰაერის დენამ ოდნავათ მანც შემიმსუბუქოს სიცხე; ზობოლაკი ატრიალებს ეშმაკურ თვალებს და როგორც შეთქმული, ლაპარაკობს დაბალი ხმით. ხანდახან სიფრთხილე უკარნახებს რომ უცნ კაცთან არ შეიძლება ყველაფრის თქმა; შეჩერდება და თავს ჩარწენებს; მაშინვე ორი-სამი სიტყვით კვლავ აღუძრავ ჩემდამი ნდობას. ძვლავინდებურათ შეატრიალებს ცივი ზიზით დაფეხებულ თვალებს, ჩახველებს და განიმეორებს ათასჯერ ნათქვამს:

— მტრობითვინ არ ვიძახი ჭი; ი ცინგლიანი მოჯამაგირეები ამაოთა ყავთ პატივში; ქვეყანაზე რომ სამართალი იყოს, გადასხადები მე კი არა, მაგათ უნდა შეაწერონ; რატომაო შენა გაქო და ჩვენ არაო; ჭო და შენც ჩემსავით ყაირათიანათ გემუშავნა და გეჭნებოდა; ჩემი მეზობლების ამბავი მე არ მეცოდინება? მთელი სიცოცხლე ზარმაცობაში და ოხრობაში გაატარეს, ეხლა გაკომუნისტდენ და თავზე დაგვაჯდენ! აქამ და შენაო კულაკი ხარო, კაპიტალისტიო;

ზემო ქედის კომუნა ვახსენე:

— მოჯამაგირეები და ლარიბებია შიგ; რომ ეზარმაცათ იმდენ ქონებას ვერ დააგროვებდენ-მეთქი.

— აგე, აგე, მეც მანდა ვარ! წამოიძახა მან:

— მეც მანდა ვარ,— გაიმეორა ისეთი კილოთი, თითქო მისი აზრების განმამტკიცებელი რამ მეთქვას; ცერი საჩვენებელ თითზე შეათამაშა;

— ამის ძალა იცი, ფულის?! გაიგეს, რომა კოლექტივს მთავრობა ეხმარებაო,— იმითვინ ყველა უსაქმური და მაწანწალა შიგნით მიძვრება; ე ფული არის და მაგათ, ე მანქანებია და მაგათ; ლარიბი ვარო და გადასახადებს არ იხდიან, დაჯდენ და სჭამენ მთავრობას. მაგათი...

სული მოითქვა და განაგრძო:

— ვალებში არიან ბ, ჭო ჩავარდნილი! რა გინდა არ ეცადონ, თავის სიცოცხლეში ვერ ამოვლენ ვალებიდან; გუშინაც ერთ ქალაქელს ეთქვა: — ყველაფერს აუწერენ, გაუყიდიან და ტიტლიკანა დატოვებენო; ი ვერანა საშუალოები რაღას ვარდებოდენ წყალში; ყოფილიყვნენ თავისთვისა, ი თავისი მიწა ეხნათ, არ ურჩევნოდათ! ეხლა კი გამორბიან უკან, რაღა დროსია;

უსიამოვნოთ ხითხითებს.

გტერი გრძელებს მტრის სიახლოეს

რამდენიმე დღის /შემდეგ კულაკებზე საუბრის დროს ჩემი ნაცნობი ბობოლა ვახსენე და სიცილით დავუმატე;

— ისეთ უკბილო ჭორებით რას დააკლებენ კომუნას! გაბოროტებული კულაკები გამოსულელდენ, თოთონაც არ იციან რას ჩემახვენ;

სალეწაოდან ვბრუნდებოდით. ოთხასი ფუთი ხორბალით დატვირთულ ვაგონს მძიმეთ მიაგორებდა ტრაქტორი კომუნისაკენ. ძალზე ბნელოდა და საშინლათ ხრიალებდა მანქანა. გატენილ ტრაქტებზე ვისხდით და როგორც ტელეფონის მილში, ჩავყვიროდით ერთმანეთს ყურში.

— გლეხს არ იცნობ, გლეხს, თორემ ეგრე არ ილაპარაკებდი!

ჩამძახა ჩემს პირდაპირ ფეხმორთხმულმა ახალგაზრდამ. თამბაქოს ახვევდა. მანქანის ნჯლრევის და სიბრელის გამო თამბაქო დაეფანტა; გულმოსულმა გააფურთხა, ქალალიც ზედ მიაყოლა და გაჯავრებით განაგრძო.

— არ იცი არა, რა გავლენა აქვს გლეხობაზე ჭორებს!

... ი კულაკი არცა იმდენი სულელია, არც ენა ექავება რომა ჰაერზე ილაპარაკოს; მანა კარგათ იცის, რასა ლაპარაკობს და რასაც აკეთებს; ეხლა ჩვენს კომუნას კი ვერას დააკლებენ, მაგრამა უწინაც როდი იყო ეგრე; იცი რას გვიშვრებოდენ! გინახავს ჩვენი საბუთები? ნახე და გაიგებ;

მეორე დილით საშუალება მქონდა გავცნობოდი იმ გამანადგურებელ მუშაობას, რომელსაც კულაკების ჭორები აწარმოებდა ახალგაზრდა კომუნის სხეულზე;

კომუნების შეერთებამ და გაძლიერებამ გამოაფხიზლა კულაკები. დამარცხებულ და შევიწროებულ ადამიანების გამახვილებულ ინსტიტით იგრძნეს, რომ არ შეიძლება ძველებურად გულზე ხელ-დაკრეფილი ჯდომა და ლაპარაკი — მაგ უნიფერებს რამის გაკეთება რომ შესძლებოდა, ამდენ ხანსაც გააკეთებდენ-ო; მათი მეურნეობის გვერდით, რომელიც იზრდებოდა, მდიდრდებოდა რამდენიმე წვრილი მეურნეობის განადგურების ხარჯზე, საფუძველი ეყრებოდა სოციალისტურ მეურნეობას.

— კომუნების მეურნეობა მძლავრდება წვრილ მეურნეობათა გაერთიანების გზით; დასცემენ კომუნის ავტორიტეტს, დაუმტკიცებენ გლეხებს კომუნის უვარგისობას, როგორც მეურნეობის ფორმისა და შეაჩერებენ მასში გლეხების დენას... დაიწყო პირველი შეტევა და მეცხვარე კულაკებმა გაანადგურეს კომუნის 27 ქცევა ნახნავ-ნათესი;

გლეხი მშრომელია. იგი პატივს სცემს და აფასებს ყოველი ადამიანის პატიოსან შრომას; ნათესების დაღუპვის ამბავმა დიდი აღშფოთება გამოიწვია გლეხობაში; კულაკები მიხვდნენ, რომ მათი ასეთი გა-

მოსვლები გლეხობას მათივე წინააღმდეგ ამხედრებს, კომუნის ავტორი
რიტეტს კი აძლიერებს;

— იშრომეს, მაგრამ დაღუპეს ნაშრომი — ლაპარაკობდა სოფე-
ლი და რწმუნდებოდენ კულაკები აშკარა ბრძოლის უგარგისობაში.

წევრების გასვლა-გამოსვლა და შემაღენლობის მუდმივი რყევა
რიცხავს ორგანიზაციულ შრომის შესაძლებლობას კომუნაში.

— ზამთარში კიდევ არაფერი; მაგრამ ზაფხულში როცა სამუ-
შაოებს ვანაწილებთ და მინდვრებზე გავდივართ, ერთი მუშა-ხელიც
დიდი განძია ჩვენთვის; ერთი რომ წავიდეს, მთელ მუშაობას შეაფერ-
ხებს, მოაცდენს; ჩვენ კიდევ არაფერი, ჯანდაბას ჩვენი თავი! მთავ-
რობისათვის რა პასუხი უნდა გაგვეცა. მთავრობიდან აუარებელი
ვალი დავიდევით; უცებ კომუნიდან დაიწყო გასვლა წევრებმა; გა-
ქონდათ ქონება. იმ ვალის გადამხდელი არავინ რჩებოდა; დაღუპვის
პირს დავდექით. ხალხს ვეუბნებოდით; — კულაკებმა მოგვასვენეს,
რაღა დროს ღალატია?! თურმე კულაკები ეხლა იწყებდენ ნამდვილ
ბრძოლას! — მიამბობდენ კომუნარები და მიშლიდენ თვალწინ კლა-
სიურ ბრძოლის საშინელ სიმკაცრის და დაუნდობლობის სურათებს;
კომუნის უგარგისობის შესახებ კერძო გლეხებს კომუნაში ნამყოფი
გლეხი უფრო დააჯვერებს; ციხე შიგნიდან გატყდება; გამოვიყვანოთ
კომუნიდან ორი-სამი წევრი, გაუშვათ სოფელში და ჩვენი სურვილე-
ბის თანახმათ ავალაპარაკოთ — ითიქრეს კულაკებმა და ამოძრავდენ
მთელი თავისი ცბიერებით; ჭორები, როგორც მატლები მიძრებიან
კომუნაში, ლრღნიან, ხრავენ და ალპობენ ყველაფერს; რამდენიმე კვი-
რის შემდეგ კი კომუნამ შეიტანა თავის ოქმში;

...ჩვენ კომუნას შემოარტყეს რკალი და უნდა დაშალონ კომუნა
და შეუდგნენ ჩვენს წევრებს; გაიყვანეს კომუნიდან ერთი კომლი
დეგა ნინიკას-ძე ბურდული და კობია ნინიკას-ძე ბურდული და ახლა
კიდევ შეუდგენ სხვებს. კონტრრევოლუციაში არიან შემდეგი პი-
რები, დათიკო ავსაუანოვი. ვანო მიხეილის-ძე კობაიძე, იოსებ ბეჟუას-
ძე ბურდული, რომელთაც მიულოცეს კომუნიდან გასვლა და მიუ-
ტანეს ზღვენი. ამასთან ერთად შეუდგნენ სხვა წევრებს, რომელ-
თაც უნდათ რომ დაარღვიონ კომუნა, აგრეთვე ჩვენმა კომუნის წევრმა
სტეფანე წიკლაურმა განაცხადა რომ მეუბნებიან კომუნიდან გა-
მოდი და უღელ ხარს გიყიდითო; ეს პიროვნება არის
იოსებ ექვთიმეს-ძე ბექაური; აგრეთვე ჩვენმა წევრმა გიორგი ქავ-
იაროვმა განაცხადა, რომ მე მითხვეს ვანო კობაიძემ და დათიკო
(ლუფი) ავსაუანოვმა რომ გამოდი და უღელ ხარს გიყიდითო: —

(შემდეგი იქნება).

3. ლუარსაბიძე

გეგმიანი შეტევის პოლიტიკისათვის

* * *

მიმღინარე წელს ჩატარებული პარტიის და ლენინური კომკავშირის კონფერენციები და ყრილობები, აგიტპროპატატბირები და პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პლენუმები ხაზგასმით ლაპარაკობს, რომ პარტიული და პროლეტარული საზოგადოებრივი გურადლება ხელოვნების და კერძოდ მხატვრული ლიტერატურის საკითხების და კერძოდ მხატვრული ლიტერატურის საკითხებისა და მახვილდება, რაც უმთავრესად იმ რთული პროცესების შედეგია, ხელოვნების ფრონტზე რომ წარმოადგინდეს.

დღეს უკვე ვერავინ უარყოფს კლასიური ბრძოლის გამწვავებას ხელოვნების ფრონტზე, კერძოდ მწერლობაში ბურჟუაზიული ფრთის ნაწილობრივ მოლონიერებას და ზოგიერთი „თანამეზავრის“ სოციალიზმის წინააღმდეგ აქტიურ გამოსვლას; პილნიავის, ზამიატინის, მიხ. ჯავახიშვილის და სხვათა იდეოლოგიურად ემიგრაციაში გადაბარების ფაქტი იმდენად ლიტერატურული მოვლენა არაა, რამდენადაც პოლიტიკური და მათი სახით საბჭოთა ლიტერატურის რიგებში კლასიურმა მტერმა თავისთვის „აგენტურა შექმნა“.

ამრიგად, მიმღინარე პერიოდში კლასიურივ ლიტერატურულ რაზებს შორის ბრძოლა გამძაფრებულ ხასიათს იღებს, რასაც „ვერ ხედავენ“ მხოლოდ შტეინმანები და მათი ტფილისელი კოლეგები — ბეგიაშვილები. „საბჭოთა ლიტერატურაში, — წერდა შტეინმანი — არ არის სხვადასხვა მსოფლმხედველობას შორის ლეგალური ბრძოლი. პირიქით, ყოველწლობით რევოლუციონერდება საბჭოთა მწერლობა ჩქარის ტემპით. აქ სადავო არაფერია, სამხილებელი არავინ არაა“... და სხ. განა ანალიგიური ოპორტუნისტული თვალსაზრისი არ წამოაყენა უურ. „განათლების მუშაკიდან“ (№ 5 — 6) შარვლიანმა „გუ-



ვერნანტკამ“ — თ. ბეგიაშვილმა, რაც ლიტერატურის ფრონტზე პრო-
ლეტარული შეტევითაა გამოწვეული? პროლეტარული მწერლობის
ავანგარდი შემოქმედებითი ზრდის პროცესშია და საერთოდ ქარ-
თულ მწერლობაში უკვე წამყვან ჩოლს ასრულებს.

იქნება ჩვენ „ვაჭარბებთ“ და საჭიროდ ვერ ვაფსებთ ქართული
მემარჯვენე მწერლობის შემოქმედებით ფიზიონომიას და „პერსპექ-
ტივას“? იქნება მართლა „საბჭოთა მწერლობა ჩქარის ტემპით რე-
ვოლუციონერდება“ და ჩვენ, კლასიური აზროვნებით „დაბრმავე-
ბულნი“, აღნიშნულ პროცესს ვერ ვამჩნევთ?! მაგრამ ფაქტები და
განწყობილებანი საწინააღმდეგოს ლაპარაკობენ: პატრიოტული იდე-
ოლოგიის რეაბილიტაცია, ზიზლი კლასიური ტერმინოლოგიისადმი,
ხალხოსნური უტოპიზმიდან თანდათანობით კულაკური იდეოლოგიის
რონებზე გადასვლა. წმინდა „ფიზიოლოგიურ“ განწყობილებათა
ზრდა, ვიწრო ლიტერატურული საქმიანობა და მავნებლობა, სალი-
ტერატურო კრიტიკაში პრეტენციოზური დილეტანტობა, „წითელი“
ხალტურის მფარველობა, შემგუებელი „მარქსიზმი“, ნაციონალის-
ტური „ისტორიოსოფიები“ — უკვე საგრძნობლად ხელშესახებ მოვ-
ლენად ხდება ქართულ მწერლობაში, რაც ძალზე ვნებს პროლეტა-
რულ გეგმიან შეტევებს მწერლების რეაქციონურ და „ნეიტრალურ“
ფენებზე და საერთოდ საბჭოთა მწერლობის იდეოლოგიურ დიფერენ-
ციაციას, რაც მიმდინარე მომენტში, თუმცა ნელის ტემპით, მაგრამ
მაინც ფუნქციონალურად წარმოებს.

დასაშვებია თუ არა მიმდინარე პერიოდში, როდესაც დიდის ტკი-
ვილებით წარმოებს ფართე მასების ფისიოლოგიური რეკონსტრუქ-
ციის რთული პროცესი, არაპროლეტარულ და არაკომუნისტურ ფე-
ნებთან იდეოლოგიური თანამშრომლობის პრობლემების წამოყენება? მართალია, ლენინი თავის ცნობილ წერილში: „მებრძოლი მატერია-
ლიზმის მნიშვნელობის შესახებ“ (22 წ.) წერსა: „без союза с не-
коммунистами в самых различных областях деятельности ни о каком успешном коммунистическом строительстве не мо-
жет быть и речи“, მაგრამ მოცემული სრულებითაც არ ნიშნავს
არაკომუნისტებთან იდეოლოგიური თანამშრომლობის პრინციპის
აღიარებას, რომ ფიზიკურად გამარჯვებული პროლეტარიატი და
მშრომელი გლეხობა არ მოხვდეს კლასიური მტრის კულტურულ
ტყვეობაში.

მაშასადამე, გამოვდივართ რა აქედან, ერთგვარი პირობითი შე-
ზღუდული „საქმიანი“ თანამშრომლობის უფლება უნდა მიეცეს არ-
სებულ წესწყობასთან მწერლობის „ნეიტრალურ“ ნაწილს, ვი-

ნაიდან საბოლოოდ მისი რეგულატორი და მისი ზრდის განმსაზღვრული პროცესია საზოგადოებრივობაა; საჭიროა მიეცეს „საქმიანი“ თანამშრომლობის უფლება მწერლობის თანამგზავრულ ფრთხას, ვინაიდან ის ნაწილობრივ იდეოლოგიურად განაიარალებს ჩვენს მტერს და დეზორგანიზაცია შეაქვს მის მორალურ-პოლიტიკურ შეგნებაში, მაგრამ, მეორეს მხრივ, არ უნდა დავივიწყოთ „თანამგზავრების“ წვრილბურულაზიული ბუნება და ხასიათიც.

რასაკვირველია, აღნიშნული საზომით ვერ მივუღებით ე. წ. „მემარცხენებს“, მათ ში საუკეთესო თანდათანობით შუშავდება ოქტომბრის ნიშნის ქვეშ, მაგრამ ხშირად ავიწყდებათ მათ მთავარი: „მეტი ყურადღება იმას, თუ მუშათა და გლეხთა მასა როგორ აკეთებს რაღაცა ახალს თავის ყოველდღიურ საქმიანობაში. მეტი შემოწმება იმის, თუ რამდენად კომუნისტური არია ასაკი“ (ლენინი). როგორც ვხედავთ, ლენინი მთელის არსებით ილაშქრებდა უპრინციპო საქმიანობის წინააღმდეგ და ხაზგასმით არნიშნავდა, რომ კომუნისტურობის გარეშე შეუძლებელია „რაღაცა ახალი“ ახალი იყოს. ამ მთავარის გაგებისაგან შორსაა ქართველი მწერლების მნიშვნელოვანი ნაწილი და რამდენიმე და ე. წ. მემარცხენებიც. თუ ასე გაგრძელდა, ამის ნიშნები კი არსებობს, საზოგადოებრივ-ლიტერატურულად უკეთესი იქნება ჩამოერთვას მათ წარმოების იარაღები.

* * *

სამოქალაქო ომში დამარცხებულმა კლასიურმა მტერმა მდგომარეობის გამობრუნების იმედი საბჭოთა რესპუბლიკის შინაგარეთულებაზე გადაიტანა. ამ ხუთი თუ ექვსი წლის წინად ემიგრაცია ვინმე ვეტლუგინის პირით ტილს, დიალ, ჩვეულებრივ ტილს ემუდარებოდა: „Вошь, спаси нас!“ მაგრამ საბჭოების ქვეყანამ თავი დააღწია სამეურნეო ნგრევას და შიმშილს, აღადგინა დაცემული მეურნეობა და ენერგიულად შეუდგა უკლასო საზოგადოების შენებას. „ტილში“ მოტყუებულმა ემიგრაციამ და შინა ანტისაბჭოთა წრეებმა კურსი საბჭოთა ძალაუფლების დემოკრატიულ ევოლუციაზე და კავშირში შემავალი ერების „ნაციონალური თვითშეგნების ზრდაზე“ აიღეს, როგორც საბჭოთა კავშირის დეზორგანიზაციის რეალურ საშუალებაზე.

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში, უმთავრესად ინტელიგენციაში, საგრძნობლად ძლიერდება ნაციონალიზმი, რაც არსებითად მიმართულია „აღგილებზე“ პროლეტარული ინტერნაცი-

ონალური კულტურის შექმნის წინააღმდეგ. სახელმწიფო აპარატის და სახალხო სკოლის „ნაციონალიზაციის“ საფუძველზე ძლიერდება ნაციონალისტური ტენდენციები; ველიკოროსიული შოვინიზმი უკმაყოფილოა უკრაინის, საქართველოს და სხვათა კულტურულ განახლებით, ქართველ შოვინისტს სურს იმ სომების და რუსის „განდევნა“ ან „ასიმილიაცია“, რომელიც „მის“ ქვეყანაში ცხოვრობს და სხვ. მაგრამ დღეს ნაციონალიზმი და შოვინიზმი, როგორც ლარინი შენიშვნავს, ზოოლოგიური ხერხებიდან მოდერნიზაციაქმნილ ფაშისტურ შინაარსზე გადადის და „ევგენიური“ (სისხლის და რასის სიწმინდე) ლაყბობით ცდილობს ნაციონალიზმის პრიმროლეტარული ბუნების იდეოლოგიურ დაფარვას. „ევგენიური“ ლაყბობის ნიმუშები საგრძნობლადაა განხეული ქართულ მწერლობაში, რაზეც არ ღირს მოცემულ წერილში შეჩერება, იმ უბრალო მიზეზით, რომ „ევგენიური“ თვალსაზრისის სოციალ-ეკონომიკური ძირები და ბუნება ჩვენთვის გასაგებია.

როგორც ვიცით, გასაბჭოების პირველ წლებში ქართული შოვინისტური ინტელიგენცია და „ტრადიციული“ ლიტერატურა ორგანიზაციულ საბორტაჟს ეწეოდა, იმ მიზეზით, რომ ვითომდა საქართველოს გასაბჭოება — საქართველოს ოკუპაციაა, რომ ამ ფაქტით ქართულ ეროვნებას საფრთხე მოელის, ქართული კულტურის რუსიფიკაცია დაიწყება და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი „სიბრძნე“ (არსებითად გარკვეული კლასიური ინტერესებით ნაკარნახევი) ამოღიოდა ამ ოქროპირებისაგან. რასაკვირველია, მიმდინარე წლებში ამ ზღაპრებით ბავშის დაჯერებაც კი შეუძლებელია და ნაციონალიზმი უკვე გარკვეულად აჩენს თავის ანტიპროლეტარულ ბუნებას: აი რას წერს ე. წ. „კავკასიის, უკრაინის და თურქეთის ხალხების ეროვნული თავდაცვის“ პარიზული შავრაზმული ორგანო „პრომეთეოსი“ ა/წ. № 26-ში: „სკოლების ეროვნული ენებით ორგანიზაცია თავის-თავიდ ძალიან კარგი საქმეა, მაგრამ საჭიროა იმის ცოდნა, რომ ამ სკოლებში ასწავლიან იმას, რასაც მოსკოვი მოითხოვს. ჩვენ ბავშებს ჩვენს „ეროვნულ“ სკოლებში უნერგავენ მოსკოვის უტოპიებს, ანტირელიგიურ იდეებს, რაც დამღუბველად მოქმედობს ბავშების სულზე. და ყველა ამას მათ სამშობლო ენაზე უნერგავენ. ნაციონალური სკოლების მოწყობით მოსკოვი მიზნად ისახავს: ჩაათესლოს ბავშის თავში კომუნიზმი, რაც არ შეიძლება გაკეთებულიყო ზოგიერთ ხალხში რუსული ენით, მაშასადამე, ნაციონალური სკოლები იხსნება პროპაგანდის მიზნით“ და სხვ.



ნუ დავივიწყებთ, რომ გასაბჭოების პირველ შეღებში ამიერკავკაზისის ემიგრაცია და შინაური შოვინისტები ისტერიულად გაპკიოდენ, რომ ვითომ რუსულმა ენამ განდევნა „ადგილობრივი“ ენები, ეროვნული სკოლების რუსიფიკაცია სწარმოებს და სხვა, დღეს კი საბჭოთა ეროვნული სკოლა აღარ მოსწონთ იმ უბრალო კლასიური ანგარიშის გამო, რომ საბჭოთა ეროვნული სკოლების დანიშნულებაა საბჭოთა ბავშების მსოფლშეგრძნობითი გარდაქმნა და სოციალიზმის მშენებელთა მომზადება.

„ეროვნული კულტურა“ საბჭოთა პირობებში ბურუუაზის გაბატონებული კულტურის სახით აღარ არსებობს, თუმცა მისი ნარჩენები, ე. წ. „ეროვნული კულტურის“ ნიღაბამოფარებული, კიდევ ცოცხლობენ: ეროვნული განვითარების თავისუფლების, ეროვნული ამოცანების ლოზუნგების სახით. მართალია, ეს ნაციონალისტური მოთხოვნები თანდათანობით იდევნება კომუნისტური შეგნების მიერ, მაგრამ ჯერჯერობით ის მაინც ახერხებს „ეროვნული კოლორიტის“ მომიზეზებით თავისი თავის მოხერხებულად დაფარვას, ვინაიდან ის სოციალური ფენები, რომელიც ნაციონალიზმს ასაზრდოვებენ, ჯერ კიდევ სავსებით არ გამქრალან.

საკითხის ცენტრი ნაციონალური კულტურის შინაარსი და ფორმაა. ყველასათვის ცნობილია ამს. სტალინის ფორმულა: „პროლეტარული შინაარსით, ნაციონალური ფორმით, — ასეთია ის საერთო საკუობრიო კულტურა, რომლისკენაც მიიმართება სოციალიზმი“. მაშინადამე, ეროვნული კულტურა ჩვენთვის, როგორც ეს ჰუმანიტარული ინტელიგენციის უდიდეს ნაწილს ჰგონია, ნაციონალურ-კულტურული ავტონომია როდია, არამედ ის კულტურული მშენებლობა, რომელიც საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში წარმოებს, ე. ი. სოციალისტური პროლეტარიატის ინტერესებისათვის, ინტელიგენციის ფართო ფენებისათვისაც კი გაუვებარია, ეს „ეროვნული კულტურა“ კი არაა, არამედ სოციალისტური კულტურის ყალიბობის შემაფერხებელი მოვლენა. როდესაც მწერალი „ტელეგრაფის სტილის“ ეპოქაში არქაულად წერს, ქმნის რაღაც მისტიურ „ისტორიოსოფიებს“ და „ფილოსოფოსობს“ ე. წ. „ქართულ სულობაზე“, ქართველი ერის რასიულ განსაკუთრებულობაზე და სხვა, თუ ყველა ეს ეროვნული კულტურის ცნებაში თავი-

სუფლად თავსდება, მაშინ ჩვენ გადაჭრით წინააღმდეგი ვართ „ეროვნული კულტურის“!

ნაციონალიზმი მეტავრდება ლიტერატურული მემკვიდრეობის „მიღების“ საკითხშიც; კვალიფიციური მჯითხველისათვის ცნობილია პროლეტარული მწერლობის კლასიური და კრიტიკული დამოკიდებულება კულტურული მემკვიდრეობისადმი: „ყოველ ნაციონალურ კულტურაში არის, თუნდაც განუვითარებელი, დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის ელემენტები, ვინაიდან ყოველ ერში არის მშრომელი... მასა, რომლის ცხოვრების პირობები აუცილებლად აჩენს დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას. მაგრამ ყოველ ნაციაში არის აგრეთვე ბურჟუაზიული კულტურა (უმთავრესად ჯერ კიდევ შავრაზმული და კლერიკალური), ხოლო მარტო, „ელემენტის“ სახით კი არა, არამედ გაბატონებული კულტურის სახით. ამიტომ „ეროვნული კულტურა“ საერთოდ მემამულების, ხუცების, ბურჟუაზიის კულტურაა“ (ლენინი — 1913 წ.).

ვიმეორებთ, რომ ნაციონალიზმი ლიტერატურული მემკვიდრეობის მიღების საკითხში და ლიტერატურის განვითარების პერსპექტივების დასახვაშიც ვლინდება; ვალერიან გაფრინდაშვილმა 1920 წელს ჟურ. „მეოცნებე ნიამორებში“ დავით გურამიშვილზე წერილი მოათავსა, სადაც სხვათა შორის შემდეგი დამახასიათებელი თვალსაზრისით წამოწეული: „ახლა იწყება ქართულ პოეზია ში რუსთაველის და ძველი პოეტების რენესანსი ჯერ ლექსიკონის აღდგენას შეეხება. წარსული ეპოქები, მათი ინტიმური სტილი უფრო ძნელი მისაწვდომია და ეს იქნება მიზანი მწერლების შემდეგი მოღვაწეობისა. თანდათან უნდა დავიბრუნოთ წარსული, როგორც პომპეი. გურაშიშვილი არის საფეხური, იმისთვის, რომ ჩვენ შევიდეთ რუსთაველის სასახლეში და უკანასკნელი და დავბრმავდეთ მისი ლალებით და ზურმუხას მისათვისთვის. კომენტარიები ზედმეტია! მოცემული თვალსაზრისის სოციალ-კლასიური ბუნება მოსაზღვდებელი განყოფილების მარქსისტისათვისაც კი გასაგებია!

შესაძლებელია მკითხველი შეგვედავოს, რომ გაფრინდაშვილის სლინშნული მოსაზრება ამ ცხრა წლის წინადაა წამოწეული და მისი „გამოყენება“ დღეს უკვე ნაწილობრივ მნიშვნელობას მოქლებულია, დიალექტიური მიდგომაა საჭირო კველაფრისადმი! ვთქვათ, შემკითხველი მართალია, მაგრამ განა ქართველი მწერლების ერთი ნაწილის

მხატვრული პრაქტიკა და კრიტიკული „აზროვნება“ გაფრინდაშეი-
ლის „საპროგრამო“ ხაზის ა ხ ა ლ პ ი რ ი ბ ე ბ შ ი გაგრძელებას
არ წარმოადგენს? განა გამომცემლობა „ქართული წიგნის“ საგვირმ-
ცემლო საქმიანობა და საერთოდ ქართული კლასიკური მწერლობის
„დამუშავების“ და გამოცემის საქმე, რაზეც ჯერ კიდევ გასულ წელს
ვწერდით უურ. „პროლეტარულ მწერლობაში“ — № 12, გაფრინდა-
შვილის მიერ მითითებული გზით არ მიდის! ? რასაკვირველია, აქ ორი
პასუხის არსებობა შეუძლებელია, ასე, რომ ნაციონალიზმი ლიტე-
რატურული მემკვიდრეობის „მიღების“ და „დამუშავების“ საკითხ-
შიც მულავნდება და ამით გარკვეულად ანტისაბჭოთა საქმეს აკეთებს.

მაშასადამე, ეროვნული კულტურის ცნებას მოხერხებულად ამო-
ფარებული შოვინიზმი და, მეორეს მხრივ, ოპორტუნიზმი ეროვნულ
საკითხში (ე. წ. ეროვნულ-კულტურული ავტონომია) და „მემარცხე-
ნე“ კოსმოპოლიტიზმი ჩვენი კლასიური მტერია, რასაც ს ა ქ მ ი ა-
ნ ა დ უნდა დავუპირდაპიროთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის
მჭრელი იარაღი.

* * *

გარკვეული სოციალ-პოლიტიკური მიზეზების გამო ლიტერა-
ტურულ ცხოვრებაში სამოქალაქო მშვიდობიანობის რეაქციონურ მო-
თხოვნას; სათანადო მხატვრული პრაქტიკაც მოჰყვა. წვრილბურუუ-
ზიული დემოკრატიის მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი
ალ. აბაშელი უურნალ „ქართული მწერლობის“ (№ 6 — 7) ყვითელ
ფურცლებზე „დაფარული“ ანტიპროლეტარული განწყობილებით და
თვალსაზრისით გამოდის: ლექსი: „ახალგაზრდებს“ მოცემული მენ-
შევიკური პროკლამაციით. ავტორი ცდილობს მენშევიკური წარსუ-
ლის რეაბილიტაციას და, რაც საყურადღებოა, სალიტერატურო და-
ჯუფებათა, ლიტერატურის სოციალ-კლასიურ რაზებს შორის არ-
სებული კლასიური ბრძოლის დაფარვას, რაც ობიექტურად რესტავ-
რატორული თვალსაზრისის და განწყობილებათა ტაქტიკურ ფორმებ-
ში გადმოშლას წარმოადგენს და ოპორტუნიზმის ყველაზე მავნე სახეა.

მართალია, აბაშელი პირობით საყურადღებო პოეტურ მომარ-
თვაში მოჩვენებით თანამგზავრობს, ვინაიდან ავტორმა ვითომდა
„სრულად“ და „გულწრფელად“ იბრუნა პირი საბჭოებისაკენ, მაგ-
რამ დღეს ყოველმა მკითხველმა იცის გარეგნული თანამგზავრობის
და შინაგანი, რბილად რომ გამოვთქვათ, მემარჯვენების სოციალუ-
რი ლირებულება. ნიშნეულია, რომ აბაშელები ვერ ახერხებენ „წარ-

სულის“ იმანენტურ დაძლევას და სოციალური პროცესების და-
ლექტიკაში ს ათან ა დ ო დ გარკვევას, რის გამოც მათი ქარხველები
ბითი რადიკალიზმი და „პათეთიური“ ფრაზები მხოლოდ აბაშელების
იდეურ უხერხემლობას და ობივატელურ უნიადაგობას ფარავს. მაგ-
რამ მიმდინარე პერიოდში აშკარა ანტისაბჭოთა პოეტური გამოსვლე-
ბი ხომ უტაქტობა იქნებოდა და დონკიხოტობა! ამიტომ აბაშელის
ლექსი: „ახალგაზრდებს“, „კაცომლყვარე“ გრძნობებითაა გამობარი-
ტაქტიკურად ელასტიურია, ხოლო ობიექტურად ისეთივე კონტრ-
ჩავახიშვილის ხასიათის ფაქტია, როგორც მის. ჯავახიშვილის
ბელეტრისტული ქავილი „ნაკაცარების“ იდეურ-მორალური თანა-
გრძნობის და სოციალური შებრალების შესახებ.

აბაშელებს ზიზწლ ჰგვრისთ კლასიური აზროვნება და ტერმი-
ნოლოგია, მოითხოვენ კლასთა ბრძოლის სიყვარულით შეცვლას, არ
უნდათ „თქვენობა და ჩვენობა“, ვინაიდან „გზა ერთი გვაქვს“ (sic!
ვ. ლ.), პატივცემულ პოეტისათვის მემარჯვენობა და მემარცხენობა
საღემაგოგიო ფრაზა ყოფილა და სხ. მსგავსი თვალსაზრისი ინტე-
ლიგენტურ წვინტლიანობას, ფარისევლობას და სიყალბეს წარმოა-
დგნენს და რასაც ლენინი ასე დაუზოგველად ებრძოდა. მხოლოდ ბურ-
ულაზიული და ფილისტერულად განწყობილი ელემენტი თუ იტყვის,
რომ გამძაფრებული კლასთა ბრძოლის, მებრძოლი სოციალიზმის
კაპიტალისტურ ელემენტებზე ძლევამოსილი შეტევის პერიოდში
მხოლოდ წარსულის კულტურის რენტით შეიძლებოდეს აწყუში თა-
ვისი არსებობის გამართლება, რომ ბრძოლა „ორ ფრონტზე“ ილუ-
ზიაა და „მე არ მინდა ვისიმე გახარება ან წყენა, ჩემს სიმღერის
შედეგებს მე როდი ვანგარიშობ“ (1916 წ.). „მოულოდნელი ამბების“
გამო შევიწროვებული წვრილი ბურუუ ყოველთვის იბნევა და მისი
აზროვნებაც ლოგიკურად ანარქიულია: ურიგდება „მდგომარეობას“
და ამავე დროს პროვოკაციულად სისინებს: „თქვენ მისინჯავთ თვალ-
ში ბეჭვს საკუთარის დეირეთი“ ან „ოლონდ რამე გვიჩვენეთ დაპი-
რების გარეშე“ და სხვ.

გარეგნულად თანამგზავრული, ხოლო არსებითად წვრილბურ-
ულაზიულ-დემოკრატიული. რეაქციონური თვალსაზრისი და განწყო-
ბილება „შემთხვევითი“ როდია, არამედ აბაშელების სოციალური ბუ-
ნებიდან და სოციალ-პოლიტიკური კონცეპციიდან, უკეთ — აბაშელე-
ბის მსოფლმხედველობით უპრინციპობიდან გამომდინარეობს, რაც,
ვიმეორებთ, ნიშნეულია ყოველი წვრილი მესაქუთრესათვის. იმ დროს,
როცა იმპერიალისტური ომი შეუბრალებლად მუსრავდა იოდოფორ-
მით აყროლებულ ფარაჯებში გამოწყობილ მუშების და გლეხე-

ბის მიღიონებს და პროლეტარიატის რევოლუციონური მოძრაობა
თანდათანობით სათანადო მწვერვალებს აღწევდა, „დემოკრატიულის“
პოეტი აბაშელი ტეგბილად დაღილინებდა გიტარას და „მზის ამოსვლის
და ჩასვლის“ მეტს „ვერაფერს“ ამჩნევდა ამ ცოდვილ დედამიწაზე.
სხვა რომ არა იყოს რა, მხოლოდ ამის გამო აბაშელის და მისთანების
სახელი აუცილებლად შეუერთდება „ქართული პოეზიის თავადების
კეთილშობილ სახელებს!“

ბოლშევკიური პარტია თავისი გმირული ისტორიის დიდ მან-
ძილზე გამძაფრებით ებრძოდა და ებრძვის წვრილ-ბურუჟიულ დე-
მოკრატიზმს, „მემარცხენე“ ფრაზიონობას, კლასთა თანამშრომლო-
ბის ოპორტუნისტულ თეორიას (ძველი მოდის ჰუმანიზმს) და მასთან
ყოველგვარი სახის შემარიგებლობას, რაც არსებითაც კლასიური
მშვიდობიანობის მორალური გამართლებისაკენ და მოცემული გან-
წყობილების სტაბილიზაციისაკენაა მიმართული და რასაც იდეურიად
უნდა ვებრძოლოთ და ვამხილოთ ამ შემთანხმებლური, არსებითად
რეაქციონური თვალსაზრისის და ემოციების ანტიპროლეტარული
ბუნება და როლი.

* * *

მორიგი სალიტერატურო წელი აღნიშნულ მოვლენებთან დაუნ-
დობელი იდეოლოგიური ბრძოლის და მკითხველი მასების მაქსიმა-
ლური აქტივიზაციის ნიშნის ქვეშ უნდა წარიმართოს, დამზმარე როლი
კი თანამგზავრების ყველაზე უფრო საბჭოთა და გულწრფელმა ნა-
წილმა უნდა შეასრულოს.

მაგრამ, ამხ. იაროსლავსკის არ იყოს, ხშირად ვლაპარა-
კობთ დაუნდობელ იდეოლოგიურ ბრძოლაზე. „ამ დროს სახეზე რომ
შეხედავ კაცს, იფიქრებ არავის დაინდობსო, მაგრამ შემდეგ კრავივით
ყველაფერს მიაფუქებებს!“

მართალია, ჩვენ საერთოდ არ გვახასიათებს „შემდეგ კრავივით
ყველაფერის მიფუქებება“, მაგრამ ჩვენს რიგებშიც მოიპოვებიან ამხ.
იაროსლავსკის მიერ მოხდენილად მოხაზული „ორიგინალური“ ტი-
პები, რომელნიც შეყვარებულნი არიან ლიბერალურ სიდინ-
ჯეში; საჭიროა ამ ამხანაგების იდეოლოგიური გაჯანსაღებაც.

გიორგი ნატაროვაშვილი

ლილიქული „ზყალდიღობისა“ და კლასიკოსები— საგან სწავლის შესახებ

„ჩვენ ცრუ ოცნებები არ გვინდა პოვჭიაში....
მაგგვარი ოცნებებისა,— ოხისა და უხისა, ა მათ
ლაყბობისა და ჭადაგებების დროე-
ბი წავიდნენ; ჩვენ გვინდა პოვზია-
ში და ისეც, ვხედავდეთ საქმესა,
ჭეშმარიტებას, ჩვენი გულის პა-
სუხესა, ჩვენი თავის ცნობას, ჩვენს
გარემოს, ჩვენს თვისებებს და ძა-
ოვნილებას და არა.... ოპიუმისაგან მთვრალის და-
გვარს რაღაც რაღაცაებსა, ვაშაუშსა და ვულახებსა.“

ანტონ ფურცელაძე.

I

„თემები, რომელნიც მოელიან ავტორებს“ შეუძლებელია ჩაე-
ტონ იმ ფორმალურ ჩარჩოებში, რომელშიაც რამდენიმე საუკუნე-
ებში ნებივრობდა არისტოკრატიული პოვზია და საერთოთ ძველი,
დაღმავალ ეპოქათა შერყეულ ნიაღაზე აღმოცენებული მხატვრული
ლიტერატურა. თემატიური რევოლუცია, რომელიც უკვე ყველასა-
თვის ხელშესახები ფაქტია, მოითხოვს ხერხობრივ და სტილისტურ
პრინციპების. ძირეულ რეორგანიზაციას წარსულის ჯანსაღ მემკვიდ-
რეობის გამოყენების საფუძველზე. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვა-
ვეთ უნდა დაისვას პროლეტ. ლიტერატურის განვითარების იმ ეტაპ-
ზე, როდესაც ხდება საგრძნობი ცვლილებები, როგორც იდეიურ ისე
ფორმალურ სფეროში: ამ დებულების საუკეთესო ილიუსტრაციაა
თანამედროვე ქართული პროლეტი მწერლობა.

დღეს უკვე სადავო აღარ არის, რომ ყოველი ეპოქის თემატიკა
მოითხოვს შესაფერის მხატვრულ უანრებს. სოციალისტური აღმშე-
ნებლობა, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია — თავადის ფერ-

შეკრთალი ასული ხომ არ არის, რომ ფეოდალურ სონეტი ტრიო-ლეტებით მიუღილინო მყუდრო კაბინეტიდან!! დღეს უნდა წიგნიზე სალიტერატურო ფრონტებიდან ფსიქიურად არანორმალური, ნერვებ-აშლილი, სათუთა გრძნობებიანი პათოლოგები და ყოველგვარი ჯურის გზადაბნეული მახინჯები, რომელთა პოეზია ლირიკული ქუხილის და მეშჩანური ქავილის გაზეპირებული შტამპებით სცდილობს საქმის გაქტოებას. მათ მაგიერ ჩვენ გვჭირია (და გვყავს) ბოლშევიკური დის-ციპლინის მქონე ადამიანები, წესიერი მოქალაქე მწერლები.

და აი ამ, თანამედროვე ეპოქის ბოლშევიკური ატმოსფერის ზე-გავლენის ქვეშ უნდა დავაუკაცდეს ქართული პროზა. ქართული ქრი-ტიკა მუდამ სწიოდა იმის შესახებ, რომ აღებული დროის ყოველ მომენტში ქართული პროზა ძლიერ სუსტი იყო და მისი განვითა-რების მწერერვალი მუდამ მომავლის საპერსპექტივო ილიუზიად იქ-ცეოდა. ეს „პროზაული“ სისუსტე იყო მუდამ მძლავრი სტიმული ლექსის დიქტატურისაკენ. ამ რიგად ქართული ლიტერატურის წარ-სული არ არის მაინცა და მაინც ძლიერ დიდი სახარბიელო საგანძური მხატვრულ მემკვიდრეობის მიღების თვალსაზრისით, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ გამონაკლისებს. (ი. ჭავჭავაძე, გ. წერე-თელი, ალ. ყაზბეგი, ა. წერეთელი). ამ მწერალთა შემოქმედებაში რეალიზმის სახით გადაიშალა ფართო ეპიური ტილოები. ილია ჭავ-ჭავაძემ თავის შემოქმედების პირველ პერიოდში მთელი თავისი მხა-ტვრული ყურადღება გადაიტანა ეპოქის სოციოლოგიური თემატი-კის დამუშავებისაკენ, მან აიღო კურსი სოციოლოგიური მოთხრობების შექმნაზე. (და არა ინდივიდუალისტურ-„ფსიქოლოგიურ“ თემატი-კაზე). ეს ის ხანა იყო, როდესაც რეალიზმი აღწევდა ლიტერატუ-რულ ჰეგემონიის მწერერვალებს და სიუჟეტის ახალი კონსტრუქცი-ებით ი ძ ლ ე ო დ ა იმ სოციალ-ეკონომიკურ პროცესების მხატვ-რულ ანარეკლს, რომელნიც შლილნენ და არღვევდნენ საქართველოს ცხოვრების ფეოდალურ-პატრიარქალურ ხანას. და არა გარტო სა-ქართველოში, არამედ ამ დროს მთელი ევროპის ლიტერატურა რო-მანტიულ მჭმუნვარების და სულიერი უგზოუკვლობის ნაცვლად გა-დადიოდა საქმიან საკითხების სფეროში. თავის თავად ცხადია ახალ თემატიკას თან მოჰყვა განსხვავებული სტილისტურ ძიებათა პრო-ცესი. ი. ჭავჭავაძემ თავის დროზე ერთი ახალი მხატვრული ხერხი შემოილო, რომელიც არ გააჩნდა მანამდე არსებულ რომანტიულ მი-მართულებას: მან სიტყვას მისცა პრაქტიკული დანიშნულება ე. ი. ყოველი ფრაზა დატვირთა სოციალური აზრით, ყოველ ბეგრას შია-ნიჭა ფუნქციონალური დანიშნულება და რეალისტური სტილის სი-

გაგრე უჩვეულო სიმაღლემდე დააყენა. „კაცია ადამიანი?!” გლოხის
ნააბობი“ და განსაკუთრებით „ოთარანთ ქვრივი“, შეუტყველელი
საბუთია იმ ნილილისტების წინააღმდეგ, რომელნიც მოითხოვნ კლა-
სიციზმისაგან სწავლის ლოგუნგის ლიკვიდაციას. ილიას შემდეგ გიორ-
გი წერეთლის და ეგნატე ნინოშვილის მხატ. ფაქტებში რეალიზმია ში-
ალწია მწვერვალს და დაექანა. მას შემდეგ დაიწყო გადაგვარების
ხანგრძლივი პროცესი ქართ. ლიტერატურაში. კლასიკების უგზო-
უკვლო ეპიგონებმა დაიწყეს სიმღერა უცნაურ ხემბზე და ამ ხნის
განმავლობაში წარმოიშვა სიმბოლიზმი, როგორც ქართ. ლიტერატუ-
რის დეკადანის უკანასკნელი საზღვარი. ხანგრძლივი უმოძრაობის
შემდეგ იდეიურ-ფორმალურ კონსერვატიზმის ჭაობი გაარღვია ახ-
ლათ წარმოშობილ პროლეტ. მწერლობამ, რომელიც დღეს უკვე
მძლავრ საზოგადოებრივ მოვლენად ითვლება.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ საჭიროა კლასიკებთან
ფრთხილი მიღომა: რატომ? იმიტომ, რომ პროლეტ. მწერალმა თან
არ გადმოაყოლოს ფორმალური ხერხების სწავლას ილია ჭავჭავაძის
რეტროგრადულ-რეაქციონური ფილოსოფია სოციალურ ურთიერთო-
ბის საკითხებზე...

მაგრამ, როგორც ვსთქვით უველაფერი ესენი გამონაკლისებია
ქართულ ლიტერატურაში. ქართულმა პროზამ ვერ შოიპოვა ძქტუ-
ლურ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა, ამიტომ იყო, რომ არჩილ ჯორ-
ჯაძე ჯერ კიდევ 1910 წელს ასე აყენებდა საკითხს:

— „...რატომ რჩება განუვითარებელი და თითქმის ერთ წერ-
ტილზე გაშეშებული ქართული ბელეტრისტიკა, მოთხრობა და
რომანი?“

ჯორჯაძემ, როგორც უნიადაგო მისტიკოსმა და იდეალისტმა
ამ საკითხს არა ობიექტიური გაშუქება მისცა. იგი სწერდა: „ლირი-
კული პოეტი... უმეტეს შემთხვევაში, გრძნობის ერთი მომენტით
ლელდება და ფრთხოსან მისტრაფებით იმსჭვალება... რო მანი იგი-
ვე ცხოვრება ა მისი პლასტიკური და ტრაგიკული სახით...“ ამის
შემდეგ ქართული ბელეტრისტიკის განუვითარებლობის მიზეზად
ჯორჯაძე ქართულ ცხოვრების უფერულობას, სიღარაკეს და გან-
საკუთრებით კი ქალების გადაგვარებას (?!). სოვლის.

ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ქართულ პროზის სისუს-
ტეზე ლაპარაკი ახალი არ არის; არჩილ ჯორჯაძეებს და ნაციონალის-
ტურ ინტელიგენციის მთელ წყებას აწუხებდა ბელეტრისტიკის კრი-
ზისი; აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მეოცე საუკუნის პირველ დასაწ-
ყისში პროზის სისუსტის მიზეზები იმალებოდა სოციალურ დეკადან-

სის სათავეში (რომელსაც წევრილი ბურუუაზია და თავადაზნაურება განიცდიდა) და დღეს კი თანამედროვე პროლეტარულ ლიტერატურა-რაში გვაქვს არა კრიზისი, არამედ ერთგვარი მო-უმწიფებლობა, „ზრდის ტკივილება“.

ბევრი ფიქრობდა და ფიქრობს ვითომ „ქართულ სიტყვას არც კი ეგუება (?) ენაჩლუნგი პროზა“ (კ. მაყაშვილი). მაგრამ ეს მხოლოდ სიმბოლისტური ზღაპარია, რომელსაც არათერი არა აქვს საერთო პროლეტ. ლიტერატურის განვითარების გზებთან. მგზავსად ამისა ზოგიერთი პროლეტარული მწერალი ლირიკული დაცემულობის მიზეზად საქართველოს იდილიურ-ეგზოტიურ ბუნებას სთვლის: კ. კალაძე ასეთი სიტყვებით მიმართავს მ. მაიაკოვსკის:

„ხომ გახსოვს,
ბალდადის მოებში ხომ გაზრდილხარ,
სიმინდის ყანებში
გივლია ფეხშიშველს, —
მო, ერთი
ქართულათ სთქვი რამე
თუ შესძლო, —
და სანაძლეოდ
თან ჩამოჰყევი ლექსს —
შენი ხმალი იყოს
და ჩვენი კისერი
თუ მაშინ
აქ შიშით თვალ გახელილი
ვერ გნახოთ
საკუთარ გულთან მოჭიდავა
და ორწოხებში
ფრთხებით ჩაჩეხილი....“

აი, როგორ „ფიქრობს“ კარლო კალაძე. მისი აზრით თვით ისეთთ მძლავრი რკინის ნერვებიანი პოეტი, როგორიცაა მაიაკოვსკი, ისიც კი ვერ გაუძლებს საქართველოს იდილიას და ქართულ ლექსის თქმის შემდეგ „საკუთარ გულთან მოჭიდარე“ მტირალ სანტიმენტალიკათ გარდაიქცევა!!

ასეთი შეხედულება ძლიერ შემცდარია. შორს არ წავალთ, თვით კალაძის ეპიური ლექსები და პიესა „როგორ“ აბათილებს ამ ცრუ შეხედულებას. შემდეგ მთელი რიგი ეპიური ნამუშევრები პროლეტ. ლიტერატურაში ურყყევი საბუთებია იმის დასამტკიცებლათ, რომ ჰეგემონიისათვის ბრძოლაში პროლეტიარულ მწერლობამ უნდა ჩამოიშოროს შეხედულება.

იმის შესახებ, თითქოს საქართველოს პირობები და გენერალობას. დღეს ლიტერატურაში მოიხველოს პირველ რიგში გეგ-
მიან საქმიანობას. დღეს ლიტერატურა პრაქტიკული საქმეა და ყო-
ველდღიურობის პროცესში მკვეთრი მონაწილე. ყოველგვარი უგეგ-
მობის და სტიქიურობის გარეშე პროლეტ. მწერალი უნდა სცდილობ-
დეს შეჯემნას პროლეტარულ მკითხველის მოთხოვნილების საკა-
სუხო მხატვრული ფაქტი. ეს არ ნიშავს რასაკვირველია შემოქმე-
დებითი პროცესის წინასწარ, მექანიკურ ნორმაციას. დღეს საბოლოოდ
განმტკიცებულათ უნდა ჩაითვალოს მარქსისტების აზრი შემოქმედე-
ბითი ფაქტებზე, როგორც რაციონალურ პროდუქციაზე, რომელშიაც
მისტიური და ირრეალური არაფერი ურევია. ყოველ მხატვრულ ფაქ-
ტში საქმე გვაქვს მასალის და ხერხის ლოლიკურ ურთიერთობასთან.
ახალი ლიტერატურა ემორჩილება საკითხის, ამ გვარ გადაჭრას და
მაშასადამე მას აქვს უფლება მოსთხოვოს მწერალს ახალი ეპოქის
ყოველი დამახასიათებელი დეტალის კონკრეტიული გამოსახვა.

როგორ სდგას საკითხი ამ მხრივ ქართულ პროლეტ. მწერლო-
ბაში? თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ ხანამდე პროლე-
ტარულ მწერლობაში გაბატონებული იყო ლირიკული უანრი. ეს უკვე აღნიშნა ქართულ პრესამ. დღესაც ჩვენს ლიტერატურულ
სინამდვილეში ზოგიერთი აქტუალურათ მომქმედი ლიტერატუ-
რული ძალები უმეტეს შემთხვევაში სცდილობენ მკითხველის ეუ-
რადოების დაჭიმვას ბგერების სანტიმენტალური სიმეტრიით, რითში-
ული ხმაშეწყობით და არა კონკრეტულ-საქმიანი სტრიქონებით. რო-
გორც ახალი ძალები, რომელნიც კომპავშირულ მწერლობიდან
იზრდებიან (კალე ბობოხიძე და სხვ.), აგრეთვე „სტაჟიანი მწერლები
(ი. ვაკელი და სხვა) ძლიერ ხშირად ინდუსტრიალურ თემატიკას ჰო-
სავენ ჭარბი ემოციონალობით და საბოლოო ანგარიშში მახინჯდება
თემა. მხატვრული ფაქტი გაბედვით ვეღარ მიდის პროლეტარულ
მკითხველთან, ვერ ეფარდება მის განწყობილებას და მხატ. პრო-
დუქცია ჰკარგავს მოხმარებითი უნარიანობას.

გადავიდეთ ფაქტიურ მასალაზე.

II

ყოველგვარი გადახრა ბოლშევიკური ხაზიდან მდგომარეობს თა-
ნამედროვეობიდან ჩამოცილებაში. კალე ბობოხიძე თავის შემოქმე-
დებაში აუცილებლათ ატარებს ასეთ გადახრას. იგი ვერ ეგუება სო-

კისლისტურ მშენებლობის მშვიდობიან ხანას და აქედანაა კიდეც მის
ლექსებში „ლირიკული ქუხილის“ განწყობილებათა სათავე პოეტის
მხატვრული ლექსიკონი, თქმის ტეხნიკა და მასთან ცენტრალური გან-
წყობილება არის რომანტიულ გმირული ხასიათისა:

1. „დასიბამიდან წყნარ დღებს ვგმობდი
ეს ლაც ბრძოლების სიმძაფრე მას სოვს,
გულზე მაწვები სიმშვიდის ლოდი,
როს გრიგალები არ არის ახლოს.
2. „მე ამ ზღუდებს გავარღვევ გავალ
რომ მე ამ ბოხის ვატარო წყალული.
3. სხვა სიყვარული ამანთებს ისე,
რომ მაქტებდეს ბრძოლებში, ქარში;
ამბოხებულის გრიგალი ზღვისა
ვიმღეროთ მაშინ, ვიმღეროთ მაშინ“ (იხ. „ინდუს. ლირიკა“).

პოეტის „მხედრული“ განწყობილება ძნელი შესათავსებელია
ინდუსტრიალურ გაზათხულთან, თუმცა ამავე ფურცლებზე გვხვდება
ლექსები ახლადნაგები ქარხნებისა და მშენებლობის შესახებ. საბ-
ჭოთა მშენებლობის თანამედროვე ეპოქის შე-
დარება ობივატელურ წყნარ დღეებთან და
ამით გამოწვეული გადავარდნა სამხედრო კო-
მუნიზმის „სტიქიურ“ განწყობილებაში — არის
პოლიტიკური ხასიათის შეცდომა. ამ შეცდომის სო-
ციალური საფუძველი იმარხება წვრილ ბურჟუაზიულ ჰაერეთში, ეს
იდეიური მხრივ. გარდა ამისა საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ
რომანტიული მანერა, რომელიც ახასიათებს
კ. ბობოხიძეს, არ გამოდგება მშენებლობის გა-
მძაფრებული ქმედობის გამოსასახივად, და ჩვე-
ნი აზრით სცდებოდა პლ. ქიქოძე, როდესაც მოითხოვდა პრო-
ლეტარულ მწერლობაში ეპიურ გადახალისებასთან ერთად პროლე-
ტარულ რეალიზმის რომანტიულ შეფერადებას.

რომანტიული ალფროვანება, გულაჩუყება, ექზალტიურობა
ვნებს „დამჯდარ“ ბოლშევიკურ საქმიანობას. ამ გზით მოცემული
ახალი ადამიანის ტიპი ბოლშევიკის კარიკატურაა და არა მისი რეა-
ლური მხატვრული ანარეკლი.

ამ ახრს განსაკუთრებით ადასტურებს ი. ვაკელის მუშაობა. ვა-
კელის ორიენტაცია ეპიურ პოემებზე ძლიერ სასიხარულო მოვლენაა
ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში: მით უმეტეს ვაკელი პრაქტიკუ-
ლათ სცდილობს განახორციელოს კლასიკებისაგან სწავლის ლოზუნგი.
ყოველი გაბედული ნაბიჯი ამ მხრივ უნდა გაზომილი იქმნეს იმ სარ-

გებლიანობის მიხედვით, რომელიც მოაქვს ავტორს თავისი მხატვრული მუშაობით ბოლშევიკური სტილის ჩამოყალიბებისათვის.¹ რატომ? იმიტომ, რომ არის ძლიერ ხშირი მაგალითები, რომ საუკეთესო ამბები, პროლეტარული იდეები ი ხ რ ჩ ბ ა გმირულ-ლირულ განწყობილებათა ნიაღვარში. პროლეტარულ მწერლობის სტილისტიური საშვალებების, მხატ. ფორმების, სახეების, კონსტრუქციის უნარიანობის, ინდუსტრიალიზაცია უნდა იყოს საფუძველი პროლეტარულ ხელოვნების მომავალ განვითარებისათვის. ინდუსტრია თავის ბუნებით არ ეფარდება რომანტიულ სტილს. ინდუსტრიალური ლირიკა—ნახევრად პარადოქსალური მცნებაა, რადგან დეკადენტების რამდენიმე თაობამ ლირიკაში ჩატკლა ყოველგვარი სიჯანსაღე. რასაკვირველია სანტი-მენტალური წრიპინი, პოეტური ფრაზების მინორული ხმარება ამ გამოადგება ბოლშევიკურ პოემის მხატვრულ ლექსიკონს. ამ მხრივ საინტერესო მემკვიდრეობას წარმოადგენს კლასიკური რეალიზმი: ილია ჭავჭავაძის მკვეთრი თხრობის მანერა ყველაზე უფრო ახლოა პროლეტ. თემატიკის სოციალურ ბუნებასთან. რომანტიული პათეტიზმი კი, რომელიც ამ კერძო შემთხვევაში . . . ვაკელის პოემების ერთ ხერხთაგანს წარმოადგენს, ხელს უშლის: 1) გეგმიანი მუშაობის წარმოებას მხატვრულ შემოქმედების პროცესში და 2) მომჭირნეობის რეამის სიტყვათა ხმარებაში. ყოველგვარი უგაგმიბა, რომელიც წარმოადგენს წარსულის უხეირო ნარჩენს, მუდავ ატარებს თავისში პოტენციალურათ იდეოლოგიური გადახრების ნასახს.

ი. ვაკელი სცდილობს ძველი კულტურის პროგრესიული ელემენტების „გაბოლშევიკებას“, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ვაკელი კულტურის დამოუკიდებელი გამოყენება და მოექცა რომანტიზმის ზეგავლენის ქვეშ. წარსულის მხატვრული მემკვიდრეობის გამოყენება პროლეტარულ კულტურის მშენებლობის პროცესში არ ნიშნავს მკვდარი ლიტერატურული ფორმების მექანიკურ რესტარაციას, მათ უმოტივო განმეორებას, არამედ სწავლა უნდა მიღიოდეს ამ მხატვრული ხერხების სინთეტიური დაძლევის გზით. კონსერვატიული კმაყოფილება ბარათაშვილის ლექსის უხეირო მიბაძვით აფერხებს პროლეტარულ ლიტერატურის სწრაფვას ჰეგემონიისაკენ. თემატიურ რევოლუციის, როვორც მიზეზს, თან უნდა მოჰყვეს ფორმალური განახლება, როგორც შედეგი. წინააღმდეგ შემთხვევაში ძველი ლიტერატურული ფორმების უცვლელი გაღმოღება პროლეტარულ პოეტს დაყენებს იდეოლოგიური გადახრის საფრთხის წინ.

ბევრი რამ რაც ძველი ხელოვნების ძვირფას საგანძურს შეა-
დგნდა — უკვე გაცდა, გაშაბდონდა, და თანამედროვე მკითხველში
მხოლოთ უგემურ რეაქციას გამოიწვევს: ვარდბულბულიანის ჰანგი
ლაძველდა, დ. გურამიშვილის მწყემსური იდილია გახუნდა; ამ გვარი
მხატვრული მომენტები უნდა წავიდნენ ლიტერატურიდან. რით გან-
სხვავდება ქვემოდმოყვანილ სტრიქონების იდეიურ-ფორმალური რა-
ობა კლასიკიზმის დროინდელი სახეებიდან:

„იყო მოწყენით ასე გარემო
და ასეთივე მკრთალი იერით,
ზედ დანათოდა თვალებ გაშლილი
ცა ულრუბლო და ცა მშვენიერი.
ხოლო მწყემსი კი იქვე ტირიფთან
თავ დავიწყებით თავის სალამურს,
ხან აკვენესებდა, ხან ატირებდა
მრად ტკბილსა და მარად სამურს. ✓
რა უნაღვლოა ცხოვრება მისი,
ტკბილი განცდები, ათასგვარ ხმაზე,
უვლის ნახირს და არც ერთი ბოლმა
მას არ აწუხებს ამ ქვეყანაზე“.

აი რას ნიშნავს უგეგმობა. მშრომელი მენახირე ნა-
კოლოზის სისხლიან რეუიმის მიერ დაჩიგრული;
პოეტის აზრით 905—6 რევოლიუცია-რეაქციის
წლებში იჯდა წყნარათ, უნაღვლოთ, მყუდროდ
და ამ განცხრომაში ილეოდა დღე და ღამეები.
ეს აღარაა ის ჯანსაღი რეალური ეპოსი, რომლის მოსაპოებლათ საბა-
რიკალო ბრძოლაა საჭირო ძველ ხელოვნებასთან, რომ ამ უკანას-
კრელმა „თან არ გადმოგვაყოლოს“ თავისი ხაგსმოკიდებული იდეო-
ლოგია. ამხ. ბ. ბუაჩიძემ თავისი დროზე მიუთითა ვაკელს იმის შესახებ,
თუ როგორ არ შეიძლება კლასიკებისაგან სწავლის გაგება.

„ჩემო ციცინათელა,
ანათებ ნელანელა,
ანათებ და მაგ შუქმა
გული სულ დამინელა...
• • • • •

და შენც რომ მიგატოვო
თვალს დამიგსებ უპებით;
მე ცრემლები წამიღებს
და შენც დაიღუპები!...“ (იხ. ი. ვაკელის: „ლექსები“).

ამ სტრიქონებს პროლეტარული არაფერი არა სცხია. გმირულ
პათეთიური ლირიკის სიჭარბემ „რკინის და

მანქანის, პროლეტარულ ურბანიზმის” წარმოადგინება
მადგენელი პოეტი ვაკელი მიიყვანა სიცნობით
მენტოლიზმამდე. აქედან ცხადია, რომ ზოგიერთ შემ-
თხვევაში ბრძოლა ეპიური უანრისათვის არის ამავე დროს ბრძო-
ლა პროლეტარულ მწერლობის იდეოლოგიური გაჯანსალებისათვის.

რატომ არის, რომ სხვადასხვა „უკანდახევები“ ბოლშევიკურ გვ-
ზიდან გვევლინება დაცემულობის ლირიკული განწყობილებით? იში-
ტომ, რომ ეპოსი ყოველ დროში უფარდება საქმიანი, ჯანსაღი
თვალსაზრისის მქონე ადამიანის ფსიქოლოგიას. ინტიმიური ლირიკა,
ცრემლების ფრქვევა და სხვა ამგვარი კათეგორიის მოვლენები არ
გამოდგება პროლეტ. მწერლობის მუშაობაში. ჩვენს კერძო შემთხვე-
ვაში ეს ხელს უშლის ვაკელის ფაბულარულ ლექსების წერას. ი. ვა-
ვაში აწარმოებს დიდ ექსპერიმენტალურ მუშაობას, იგი სწერს ისეთ
პოემებს, როგორიცაა „მეწისქვილე“, „ზელიმხანი“, „არსენა ჯორჯია-
შვილი“, „პოემა საბჭოთა დღეებზე“ და დრამა „ნისაკირალი“. თე-
მატიურათ პირველი წარმოადგენს მთიური მორალის და ქურდული
აღვირასნილობის შეჯამებას სექსუალობის საკითხთან დაკავშირე-
ბით (ალ. ყაზბეგის თემა), მეორე არის ყაჩაღ ზელიმხანის რომან-
ბით (ალ. ყაზბეგის თემა), მესამე: მუშა რევოლუციონერი არსენა
ტიული თავგადასავალი, მესამე: მუშა რევოლუციონერი არსენა
ჯორჯიაშვილის ცხოვრების მხატვრული გადმოშლა და მეოთხე: ვილაც
ორბელიძის ეროვნული ფანატიზმით გამსჭვალული განცდები; ეს
უკანასკნელი პოემა ძლიერ დიდი საფრთხის წინ აყენებს პროლეტ-
მწერალს; კითხულობ პოემას და ვერ არჩევ, სად თავდება პროლეტ-
მწერალი და სად იწყება ფერდაკარგული, ყოფილი ადამიანი ი. ორ-
ზელიძე.

განვიხილოთ უფრო დეტალურათ „არსენა ჯორჯიაშვილი“. მა-
სალის განსაზღვრულ მხატვრულ ფორმებში მოთავსება, ჩამოყალი-
ბება იწვევს მკითხველში ემოციონალურ განწყობილებას. მაგრამ აქ
საჭიროა ზომიერების გრძნობა. დაღმავალ, დაცემულობის ეპოქების
ლიტერატურაში მთავარი ყურადღება ექცევა მხატვრულ ფორმას,
ნაწარმოების „ესთეტიურ სილამაზეს“. დღეს კი ლიტერატურა პრაქ-
ტიკული საქმეა. მკითხველის ყურადღების კონცენტრაცია გარეგნულ
მქუხარე განცდებზე შლის ახალი ხელოვნების ფუნქციონალურ და-
ნიშნულებას. ეს საფრთხე მოსჩანს დასახელებულ პოემაში. აქ ივ-
ტორი სცდილობს მასის ყურადღების დაჭიმვას არა კონკრეტული ამ-
ბებით, არამედ ლირიული განწყობილებით. აქ იკარგება პოემის სო-
ციალური დანიშნულება და იქმნება ილიუზია მოსაშვილ-ლეონიძი-

სებური პათეტიური ლექსებისა. პოემის ეს არანორმალობა მუღავნ-
დება აგრეთვე მხატვრულ ლექსიკონის იდილიურ ხსიათში.

ი. ვაკელის პოემებს ას ასიათებს თავად - აზნურული — ეგზოტიური მხატვრული ლექსიკონი. ი. ვა-
კელის მთელი რიგი ლექსები და პოემები გვიჩვენებს, რომ იგი სარ-
გებლობს ძველი ეპიტეტებით და შედარებებით;

ფაქტები:

1. „... ეგ არი ჩევნი ნაძალადევი
მისი მზე ახლაც სხივების ღვარებს —
ათოვებს ირგვლივ და, როგორც დავი
იცავს ამაყად ტფილისის კარებს.
2. „შრომის შეილთა ძლევის არია,
მე მომაგონებს მდინარეს ხევის
მომსკდარს მოვარდნილს ნიავლვარიანს,
რომელიც მუდამ ლმურის და უვირის
როგორც დაჭრილი ავი ნადირი...“

პოემის აქტუალური თემა მოცემული ძველი ფორმალ ხერხე-
ბით ამახინჯებს წარსულის რევოლუციურ მომენტებს.
აი მაგალითად როგორ აღწერს სურათებს ვაკელი:

„ვით უდაბური ტყის განაპირად,
სულ განაბული ზის მონადირე,
გეძებრები კი ყელენ ბრაზისგან,
მისდევენ ტყიდან გაქცეულ ირემს,
არის გრიალი და ტყის შრიალი,
დაფეხებული ზანზარებს არეც,
ბოლოს, რომ თოფი იჭექებს სადღაც
და ძირს ეცემა ირემიც მწარედ —,
ისე არსენაც მტრის გან დევნილი...“ და სხვა.

აქ არ არის არავითარი სახეების ინდუსტრიალიზმი. პირიქით: მუშა-
რევოლუციონერის შედარება ირემთან არის დაგვიანებული ეგზო-
ტიკის მავნე ზეგავლენა. თავის დროზე ილია ჭავჭავაძე სწერდა:

„ყმაწვილი ქალი საესე სიცოცხლით,
საესე შვენების ჯადოთი გრძნებით
ნაზად, ამაყად ცეცხლის პირს იჯდა,
ვით მინდვრის შველი ყელმოღერებით“.

აქ შედარება სავსებით სწორია. ხოლო ვაკელის შედარება ართუ-
ლებს, აძნელებს საგნის ათვისებას.

ვაკელმა ვერ დაიმორჩილა თემა. ყოველ მოვლენისაღმი საჭიროა
რეალური ჯანსაღი, კლასიური მიდგომა და სიუჟეტის ყოველი დე-

ტალის გამოსახვის დროს პოეტის ყურადღების ცენტრი უნდა დაჭი-
მული იყოს მთავარი იდეიისაკენ. მასალის დაძლევა, მისი რაციონალური გამოყენება — აი რა არის პირველ რიგში საჭირო: წინააღმდეგ
შემთხვევაში ძნელი გასაგები ხდება თუ რა თვისება იტაცებს
არსენასი ვაკელს — მისი გმირული საქმიანობის გარეგნული „მქუ-
ხარე ელფერი“ თუ რევოლიუციონური საქმიანობა. რევოლიუ-
ციონერის გმირობა მუდამ იდეიურ-პრაქტი-
კულ საჭიროებით გამოწვეული საქმიანობა
იყო და არა ბაირონისებურ უმიზნო ანარქისტული
ნებისყოს ქავილი. მაშასადამე მიღობის საკითხი გან-
საზღვრავს პოემის განწყობილებას. ჩოგორ უდგება ვაკელი ამ სა-
კითხს? პოემის შესავალში ერთგვარი მხატვრული კრედოა მოცე-
მული:

„ორი ათასი გული, რომ მქონდეს,
იქნებ გაუძლო ამ ნალველს მაშინ,
თორემ პატარი გული პოეტის
ჩემი ძვირფასო წვერია ზღვაში;“

შემდეგ ასაბუთებს ამ ნალვლიანობის მიზეზს, რომ „მოვა უბე-
დობა მრავალთავიანი დევივით“ და სხ...

ჩვენ გვეონია, რომ ეს მითოლოგია, ანარქიული გმირული კილო
არ ვარგა პროლეტარულ იდეების გაღმოსაცემად. ი. ვაკელს შეუძლია
ამ განწყობილების შეცვლა საქმიანი მოტივებით. ახალი თემატიკის
შეკვეცა ძველი ესთეტიკის პროკრუსტეს სარეცელზე ვერ მოგ-
ვცემს ლიტერატურულ ჰეგემონიას.

გარდა ამისა უფაბულო ლექსმა (ლირიკა) უნდა დასტოვოს საბო-
ლოოდ პროლეტარულ ლიტერატურის მაღლობები და გარდაიქცეს
მეორე ხარისხოვან უანრათ. ჩვენთვის მიუღებელია ყოველგვარი ინ-
ტელიგენტური არშიყობა სიტყვებთან, ჯანსაღი რეალური ეპოსი
უნდა გახდეს მთავარი უანრი პროლეტარულ მწერლობაში.

III

ზემოდ ჩვენ ვსწერდით, რომ ქართული პროზის სისუსტე იყო
მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ქართულ ლიტერატურის არსებო-
ბის გრძელ მანძილზე. თავისითავად ცხადია მსუბუქი უანრის ლირი-
კა, — „ცა ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტით“ შემკობილი, — ვერ იქნებო-
და ბიძგი დიდი ეპიური ტილოების შექმნისაკენ. ქართულ ლიტერა-
ტურის მძლავრი ლირიკული დატენილობა ამუხრუჭებდა პროზაული

ნაკადის ფართო მოძრაობას. პროლეტარულ მწერლების ნაყოფიერი მუშაობით დღეს ეს დაბრკოლება თანდათან ისპობა. კ. ლორთქიძეთა ნიბის მოთხრობები იძლევიან დიდ იმედებს; „ბორანი“, „ვინა ველი დედა“, „ფოტოგრაფი“—პროლეტარულ ლიტერატურის სამაყო მხატვრული ფაქტებია; ელ. პოლუმორდვინვის „რკინის ძმები“, ახლო რევოლუციონური წარსულის მხატვრული გადმოშლაა, რომელიც გვიმტკიცებს პროლეტარულ პროზის ზრდის არსებობას. მაგრამ ეს მაინც არა კმარა. ჩვენი მწერლების მთავარ ნაკლათ უნდა ჩაითვალოს სოციალ-ფიქოლოგიური სიღრმის უქონლობა მხატვრულ ფაქტის შენების დროს. მათ ჯერ კიდევ არ ეხერხებათ ტიპების ფართო, სოციალური მოხაზვა, ყოფითი დეტალიზაცია. კერძოთ ელ. პოლუმორდვინვის „მოთხრობის გმირები სქემატიურათ არიან მოცემული... მის მიერ მოცემულ გმირებს ვითვისებთ არა როგორც დასრულებულ ტიპებს, არამედ როგორც ტიპების სქემებს“ (შ. რადიანი—„ლიტერატურული პროტრეტები“).

რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ პროლეტარული მწერლები ვერ იცნობენ ახალ ცხოვრების ყოფითი-დეტალურ მხარეებს, ისე როგორც კლასიკები იცნობდენ ძველ სოციალურ ურთიერთობებს და ძველი ტიპის აღამიანებს. ამას წინად იგივე კონ. ლორთქიფანიძე სწერდა:

„ცხოვრების ფორმათა ცვალებადობაში, მათ დადგინებაში, აღამიანთა დამოკიდებულების განმტკიცებაში მწერლობამ მთავარი როლი უნდა შეასრულოს; ჩვენ კი, არამც თუ მუშის 24 სათის,—თავისი შრომით, სიხარულით, ოჯახური ურთიერთობით, არამედ მისი ერთი უბრალო სადილობის აღწერაც არ შეგვიძლია ხეირიანი... ჩვენ შესაფერად არც ახალი და არც ძველი სოფელი არ ვიცით. ამიტომ ჩვენი იარაღით, მხატვრული სიტყვით, სათანადოთ ვერ ვეხმარებით პარტიას საერთო მიზნის მიღწევაში“. (ხაზი ჩემია — გ. ნ.).

კ. ლორთქიფანიძის ეს სრულიათ გულწრფელი განცხადება ერთხელ კიდევ მიგვითოთებს სწავლის საჭიროებაზე. მოვიგონოთ როგორ ჰქმნიდნენ კლასიკები ტიპებს?

ლ. ტოლსტოის, ი. ჭავჭავაძის და სხვათა შემოქმედების მიღწევა კლასიკურ სიმაღლეებამდე აიხსნება არა მარტო მაშინდელ ეპოქის სოციალ-პოლიტიკურ მოვლენების სირთულით, არამედ აქ მოქმედობს ის გარემოებაც, რომ ამ მწერლების ბიოგრაფია, ცხოვრების პროცესი

ძლიერ მდიდარი იყო ფაქტიური მასალით. ისინი ახლო იცნობდნენ ცხოვრებას, იცნობდნენ არა უურნალ-გაზეთებით და უურმატკრული ამბებით, არამედ შესწავლილი ჰქონდათ მთელი ცხოვრება თ რიგ ინალ ში, დედან ში. ლ. ტოლსტიო, რომ სამხედრო პიროვნება არა ყოფილიყო მისი რომანების მხატვრული ლირსება გაცილებით უფრო მდარე იქნებოდა, ვიდრე დღეს არის. ალ. ყაზბეგმა მწყემსად ყოფნის დროს აღრიცხა ყველა ის სახასიათო დეტალები მთიულების ყოფაცხოვრებისა, რამაც ესოდენ დიდი ინტერესი გამოიწვია შეითხველ მასებში. აქედან ცხადია: პროლეტარული მწერალი ვერ შეკვენის ახალი მოთხოვნილების საპასუხო მხატვრულ ფაქტს თუ მას არ „უნახავ“ საბჭოთა სოფელი თავისი ყოველდღიური საქმიანობით, კულაკების ბრძოლით, ღარიბთა ჯგუფებით, კომუნებით და ჯვარ-მონგრეული ეკლესიებით. როცა ეს ყველაფერი ჩვენი მწერლის თავშე საკუთარ გარემოთ გადაივლის, როცა მწერლობას და ცხოვრებას შორის წაიშლება ძველი განხეთქილების, ზერელეობის და. შაბლონიურობის ყოველგვარი ნაშთი, მაშინ შესძლებს პროლეტარული მწერალი გვიჩვენოს სიმონა ძალაქები, გოგია უიშვილები და სპირიდონ მცირიშვილები პარტბილეთებით. ამიტომ ძლიერ სასიხარულო მოვლენაა პროლეტ-მწერლების გამგზავრება სას. სამ. კომუნების შესწავლად.

ეგნატე ნინოშვილი არა მარტო იდეიური საშვალებით, არამედ ფიზიკურადაც კი ებრძოდა ტარიელ მკლავებებს. კლასიკების მხატვრული ძლიერება იზრდებოდა არა ყურმოკრული ამბების ბლოკნოტში გადატანით, არამედ ეპოქის სოციოლოგიური ოვისებების კონკრეტული ცოდნით. მწერალი, რომელიც სწერს სამოქალაქო ომშე: სამხედრო კომუნიზმის ეპოქაზე უნდა იცნობდეს არა მარტო წითელი არმიის გმირული ბრძოლების ისტორიას, არამედ სამხედრო სტრატეგია-ტაქტიკასაც. უკვე ცნობილია, რომ ძლიერ დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამოცდილებას, პირადი ცხოვრების მრავალფეროვანებას, ამიტომ იბრძვის პროლეტარული კრიტიკა პროლეტარულ მწერლის პროფესიონალიზაციისთვის (ბ. ბუაჩიძის წერილები) და მოქალაქეობრივი აქტუალიზაციისთვის (ვ. ქიქოძე). კლასიკები მთლიანად იყენებდნენ პირად გამოცდილებებს:

ლ. ტოლსტიოს მთავარი ნაწარმოებები — „ალდომა“, „ყაზახები“, „ბავშვობა და სიყრმე“, „მემამულის დილა“ და სხვა... ატარებენ

ავტობიოგრაფიულ ხასიათს, თუმცა მკითხველისთვის, რომელიც ვა
იცნობს ტოლსტოის ბიოგრაფიას, ეს დაფარული რჩება¹). ეს კითხვა ასეთი მიზანით არის დაგენერირებული.

თავადი ნებლიუდოვი 19 წლის ახალგაზრდა სტოვებს უნივერ-
სიტეტის მე-3 კურსს და მიღის სოფელში ქველმოქმედური მიზნებით
აღჭურვილი. პარალელურათ ამისა ტოლსტოის ბიოგრაფიიდან ვი-
ცით, რომ მან 1847 წელს 19 წლის ახალგაზრდამ დასტოვა უნივერ-
სიტეტი და წავიდა იასნაია პოლიანაში, დაუბრუნდა გლეხობას თა-
ვისი უტოპიურ-რეფორმისტული ზრახვებით, ისე როგორც ნებლიუ-
დოვი. აგრეთვე „ყაზახები“ არის შედეგი კავკასიური შთაბეჭდილე-
ბისა. დიმიტრი ოლენინი — ეს თვით ლევ ტოლსტოია. ისეთი ცოც-
ხლათ გამოკვეთილი ფიგურა ამავე მოთხრობაში როგორიც არის
ეროშკა, ყოფილა ტოლსტოის ახლო ნაცნობი ყაზახი სტანიცა სტა-
როგლადოვსკში ცხოვრების დროს. აგრეთვე გონჩაროვის ეპოქალუ-
რი ნაწარმოები „ობლომოვი“ ატარებს ზოგიერთ ნაწილებში ავტო-
ბიოგრაფიულ იერს. ობლომოვის ბავშვობის აღწერა კერძოთ ავტორს
თავის ბავშვობის მიხედვით, მოგონებით აღუდენია².

კიდევ მრავალი საინტერესო ფაქტების მოყვანა შეიძლება რუსულ
ლიტერატურიდან. ქართულ მწერლობაში მრავალი მოგვეპოება ანა-
ლოგიური ფაქტები. ალ. ყაზბეგის გმირების მთელი პლეადა სინამ-
დვილის უშუალო ნაკვეთები არიან. ზოგიერთების მოსაზრება, თით-
ქოს ალ. ყაზბეგის შემოქმედების პროცესი „სტიქიური და აფექტი-
ური“ იყოს, არ არის მართალი. ამის დასამტკიცებლათ გადავხედოთ
ვახ. კოტეტიშვილის მიერ შეკრეფილ მდიდარ ფაქტიურ მასალას:

1. „განკიცხულის“ ამბავი არის ავტობიოგრაფიული ფრაგმენტი.
ნაწარმოები სავსე პიროვნული განცდით... — ამბობს კოტეტიშვილი —
„განკიცხულის ერთი გმირთაგანი, პორფირუშკა, დაწერილი ყოფილა
ცოცხალი მოდელის მიხედვით, და ეს უკანასკნელი ყოფილა პორფირე
ბარ — შვილი. ხოლო სოფიოს პორტრეტის დასაწერად ალ. ყაზბეგის
მოდელათ აულია ელისაბედ ყაზბეგი“.

1) სულ სხეულ ე. შ. „დოკუმენტალური პროზა“, რომელიც მწერლის ბიოგ-
რაფიის დოკუმენტალურ გამოფენას მოითხოვს. აქ სერიოზული პროზა იკარგება
და მის ადგილს იკავებს ავტობიოგრაფიული სურვებატი.

2) ზოგიერთი ბიოგრაფიული ცნობები ამოვილე ვ. სავოდნიკის წიგნიდან —
„Очерки по истории русской литературы“.

2. „ალ. ყაზბეგის გმირთა წყება ამავე სახელებითაც კი ოსუბელან ხევში და ჩვენი მწერლის პერსონაჟების ორიგინალებით ისინი ყოფილან. მაგ. ელგუჯა. იგი ამავე სახელით ყოფილა ცნობილი შეცხვარე, რომელსაც დიდი გმირობა გამოუჩენია, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლს. მისი სახელი დღესაც ცოცხალია ხევში და ჩონგურზე დღესაც დამღერიან:

ელგუჯამ ცხვარი აპყარა
მწყემსებს გაუყო ზიარი,
ადგა და გამოემართა“ და სხვა....

3. „იგო „მამის მკვლელიდან“, — ყოფილა ბიბო ყაზბეგის „უკანონო“ ძმა, რომელსაც „კაცინაკლავს“ ეძახდნენ, მეტად ბრგე და გულადი ვაჟკაცი“...

4. „ციცკა — ესეც ბიბო ყაზბეგის „უკანონო“ ძმა“, რომლის შესახებ შექმნილა ხალხური ლექსი და ლექსში თითქმის იგივე სიუჟეტია, რაც ალ. ყაზბეგის მოთხრობაში“.

ყველაფერი ეს გვეუბნება ჩვენ, რომ მწერალმა უნდა გამოყენოს პირადი გამოცდილებანი, არა როგორც მხატვრული შემოქმედების თვითმიზანი, არამედ როგორც მასალა, საშვალება ეპიური ტილოების შესაქმნელათ. პროლეტარულ მწერლების წინაშე ისმება საკითხი რეალური ცხოვრების შესწავლაზე, ახალი აღამიანების გაცნობაზე; ეს უნდა მოხდეს ლიტერატურულ კლასიციზმისასგან სწავლის პარალელურათ. მაგრამ, აქაც სდგება ჩვენს წინაშე მოსალოდნელი საშიშროება: არ გადაიქცეს პროლეტარული მწერალი ტრადიციულ ბელეტრისტულ უანრების ეპიგონათ; ამის თავიდან ასაცილებლათ მწერალი უნდა არჩევდეს რა არის მისაღები ძველი ხელოვნებიდან და რა გამოუსადეგარი.

დაკავშირებით ამასთან უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: ამას წინად რაჟდენ კალაძე მოითხოვდა „ხალხური გმირული ეპოსის“ და სიმბოლიზმის ზოგიერთი ელემენტების გამოყენებას პროლეტარულ მწერლობაში. ეს სავსებით შემცდარი პოზიციაა. არაფერი საერთო არ არსებობს მითოლოგიურ როსტომ-ამირანებისა და თანამედროვე ბოლშევიკის კოლექტიურ ნებისყოფის შორის. პირიქით აქ არის ძირეული დაპირისპირება. ინდივიდუალური გმირობა, ავტორიტეტული ფეტიშები — აი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი გმირული ეპოსისა. რაჟდენ კალაძის მოსაზრება თითქოს „პროლეტარიატის კლასობრივ-საზოგადოებრივი ბრძოლა ასეთი გმირობით“ ხასიათდება — სავსებით

შემცდარია, რადგან დღევანდელი პროლეტარულ მასების კოლექტი-
ური ფსიქოლოგია არ იცნობს ბრმა გაღმერთებას „ძლიერი წების-
ყოფისა“. მაშასაღამე მითოლოგიური თემატიკის შესაფერი ფორმა-
ლური „ხერხები“ არ გამოდგება პროლეტარულ ლიტერატურისათვის.
ახალი ადამიანის გმირობა მასიურ ორგანიზაციის უკეთეს მოწყო-
ბაში გამოვლინდება და არა ინდივიდუალურ-ზეკაცურ ჭიდილში
რაიმე ზღაპრულ მოვლენასთან. საგმირო ეპოსი, ისე როგორც მითო-
ლოგიური თქმულებები არაფერ სახარბიელოს არ შეიცავს, რად-
გან აქ არ არის ლაპარაკი უბრალო, მურო მელ ადა-
მიანებზე; ამავე მიზეზის გამო სავსებით გამოუსადეგარია პროლეტ-
მწერლობისათვის სიმბოლიზმის ლიტერატურული ტრადიციები. სიმ-
ბოლიზმის იდეიური წინამორბედნი, ფრიდრიხ ნიცეშე, და სხვების
მთავარი მოტივი — ზეკაცური ანარქიული აბდაუბდა ძლიერ ხშირათ
ხურდავდებოდა წირპლიან სანტიმენტალიზმად. ვერლენ-ბოდლერის
ლვინის კულტი, თავის ბოპემით, ავადმყოფური მისტიკიზმით დია-
მეტრალურათ წინააღმდეგია ყოველგვარი სიჯანსალის, ამიტომ ეს
მიმდინარეობა კონტრასტიულადაა განწყობილი პროლეტარულ მწერ-
ლის ფსიქოლოგიასთან.

პროლეტარიატს ეჭირვება არა სიმბოლისტური სიმახინჯის ეს-
თეტიკა, არამედ ახალი საზოგადოებრივი წყობილებისათვის მედგარი
მებრძოლი ხელოვნება:

შალვა რაჭიაძე

ლეო პიაჩელი

ხშირად ესა თუ ის ავტორი დასწერს ისეთ ნაწარმოებს, რომლითაც მიიპყრობს საზოგადოების ყურადღებას. შემდევ მორჩა და გათვალისწინება: მას აღარავითარი წინსვლისა და ზრდის ნიშანი აღარ დაეტყობა, ისევ თავის თავის გადამღერებას დაიწყებს სხვადასხვა ვარიაციებით. ჩვენში ასეთი „გაყინვა“ არც ისე იშვიათია. ეს მოვლენა უდიდეს საშიშროებას წარმოადგენს მწერლისათვის.

ლეო ქიახელმა თავი დააღწია ამ საშიშროებას (თუმცა ზოგჯერ მისი შემოქმედების პორიზონტზედაც ჩდებოდა ჩრდილები).

ლეო ქიახელმა კარგი ბელეტრისტის სახელი განსაკუთრებით ორი ნაწარმოებით მოიპოვა. ესენია: „ტარიელ გოლუა“ და „სისხლი“.

ჩვენც სწორედ ამ ნაწარმოებთა შესახებ გვინდა ლაპარაკი....

1905 წელი მეტად მდიდარ მასალას, ასპარეზს იძლევა მხატვრული შემოქმედებისათვის. რომ ეს სწორედ ასეა, ამას ამტკიცებს მთელი რიგი ნაწარმოებებისა, რომლებიც უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა ჩვენში რევოლუციონური მოძრაობის ამჟღვიონდის შესახებ (ნ. ლორთქითანიძე „ბილიკებიდან ლიანდაგზე“, პ. სამსონიძე „პირველი ქარტეხილი“, დ. სულიაშვილი „ნაღვერდალი“ და სხვ.).

ლ. ქიახელის „ტარიელ გოლუა“, რომელიც უკვე რამდენიმე წლის წინათ დაიწერა და ეხლახან უკვე მესამეთ გამოიცა, 1905 წელს შეეხება. ის თითქმის ერთად-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია ცხრას ხუთის რევოლუციონური მოძრაობის შესახებ.

„ტარიელ გოლუა“ გაშლილია სოფლის ცხოვრების ფონზე. 1905 წლის წინა ხანებია. სოფელშიაც შეიჭრა ახალი სიო. აქ რევოლუციონურ მოძრაობას ხელმძღვანელობს ტარიელ გოლუა და მისი შვილი ლევანი. კლასობრივი დაპირისპირებაც გარკვეულად მულავნდება, ლევანი იყვარებს შეძლებული აზნაურის ქალს თინას. სოციალური ზღვანი იყვარებს შეძლებული აზნაურის ქალს თინას. სოციალური ზღვანი იღუპება მტრის ხელისაგან. ტარიელსაც არ ასცდა ციხე, მაგრა ტურათ იღუპება მტრის ხელისაგან.

რამ ის მაინც შეუდრევეკლათ მეთაურობს ახალ-ახალ რაზმებს მდგრადი
წესწყობილების წინააღმდეგ.

„ტარიელ გოლუაში“ ბევრი საინტერესო მომენტებია. რომანის
სიუჟეტი, ინტრიგა კარგათ არის განვითარებული. ლ. ქიაჩელი იქრება
დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში და გვიშლის სურათს
იმისას, თუ როგორ შედის სოფელში რევოლიუციონური მოძრაობა,
როგორ ითვისებს მას გლეხის პრიმიტიული შემეცნება და შემდეგ რა
როლს ასრულებს ის ამ მოძრაობაში.

ლ. ქიაჩელი რომანში გლეხ-რევოლიუციონერების მთელ გალე-
რების იძლევა. აქ არის 65 წლის გლეხი ტარიელ გოლუა, მისი შვი-
ლი — ლევან გოლუა, ბევანა, ტაგუ და სხვ.

ნაწარმოებში ყველაზე სრულათ და ყოველმხრივათ ტარიელ გო-
ლუა გამოიყურება. ის აქტიური გლეხის სიმბოლოა. მის სისხლსა და
ხორცში რევოლიუციონური განწყობილებები ორგანიულათ არის შე-
სული. რომ ის რევოლიუციის მხარეზე უნდა იყოს, რომ ის უნდა
ხელმძღვანელობდეს ამ მოძრაობას თავის სოფელში, ეს მისთვის აღარ
არის სადაო:

ტარიელი ეკითხება თავის შვილს ლევანს:

— „ერთობის დამწყებათ გსახავენ მეზობლები... მართალია?...“

— სირცხვილი იყო სიჩრდე... ჩვენ-ლა ვსდეუმდით!

— სწორეა!.. ყველგან ახალი სიტყვა ისმის... ახალი საქმე კეთ-
დება — და ტარიელი მომლიმარი სახით წინ დაუდგა ლევანს. — მე
რატომ არაფერი მითხარი, თუ ასეთი განზრახვა გქონდა?.. ჩემი აზრი
ხომ იცოდი?..“

ტარიელ გოლუა სწორედ ამ ახალი სიტყვის და საქმის სიმბოლოა
სოფლად 1905 წლის მოძრაობის ფონზე. მკითხველი ყოველთვის
გრძნობს, რომ ტ. გოლუა არასოროს არ დაიხევს უკან ბრძოლის ვე-
ლისგან, რომ ის ყოველთვის მშრომელთა მხარეზე იქნება განთავი-
სუფლებისათვის ბრძოლაში.

ტარიელი მშრომელი გლეხობისათვის ავტორიტეტია. მან არ
იცის აჩქარებული მოქმედება. ის თვითეულ თავის ნაბიჯს ზომავს,
რომ საერთო საქმეს არ აენოს.

ტარიელს კარგათ აქვს შეგნებული პასუხისმგებლობა საზოგა-
დოების, „ერთობის“ წინაშე და ამიტომ პირადულს ყოველთვის უკანა
რიგში იყენებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ მან თავის შვილს ლევანს
არ მისცა უფლება პირადი ინტერესების გულისათვის ხელი შეემალა
საერთო საქმისათვის. ტარიელი შეუდრეველი, გაულუნავი პიროვ-
ნებაა. მან გამოიარა ციხე, წვალება, შვილის სიკვდილი, ოჯახის გა-



ნადგურება, მაგრამ მაინც ლირსეულათ და მტკიცეთ ემსახურება 150 წელის
თობას“, საერთო საქმეს.

რევოლიუციას ესაჭიროება რაზმელები, მებრძოლები. ტარიელ
მათ შორის პირველია:

— „მე მოვდიგარ! — გაისმა ბოლოს თამამი ხმა ხალხიდან და
წინ წარსდგა სვანური ქუდი შუბლზე ჩამოფარებული, თეთრი თმა-
წვერ-ულვაშით მოსილი ტარიელ გოლუ...“

ტარიელის მაგალითს სხვებიც ბაძავენ, რაღანაც ის მათი წინა-
მძღოლი და ხელმძღვანელია:

„ტარიელ გოლუა ისე იდგა მათ შორის, როგორც დროს ქა-
რიშხალით ტოტებ-შემსხვრეული, აქა-იქ კანდაკორძებული, მაგრამ
ფესვებ-მაგარი და ტან-ძლიერი ძველი მუხა სდგას ხოლმე ახალ ავარ-
დნილ მწვანე ნორჩის ტყეში...“

ტარიელ გოლუა დაუვიწყარი ტიპია ჩვენს ლიტერატურაში. ის
1905 წლის რევოლიუციაში მონაწილე აქტიური გლეხობის განსახებას
წარმოადგენს.

რომანის დანარჩენი გმირები უფრო მკრთალათ გამოიყურებიან.
არ არის სისრულით მოცემული რომანის ისეთი ცენტრალური ფიგუ-
რათაგანიც კი, როგორიც არის ლევან გოლუა, მაშინ, როდესაც ეს
შეიძლებოდა და საჭიროც იყო. ის ფსიქოლოგიური ბრძოლები, რომე-
ლიც ხდებოდა ლევანში, ფართე ასპარეზს წარმოადგენდა მწერლის
კალმისათვის. მიუხედავათ ამისა, ლევანის შესახებ მაინც შეიძლება
ითქვას, რომ ის უფრო „მეოცნებე“ მებრძოლია. მის ცხოვრებაში დი-
დი ადგილი აქვს დათმობილი გრძნობებს. მას ზოგჯერ არც კი შეუძ-
ლია, რომ თავისი მოზღვავებული გრძნობები შეაკავოს, თუ არ მიიღო
ვისმესგან „გაკვეთილი“. მაში ყოველთვის იბრძვის ორი განწყობი-
ლება: პირადი (სიყვარული) და საზოგადო (რევოლიუცია). უკანას-
კნელ განწყობილებას ის თუმცა დიდის ბრძოლით, მაგრამ მაინც პირ-
ველ ადგილს უთმობს.

ლ. ქიაჩელი „ტარიელ გოლუა“-ში ერთი დიდი საშიშროების
წინაშე იდგა: — რომ მას რომანის დიდი ფონი — 1905 წლის რევო-
ლიუცია სოფლად — არ გადაექცია რამდენიმე პერსონაჟის ინტრიგის
ასპარეზთ. შეიძლება ითქვას, რომ ამ საშიშროებას მან რამდენიმეთ
დააღწია თავი.

ეხლახან ცალკე წიგნათ გამოცემული „სისხლი“ შეეხება ცხრაას
ხუთის მომღევნო პერიოდს.

„სისხლი“—ს ამ ნაწილში (წიგნი პირველი) ლ. ქიაჩელი გვიხატავს რევოლუციონერების მუშაობას და ბრძოლას ცხრას ხუთის მოძრავი ამაღლებაზე მოძრავი ამაღლებაზე.

ავტორი „სისხლში“ გამოყვანილი ყავს მთელი წყება „მრავალ-უეროვან“ აღამიანებისა. აქ არის: არჩილ დადაშიანი, ბოლშევიკი ნიკო, ანდრო ქარივაძე, ვარდო ვარაძე, შალვა რამაძე და სხვ.

რომანში პარალელურად ვითარდება ორი მოქმედება, ორი ინტრიგა, ორი კოლიზი (შეჯახება): რევოლუციონერების მუშაობა რევოლუციის საქმისათვის და სიყვარულის „ამბავი“.

არჩილ დადაშიანი — რომანის მთავარი გმირი მალალი წრიდან გამოსული ინტელიგენტია. ის რევოლუციონურ ორგანიზაციის ხელმძღვანელია. მაგრამ საერთოდ მიხი რევოლუციონერობა უფრო „თეორეტიული“ ხასიათისაა. მასში არ მოსჩანს აქტიური და თავდადებული მებრძოლი. თვით ავტორიც რომანის გასწვრივ მრავალ აღგრძას ცდილობს სწორედ ასეთად წარმოგვიდგინოს არჩილ დადაშიანი:

„ზღვისფერი თვალები აქვს არჩილს, მეოცნებე. ბობრ სახეზე სინათლე უკრთის და მოსიყვარულე იერი უთამაშებს. ჯადოიანი მზერა აქვს. ხმა—გულითადი, დაუსრულებლად თავაზიანი. ს უ ლ ა რ ჰ გ ა ვ ს მ ე ბ რ ძ თ ლ ს“ (კურსივი აქაც და ქვევითაც ჩვენია. შ. რ.).

„თუმცა ამ გარემოებაში ერთი რომ კი არის მაინც საყურადღებო: არჩილს ამ მოვლენაზე დაფიქრების დროს ყოველთვის ენიშნება ხოლმე, რომ ის არ არის ისეთი, როგორც ნამდვილად უნდა იყოს, ან თვითონ მას რომ უნდა იყოს, და რომ მისდა უნებურად ხანდახან თავის თავს ღალატობს“.

„ასე გამოდის, რომ არჩილს საკუთარი ნებისყოფა არა აქვს და იგი შემთხვევასა და სხვის ნებაზე არის დამოკიდებული. მეტიც: ერთს აკეთებს, მეორეს კი ფიქრობს, ერთს გადასწყვეტს, სულ წინააღმდეგი კი გამოუდის“.

მეგობარი შალვა რამაძეც შემდეგი სიტყვებით მიმართავს არჩილს: „პროპაგანდისტობა რა შენი საქმეა“... და სხვ.

არჩილი შინაგანი ბუნებით არ არის რევოლუციონერი; მებრძოლის განწყობილებები მის სისხლსა და ხორცში ორგანიულათ არ არის შესული. ავტორის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ის „სრულიად მისდა უნებურად“ გარევოლიუციონერებული პიროვნებაა.

არჩილისებური პიროვნებები ბევრი ახსოვს რევოლუციონურ მოძრაობის ისტორიას. ასეთი ხალხი მხოლოდ მცირე ხნით იყვენ რევოლუციასთან, მუშათა კლასთან, შემდეგ კი ღალატობდენ მას და

ბურუუზია-თვითმპყრობელობის სამსახურში მიღიოდენ. სრულიად სამართლიანად შენიშნავს ავტორი არჩილის შესახებ: „... წლებიც ამ ნავს მიჰყვება არჩილი, ისე გაჰყვება იგი ცხოვრებასაც და იმ ნა-პირს მიადგება, რომ ელიც ბედზე უწერია, თუ კი არსებობს საღმე ნაპირი ამ ცხოვრებაში და მასზე დადგომა შესაძლებელია“ (კურსივი ჩვენია. შ. რ.).

არჩილი გაორებული პიროვნებაა. მაში ერთმანეთის საჭინაალ-მდეგო განწყობილებებია დაბუდებული. ისინი განუწყვეტლივ ებრძებიან ერთმანეთს.

რომანის გასწვრივ არსად არ მოსჩანს არჩილის რევოლიუციონერობის და მუშათა კლასისადმი ერთგულობის დამამტკიცებელი მოქმედებები, — პირიქით: რყევისა და გაუბედავობის კი ბევრგან.

ანდრო ქარივაძე ავტორს აქტიურ და ენერგიულ პიროვნებად ჰყავს გამოყვანილი. კონკრეტიულ „მიზეზად“ მისი პიროფესიონალურ რევოლიუციონერად გახდომისათვის, ავტორს მოცემული აქვს სატრუოს — ვარდო ვარაძის ძალით გათხოვება ციხის უფროს აბლანდიაზე. მაგრამ არსებითად შინაგანი, უშვალო მიზეზი ამ მოვლენის სულ სხვაა, უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი. სხვა პირობებშიაც ანდრო ქარივაძე პროფესიონალური რევოლიუციონერი გახდებოდა.

ლ. ქიაჩელი ანდრო ქარივაძეს მრავალგვარ განწყობილებებით გვაცნობს. მის პიროვნებაში ერთდაიმავე ღროს ვგრძნობთ შეუდრეკელ მებრძოლს და „გულჩილ“ აღამიანსაც.

ანდროს რევოლიუციონერობა აუცილებლათ გულწრფელი და პირდაპირია. ის მისი შინაბუნებიდან მომდინარეობს. ამიტომ მისი რევოლიუციონერობა უფრო გჯერათ, ვინემ არჩილ დაღაშიანის.

ბოლშევიკ ნიკოს მიუხედავათ იმისა, რომ რომანში მცირე ადგილი აქვს დათმობილი, მაინც არის მთავარი ნიშნებით დახასიათებული. პირდაპირობა, ენერგიულობა და შეუდრეკლობა — აი, მისი თვისებები.

გზადაგზა ლ. ქიაჩელი დანარჩენი გმირების პორტრეტებსაც გვიჩვენებს.

რომანის ზოგიერთი ეპიზოდები რეალურად მომხდარი ამბავია (მაგ. ქუთაისის ციხის გათხრა და სხვ.).

„სისხლში“ ზოგიერთი ადგილი „მაგრათ“ არის გაკეთებული. ასეთია მაგ. თავდასხმა მატარებელზე, ყაზახების და რევოლიუციონერების შეტაკება ტყეში, ანდრო ქარივაძის და დედის შეხვედრა ციხეში და სხვ.

სტილის მხრივ ლ. ქაბელი ჩვენი ულასიკოსების ტრადიციას აგრძელებს. მის ლექსიკონში იშვიათად შეხვდებით იმ „ხელოვნულ“ ციფიურ „ინტელიგენტურ“ და „წიგნურ“ სიტყვებს და გამოთქმებს (არქაზმს, ბარბარიზმს და სხვ.), რომელიც საკმაოთ ახასიათებს ჩვენს ზოგიერთ თანამედროვე მწერალს. მისი ნაწარმოებების სტილი მთლიანად გამართული და თანაბარია. აგრეთვე, ხშირად ლ. ქაბელს ნაწარმოებებში (განსაკუთრებით მოთხოვნებში) შეაქვს ლირიზმი.

ლ. ქაბელის სტილის შესატყვისია ნაწარმოებების არქიტექტონიკაც, რომელიც ხასიათდება უბრალოებით, გარკვეულობით და ლოლიკურობით. ლ. ქაბელის ნაწარმოებებში მკითხველი ვერ შეხვდება მოქმედების და მოვლენის დაუბოლოვებლობას, მოტივის უქონლობას და სიუჟეტურ სივრცეების აღრევას და სხვ.

ლ. ქაბელის თხრობითი კომპოზიცია აშენებულია ქრონოლოგიურ პრინციპზე, ნაწარმოებთა შინაარსი ვითარდება ევოლუციის გზით. აქ მისთვის მთავარი არის დინამიურობა, მოვლენათა სწრაფი მიმღინარეობა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ლ. ქაბელი ამ კომპოზიციურ პრინციპს ყველგან ერთგვარათ ვერ ხმარობს. ხშირად მის ნაწარმოებებში თხრობითი მიმღინარეობა ნელდება, მკრთალდება და მოსაწყენ ერთფეროვნებაში გადადის. მაგ. არ შეიძლება ითქვას, რომ „ტარიელ გოლუაში“ ტემპი მთელი რომანის გასწვრივ ერთი გამართულობით მიმღინარეობდეს. ალაგ-ალაგ რომანის ტემპი ძლიერ მოდუნებულია. ასევეა ზოგიერთ სხვა ნაწარმოებშიაც („სისხლი“ და სხვ.).

მეტაფორებს და შედარებებს ლ. ქაბელი მაინც დამაინც არ ეტანება. იქაც კი, საღაც ის მათ მიმართავს, ვერ გამოუდის ძლიერი და გამართული. უმეტეს შემთხვევაში ისინი „გაცვეთილი“ და შაბლონიურათ ქცეულია: „ძირს დახრილი თვალები მაშინალურად ასწია და ტარიელს შეავლო“... „ამ დილით განსაკუთრებულად მშვენიერი იყო ბუნება, კეკლუცი ჰქონდა ხალისიანი პირისახე და ახლად ტანაფეთქილ ქალწულისებრ მომხიბლავი გულუბრყვილობით ააშეარებდა თავისი ჯერ კიდევ გამოურკვეველ სურვილთ და ნდომათ“... „შემოდგომა ბამბის გახეთქილი კვირტიდან ამოსულ ქულასავით გამოიმზირებოდა“... („ტარიელ გოლუა“), „ოთახში ცაცა შემოფრინდა განასროლი ისარივით“... „არჩილს კვლავ საშინელი აზრები მაჯლაჯუნასავით ჰეგუდავდენ, ჰკრუნჩხავდენ, ჰკაწრავდენ“... „მის წინ რიონი აღლუმზე გამოსულივით შხულილით გარბოდა“... („სისხლი“) და სხვ.

ლ. ქიაჩელი ნაწარმოებში მომქმედ პირთა ფსიქოლოგიას ვერ იძლევა ღრმა და რთულ ფორმებში. მას უფრო ეხერხება მომქმედ პირთა განსაზოგადოებულ აბრისში გაშლა.

ერთი ნაკლიც, რომელიც კიდევ ახლავს „ტარიელ გოლუას“ და „სისხლს“ — არის მასიურ ფსიქოლოგის მოუცემლობა, მომქმედი მასის განწყობილებების ფართე უონზე გამოუმზეურებლობა.

ლ. ქიაჩელს არ ეხერხება აღწერებიც. ამიტომ „ტარიელ გოლუაც“ და „სისხლიც“ უმეტესათ დიალოგებზე აშენებული...

„ტარიელ გოლუა“-ს და „სისხლი“-ს ავტორი ჯერ კიდევ არ არის ორგანიულათ მოსული საბჭოთა ცხოვრებასთან. მას ჯერ კიდევ რაღაც ეზიდება უკან. თვითონაც რევერსია. საჭიროა მან მეტის გაბეჭულებით დასწყვიდოს წარსულთან დამაკავშირებელი ძალები. ეს მას შეუძლია.

ლ. ქიაჩელს ყველაზე მეტი პირობები და შესაძლებლობა აქვს („ძველი“ მწერლებისაგან) გახდეს პროლეტარული რევოლუციის ღირსეული და ნამდვილი თანამგზავრი. ჩვენ ველით ამას მისვან.

ბ ი ბ ლ ი რ ა ფ ი ა

ელიზბარ პოლუმორდვინოვა — „შაშილარ“.

სახელგამი 1929 წ.

ელიზბარ პოლუმორდვინოვა სრულიად სამართლიანად დაიმსახურა პროლეტარულ პროზაიკის სახელწოდება; ამას ერთხელ კიდევ ადასტურებს სარეცენზიო წიგნი.

პროლეტარული მწერლები იზრდება ხარისხობრივად. ელ. პოლუმორდვინოვის „შაშილარ“ პროლეტარულ პროზის ხარისხობრივი ზრდის გამომსახველია. წიგნში მოთავსებულია ოთხი მოთხრობა, რომელიც უახლოეს დროში დაიბეჭდენ ჩვენს უურნალებში.

მოთხრობა „შაშილარ“ ეხება სვანეთის ცხოვრებას. ავტორს უნდა მოგვცეს ბათირის სახით ახალი ადამიანი, რომელმაც უნდა დაარღვიოს ძველი სვანეთის ტრადიციული ყოფა.

ავტორს ძლიერ უყვარს თავისი გმირი. მას სწამს, რომ ბათირი ახალი ადამიანი უნდა იქნეს. აი როგორ მიმართავს მას:

— „ბათირ, ბათირ!

— რა გინდა, ვინ ხარ.

— როგორ თუ რა მინდა, მე ავტორი ვარ, რას შვები, კაცს
ჰქონავთ ადამიანის მიერთება?

— ღირსია და ველავ.

— ბათირ, ეგ შენ არ შეგუენის. მთელი თემი შენ შემოგცერის, მაგალითს შენგან იღებს და შენ რომ კაცი მოჰკლა, რა უნდა სოქვან, თითონ უარესს იზამენ.

— არა, სასიკვდილო უნდა მოკვდეს, ვინც რა უნდა სოქვას, თითონ ხომ უარესს იზამდენ.

— ხანჯალი ჩააგე ბათირ, ნუ გავიშეყდება, რომ შენ ჩემი სურვილების ამსრულებელი ხარ. მე მინდა შენ ახალ ადამიანად გამოგიყვანო, მთელ თემში პირველობა მოგანიჭო და შენ კი სხადიხარ იმას, რასაც ყოველი სეანი ჩაიდენს“.

მაგრამ ავტორს უნდა მოეხსენებოდეს, რომ ახალ ადამიანის მოსაცემად მარტო ისეთი დიალოგი არაა საკმარისი. საჭიროა უფრო ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი. ნუ თუ ახალ ადამიანისათვის მარტო ის კმარა, რომ მან სასიკვდილოდ გამზადებული ხანჯალი ქარქაშში ჩააგოს? რა თქმა უნდა არა.

ამხ. პოლუმორდვინოვს ბათირის მოქმედება სულ სხვა მხრივ უნდა გაეშალა. ბათირს თავისი მოქმედება არა აქვს შეგნებული. მართალია ის დგამს რადიოს, იბრძვის სოფლის გათვითცნობიერებისათვის, მაგრამ ყოველივე ეს რაღაც მექანიკურად გაკეთებული საქმის შთაბეჭდილებას სტოვებს. აქ ავტორის მოქმედება უფრო სხანს, ვიდრე ბათირის.

მეორე მოთხრობა „წარმოდგენა“-ში მეტად საინტერესო მასალაა გადმოშლილი. იქ არის მოცემული წითელი არმია, როგორც შკოლა, საიდანაც დაბრუნებული არმიელები სოფლად საუკეთესო კულტურული ძალები არიან.

აქვე მოთავსებულია მეტად საინტერესო მოთხრობა „რკინის ძები“, მაგრამ მასში ყოველივე არაა ნათლად მოცემული. ავტორი ეხება ლექხუმელ გლეხთა აჯანყებას. მოთხრობაც ამ ფონზეა გაშლილი. ავტორი წერს შესავალში „ის მთები, საღაც აჯანყება ხდებოდა მე ფეხით გადამივლიაო“, ყველამ უნდა იკოდეს რომ ექსკურსანტივით გავლას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, არამედ საჭიროა იმ თემის შესწავლა, რომელზედაც მოთხრობას სწერ.

ავტორის საყურადღებოდ უნდა აღინიშნოს ერთი ნაკლი. როგორც ვიცით, ყოველ კუთხეს აქვს თავისი დიალექტი, რასაც მწერალი მისდა უნებურად გვერდს ვერ აუხვევს. მაგრამ ამხ. პოლუმორდვინოვს მისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია. „შაშშილარ“-ში მომ-

ქმედნი სვანებია და სვანურ დალექტის ნასახიც არ სჩანს. ასევე
„რკინის ძმებში“.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის გამოცემა გამართლებულია. „შაშშილარი“-ს სახით პროლეტ. პროზას ერთი სუკეთესო წიგნი მოემატა, რაც საერთოდ პროლეტარული პროზის ზრდის და მამტკიცებელია.

მ. მელაძე.

ლ. ტოლსტოი — „ჰაჯი-მურატი“.

სახელგამი. გვ. 355. ფასი რვა აბაზი.

„ჰაჯი-მურატი“ ტოლსტოის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ. ფორმის მხრივ: აქ აღარ არის ტოლსტოისთვის დამახასიათებელი მრავალსი-ტყვაობა, „ჩამატებული ადგილები“ და სხვ., რომელიც ახასიათებს ზევრ მის ნაწარმოებს. აგრეთვე ნაწარმოების შინაარსი მეტის-მეტად ნათლად და გარკვეულად არის მოცემული.

ამ მოთხრობის თემათ ტოლსტოის აღებული აქვს მთიულების ბრძოლა რუსეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. კავკასიის მთიულები მრავალი წლების განმავლობაში იცავდენ თავიანთ დამოუკიდებლობას, რომლის მოსპობასაც ძალით ცდილობდა თვითმპყრობელური რუსეთი.

მოთხრობის მთავარ გმირათ გამოყვანილია დიდი ენერგიის, გამ-ბედაობის და თავმოყვარეობის პატრონი მთიელი ჰაჯი-მურატი.

გზადაგზა ტოლსტოი გვაცნობს თვითმპყრობელური რუსეთის უმაღლესი მოხელეების და თვით მეფის ფუქსავატურ ცხოვრებას.

საერთოდ „ჰაჯი-მურატის“ ქართულად გამოცემა დადებითი მოვლენაა. მაგრამ აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ სახით ამ წიგნის გამოცემა არ დააკმაყოფილებს ახალგაზრდა მუშურ-გლეხურ მკითხველებს, რომლისთვისაც უშუალოდ არის ის დანიშნული. ასეთი გამოცემებისათვის აუცილებელია წამდლვარება წინასიტყვაობის, რომელშიაც გარკვეული იქნება ავტორის შემოქმედება და დახასიათებული იქნება ესა თუ ის ნაწარმოები. სახელგამის მიერ გამოცემულ არა ქართველ ავტორის არც ერთ ნაწარმოებს არა აქვს ასეთი წინასიტყვაობა, რაც რასაკვირველია ნაკლად უნდა ჩათვალოს.

სახელგამმა მომავალში მაინც უნდა გაუწიოს ანგარიში თავის ახალ მკითხველებს და მისთვის შესაფერის ფორმებში გამოსცეს ნაწარმოებები.

თარგმანი გვარიანია. შეიძლებოდა მისი უკეთესად თარგმანი.
წიგნი ტეხნიკურად კარგათ არის გამოცემული.

ეროვნული
კულტურული
ელი.

აპ. ჰყონი „ნიკოლოზ ბარათაშვილი — პოეტი და მოქალაქე“.

გამ. „შრომა“ 1929 წ.

ქართული ლიტერატურის წარსულის კვლევა-შეფასება ჯერ კი-
დევ იდეალისტურად და ნაციონალისტურად განწყობილ მკვლევა-
რების და კრიტიკოსების სამფლობელოს წარმოადგენს. იმპრესიონი-
ზმი და პირადი განწყობილებები ეხლაც ფესვებმაგარია ქართული
ლიტერატურის ისტორიის დაწერის დროს, წინააღმდეგ პირდაპირ და
გარკვეულ კლასიურ შეფასებისა. მდგომარეობის ასე დატოვება შე-
უძლებელია. ქართული ლიტერატურის ისტორიასაც მტკიცეთ უნდა
შეეხოს მარქსისტული ხელი. რუსეთში ამ მხრივ საკმაოდ ბევრი რამ
არის გაკეთებული. ჩვენში კი უკანასკნელ ხანებში იდგმება ამ მხრივ
პირველი ნაბიჯები.

ეხლახან გამოსული აკ. ჭყონიას შრომა „ნიკოლოზ ბარათაშვი-
ლი — პოეტი და მოქალაქე“ დადგებითი მოვლენაა. ის წარმოადგენს
პირველ ცდას სოციალ-კლასობრივი თვალსაზრისით განხილვისა ნი-
კოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების.

აკ. ჭყონია ნ. ბარათაშვილის შემოქმედების მოტივებს სამართ-
ლიანად უკავშირებს იმ ისტორიულ-საზოგადოებრივ პირობებს, რო-
მელიც შეიქმნა საქართველოში თვითმპყრობელურ რუსეთის დაყა-
რების შემდეგ. თავად-აზნაურობის ერთი ნაწილი საბოლოოთ შეუ-
რიგდა თვითმპყრობელურ რუსეთს და ამ გზით დაისახა კარიერა
ცხოვრებაში, ხოლო თავად-აზნაურობის მეორე ნაწილი კი წარსუ-
ლით იკვებებოდა, მისტიროდა ძველ საქართველოს. ნ. ბარათაშვი-
ლიც განსაკუთრებით თავად-აზნაურობის ამ უკანასკნელი ნაწილის
განწყობილებების გამომხატველია: „ბარათაშვილის ტკივილი — მისი
წოდების იმ დროინდელი ტკივილია, მისი ურვა — საზოგადო ურვაა“.
„ნ. ბარათაშვილმა შესძლო საკუთარ წოდების გრძნობის სიღრმეში
ჩაწილომა და მისი მხატვრულად მოცემა. ეს გძნობაა — გრძნობა ურ-
ვის და წუხილის, გრძნობა კრულვისა და წყევლის. აქ მან, ისე, რო-
გორც ჯერ არც ერთმა მგოსანშა, შესძლო გადაეშალა ჩვენს წინ
პარაზიტად ქცეული, ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილ კლა-
სის მომაკვდაობის სურათი“.

ა. ჭყონია ვრცლად ჩერდება ბარათაშვილის პესიმიზმის სოციალურ საფუძვლების გარკვევაზე. არ სტოვებს უყურადღებოთ ბარათაშვილის შემოქმედების მოტივების ცალ-ცალკე განხილვასც და სხვ.

ამ შრომის ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ავტორს ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული ფორმის საკითხებისადმი, არ აქვს განხილული ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ფორმალური მხარე (მარტო ენის განხილვა არაა საკმარისი). აქ უსათური შეიძლებოდა მარქსისტული დებულების გამოყვანა შესახებ იმისა, თუ ნაწარმოების ფორმალური მხარე, როგორ არის შესატყვისი მწერლის სოციალურ-კლასიური ბუნების.

ავტორს არ შეიძლება დავეთანხმოთ იმაშიაც, რომ თითქოს პროლეტარულ მწერლებს შორის მასიურად იყოს გავრცელებული უარყოფა კლასიკოსების, ლიტერატურული მექანიზრების. ამ მხრივ ზოგიერთ ამხანაგებს შორის ქონდა აღგილი გადაჭარბებას, მაგრამ ის ცალკეული და უმნიშვნელო ამბავი იყო. დღეს პროლეტარული მწერლები კლასიკოსებისაგან სწავლობენ ყოველივე იმას, რაც ჯანსაღი და მისაღებია თანამედროვეობისათვის.

გარეგნულათ წიგნი კარგათ არის გამოცემული.

წიგნის ფასი არ შეიძლება ჩაითვალოს მაინცდამაინც ხელმისა-წვდომათ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, რომლისთვისაც უპირვე-ლეს ყოვლისა დანიშნულია წიგნი.

ჯანი.

შალვა რადიანი „ლიტერატურული პორტრეტები“.

(წიგნი პირველი) სახელგამი 1929 წ. გვ. 205. ფასი 1 გ. 30 კაპ.

თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკის სისუსტეზე ლაპარაკი ჩვეულებრივ და ყოველდღიურ მოვლენად გადაიქცა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკების ლიტერატურულ-მხატვრულ ცხოვრებაში. დღეს კრიტიკის ჩამორჩენას მხატვრული ლიტერატურიდან ერთგვარათ საკმაო სიმწვავით გრძნობენ რუსეთშიაც, უკრაინაშიაც და სხვ. მთელი რიგი წერილებისა, რომელიც ამ საკითხის ირგვლივ იწერება. ერთხმად აღვიარებს ამ მოვლენას. უკეთესი მდგომარეობა არც საქართველოშია. ჩვენში მარქსისტული კრიტიკის სფეროში უმთავრესად მუშაობენ ახალგაზრდები პროლეტარულ მწერალთა რიგებიდან.

ახალგაზრდა მარქსისტ-კრიტიკოსებს შორის ყურადღებას იქცევს ამხ. შ. რადიანი, რომლის „ლიტერატურული პორტრეტები“ (წიგნი პირველი) ეხლახან გამოსცა სახელგამმა.

ამხ. შ. რადიანის წერილები, რომელიც ამ წიგნშია მოთავსებული, არ ატარებს საერთო ხასიათს, არამედ მათში მარქსისტული თვალსაზრისით განხილულია პერსონალურად მწერლები (გ. ტაბიძე, სამანშიაშვილი, მიხ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, დ. შენგელაია, ს. ეული, ი. ვაკელი, ა. მაშაშვილი, კ. კალაძე, კ. ლორთქიფანიძე და ე. პოლუმორდვინოვი).

ამ სახის და ხასიათის წიგნი თანამედროვე მწერლების შესახებ პირველი ცდაა ჩვენში. ასეთი წიგნი ძლიერ გაუადვილებს ჩვენს შუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას კრიტიკულათ შეისწავლოს თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრება და მისი წარმომადგენლები.

„ლიტერატურულ პორტრეტებს“, რომელიც პირველ სერიოზულ ცდას წარმოადგენს თანამედროვე ქართული ლიტერატურის ვითარების შესწავლის საქმეში, თან ახლავს „ჩავარდნებიც“, ნაკლიც. ზოგიერთ მათგანს ჩვენ აღვნიშნავთ:

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ამხ. შ. რადიანი მწერალს უფრო საერთოდ იხილავს და ამიტომ ზოგჯერ არ აკეთებს „უდარენიას“ მწერლის იდეოლოგიაზე, გარკვეულათ არ საზღვრავს თუ რომელი კლასის სოციალური ტენდენციების მატარებელია ესათუის მწერალი (ასეთია, მაგ. წერილები გ. ტაბიძის, დ. შენგელაიას და სხვ. შესახებ).

ამხ. შ. რადიანი ხშირად გადაჭარბებული „ობიექტივობის“ დაცვას ცდილობს მწერლის განხილვის დროს და ამიტომ ზოგჯერ ეპარება მხედველობიდან ამათუმ მწერლის არსებითი, დამახასიათებელი მხარე (ასე, მაგ. არ აღნიშნავს მკვეთრათ მიხ. ჯავახიშვილის რეაქციონერობას).

ამხ. შ. რადიანი ზოგიერთ მწერალს „შებრალებით“ იხილავს. ეს კი მარქსისტულ კრიტიკას არ სჩვევია. ის ყოველთვის კლასიური თვალსაზრისით უდგება მოვლენას (მაგ. როგორ შეიძლება დავიჯეროთ ტ. ტაბიძის და ვ. გაფრინდაშვილის „თანამგზავრული“ ტენდენციები).

„ლიტერატურულ პორტრეტებს“ არ აქვს დართული შესავალი, რაც რასაკვირველია აძნელებს გაეგებას იმისა, თუ რა პირობებში იწერებოდა ისინი და რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა ავტორი, როდესაც სწორედ დასახელებულ მწერლებს იხილავდა და არა სხვებს.

ამხ. რადიანის წიგნს მრავალი დადებითი მხარეც აქვს, რასაც რასაკვირველია, ვერ ჩრდილავს აღნიშნული ნაკლი.

საქირო და სასაწყისო მუნიციპალიტეტის გვერდის მიერ გვითხოვთ

საერთოდ „ლიტერატურული პორტრეტები“ საჭირო და გებლი წიგნია, ის მარქსისტულ-პროლეტარული კრიტიკის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამომხატველია ჩვენში.

წიგნი გამოცემულია ლამაზათ. ფასი მეტათ ძვირია, რაც რასა-კვირველია შეუშლის ხელს მის გავრცელებას მუშურ-გლეხურ ახალ-გაზრდობაში, რომელიც ასე გატაცებით ეტანება ასეთი ხასიათის წიგნებს.

გ. ს.

პ. მირიანაშვილი „ქართული სიტყვიერების განარკვი“ (დასაწყისიდან ჩვენს დრომდე)

ტფილისი 1929 წ. გვ. 220 VII. ფასი 2 მან. 50 კაბ.

პ. მირიანაშვილის შრომა — „ქართული სიტყვიერების განარკვი“ მიზნათ ისახავს გაარკვიოს ქართული მწერლობის ვითარება, ეროვ-ნული, ისტორიულ მოტივებთან და მოვლენებთან დაკავშირებით, უძველეს დროიდან დაწყებული დღევანდლამდე:

მაგრამ ეს შრომა ვერ ამართლებს მიზანს, ვინაიდან წარმოა-დგნენს სრულ დანერულობას, ეკლექტიზმს. ავტორს არ გააჩნია კვლე-ვის ერთიანი სერიოზული მეთოდი, რომლის ძალითაც მოვლენების და მხატვრული ნაწარმოების შეფასება სწორად სწარმოებდეს.

მირიანაშვილის ეს შრომა ისეთი რიგის ნარკვევია, რომლის მსგავ-სათ მუდამ ირჩეოდა ქართული სიტყვიერება, უფრო უკეთ, ეს შრომა სრული კომპილაციაა, ყველა იმ შრომებისა და იმ შეხედულებების, რომელიც ქართული ინტელიგენტურ, იდეალისტურ კრიტიკას გამო-უმუშავებია. აქედან ცხადია ნარკვევს აკლია, ის რაც მთავარია, ქარ-თული ლიტერატურის, სიტყვა კაზმული მწერლობის მეცნიერული მარქსისტული შეფასება.

ავტორი ყოველ მწერალს და ყოველ მხატვრულ ნაწარმოებს იმ თვალსაზრისით უდგება თუ რა საუნჯე შემატა ამა თუ იმ მწერალმა ქართული ხალხის ეროვნულობას თუ რა „სიკეთისა და სიტურფის“ იდეები შემოიტანა ქართულ სიტყვიერებაში.

წიგნი არა დაზღვეული მრავალი ობივატელური და ფილის-ტერული მოსაზრებებისაგან, რომელსაც მხოლოდ სიძველის სუნი უდის; ასე მაგალითად, იქ სადაც წიგნში ლაპარაკია პროლეტარული მწერლის ა. მაშაშვილის შემოქმედებაზე, რომელიც ავტორს რევო-ლიუციონური მწერლობის უნიჭიერეს წარმომადგენლათ მიაჩნია სწე-რია — „ქართული გენიის რასობრივმა თვისებამ აქაც იჩინა თავი“. რასობრივი თვისებების ძებნას ავტორი იქამდე მიყავს, რომ იგივე

მაშაშვილი „ქუჩისა და ბრბოს პოეტი“ ეროვნულ პოეტათ მიაჩნია
და მასში ეძებს სწორეთ იმას, რაც მაშაშვილის შემოქმედებაში ითქვა-
ლოგიური შეცდომაა და მარცხი.

ქველებურათ მოაზროვნე ავტორს რასაკვირველია ახალს ვერა-
ფერს მოსთხოვ, რადგან ის თავისი საზომით უდგება მოვლენებს. ასე
მაგალითად, თურმე სოციალისტური კულტურის განსავითარებლად
პროლეტარული მწერალთა კავშირი ყოფილა დაარსებული.

სცნობს რა ავტორი თავისი შეხედულებებით ჩამორჩენილობას
ერთ მეტად საინტერესო ხერხს მიმართავს. ნაწარმოებების შინა-
არსის გადმოცემების შემდეგ სადმე სოციალიზმის ან რევოლუციის
შესახებ უადგილო ფრაზებს მიაკერებს — „სოლომონ მეჯღანუაშვი-
ლი მატურია, რომელიც არდაზიანმა დაუბრუნა საქართველოს ბურ-
უაზიას მის სიცოცხლეშივე, მაგრამ ეხლა ის ბურეუაზია პატრონს
ჩაბარდა, როგორც სოციალიზმისაგან დამარცხებული. აქ აშკარაა,
უკანასკნელი სტრიქონები ზედმეტია.

ნარკვევის ერთი დიდი ნაკლი იმაშია, რომ ის არ ემყარება ერთ
რომელიმე გარკვეულ მეთოდს. აქ არეულია ეროვნული, ისტორიული
მომენტები ისე, რომ ყოველი მწერალი, ყოველი მოვლენა სხვადა-
სხვანაირად შეფასებულია.

ჭიგნის ერთი დიდი ნაწილი, რომელიც ძველი სიტყვიერების ის-
ტორიას არკვევს უფრო მეტად ქართველ მეფეების ისტორიაა, ვიდრე
სიტყვიერების ნარკვევი. აქ მოთხრობილია არა ქართული კულტურის,
სიტყვა კაზმული მწერლობის განვითარების გზებზე, არამედ მეფე-
ების ცხოვრებაზე და მაშინდელი დროის ისტორიულ ბრძოლებზე.
ავტორი ამას რასაკვირველია განგებ არ სჩადის, რადგან წინააღმდეგ
იმ შეხედულებისა, რომელიც ამტკიცებს; რომ ქართული კულტურის
და სიტყვიერების კერა მონასტერი იყო და არა დარბაზი, აქედან
ცხადია თუ რად არ აკლია წიგნს სადარბაზო ანეგდოტებიც.

ზოგი მნიშვნელოვანი ხანის და ეპოქის დასახასიათებლად ავტო-
რი მიმართავს იმ ხანის პოლიტიკურ ვითარებას, რომ სოციალური
ცხოვრების მოძრაობის ფონზე გამოარკვიოს მწერლობის მაშინდელი
ხასიათი და მთავარი ტენდენციები, მაგრამ ეს ისე უსისტემოთ და
დაბნეულათ ხდება, რომ მას არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება
ეწოდოს სოციოლოგიური რკვევის ცდა.

ავტორის მოსაზრებები, როგორც ეპოქების საზოგადოებრივია
ცხოვრების დახასიათებაში და ძირითად ლიტერატურულ მოვლენების
გამოკვლევაში, ისე მწერლობის და მწერლების ნაწარმოების ანა-
ლიზმიაც მჭლე და ღარიბულია.

ყველან ძველი, ტრადიციული მოსაზრებებია „ვეფხის
ტყაოსანი“ გენიალური ნაწარმოებია. რომელიც
ველი გენიაა, რომელიც ადამიანურ ცხოვრების
და მისწრაფების საგნათ ისახავდა სიტურ-
ფის, სიკეთის და სიმართლის იდეალებს, ამას და-
უმატეთ ისიც, რომ ის გლახაკთა შემბრალებელი იყო და სხვა.

აღ. ჭავჭავაძე რომანტიკოსი პოეტი იყო, გრ. ორბელიანი „მუშა
ბოჭულაძის“ ავტორი.

მირიანაშვილი თავის წიგნში ერთ ძლიერ მარტივ ხერხს მიმარ-
თავს. ქრონოლოგიურად იხილავს მწერლებს, ყვება მათ ბიოგრაფიებს
და მათი ნაწარმოებების შინაარსს. იგი მოკლებულია მოვლენების და-
ფაქტების შეფასების საერთო შეჯამების განზოგადოების უნარს და
აჩვენარათ ერთ მთლიან სისტემაში მუქცეულ შეხედულებების წამო-
ყენებას, რაც დილეტანტური აზროვნების შთაბეჭილებას სტოვებს.

ილია ჭავჭავაძე მირიანაშვილს მიაჩნია ისეთ მწერლათ, რომე-
ლიც მაშინ „გამოვიდა ხალხის სამსახურისათვის“, და
სხვ. ეს შეხედულება რასაკვირველია ახალი არ არის. მარქსისტული
ქრიტიკა აქ სხვანაირ დიფერენციაციას ახდენს. ჭავჭავაძეს იხილავს,
როგორც არა ქართველი ხალხის, არამედ თავაღ-აზნაურული და ლი-
ბერალურ ბურჟუაზიულ, ერთ გარკვეულ სოციალურ ფენის წარ-
მომაღენელს.

ავტორი არ სცილდება ტრადიციულ შეცდომებს ცალკე ნაწარ-
მოების გარჩევის დროსაც. ასე მაგალითად, განდევილი მას, არა სო-
ციალური მოვლენის გამომხატველად მიაჩნია, მაშინ როცა განდე-
ვილში წამოყენებული იდეა გაგრძელებაა მისივე საპროგრამო „მგზა-
ვრის წერილების“ იდეიისა.

ტრადიციულ-ობივატელური შეხედულება უკიდურესობამდე მი-
ყანილია, სადაც აკაკი წერეთლის შესახებაა ლაპარაკი „აკაკი
წერეთლის მუზა პეპელასავით დაფრინავს სა-
ქართველოს ბალნარის სხვადასხვა ყვავილს,
მაგრამ ყველაზე უფრო თავს დაფრინალებს სა-
ტრთოს“ და სხვ. ეს კიდევ არაფერი, წიგნში ერთგან ასეთი რამეც
სწერია: „ა. წერეთელი არ არის ქართველი ხალხის საზოგადოებრივი
ცხოვრების მემატიანე, როგორც ჭავჭავაძე და სხვ.“ გამოდის რომ
ა. წერეთლის პატრიოტული ლირიკა არ ყოფილა საზოგადოებრივ
ცხოვრების მონაწილე ძალა, რაც სრული სიყალება.

ნარკვევში გამოთქმულია ერთი მეტად კურიოზული შეხედულე-
ბა, — „რევოლიუციონური გრძნობის არა ნაკლები შემტანი სოფ-

ლის მშრომელთა მასსებში იყო და შეიძლება ეხლაც იყოს კაგ-შირი, რომელიც ქალაქელ მუშებს სოფელთან აქვთ“. კომენტარიები ზედმეტია. ლიტერატურული ჩამორჩენილობა პოლიტიკურ ჩამორჩენილობასაც ამჟღავნებს. მესამე დასი მირიანაშვილის აზრით ეგნატე ნინოშვილის საფლავზე აღმოცენებულა და ისიც 1904 წელს (გვ. 191).

მირიანაშვილის ობივატელური შეხედულებები უკიდურესობად-დეა მისული იქ, სადაც ი. გრიშაშვილის შემოქმედებას არჩევს — „მის ქნარს ახასიათებს უმთავრესად მშვენების ტრფობა მზიური ღი-მილი, და სიცოცხლის სიხარული“, „ფორმის ჰაეროვნება“ და სხვა. არც მეტი არც ნაკლები, აი გრიშაშვილის პორტრეტი.

მირიანაშვილი ნარკვევის ბოლოში ახალი მუშათა რევოლუციონურ მოძრაობაში აღმოცენებული მწერლობას და მის წარმომადგენ-ლებს ეხება, მაგრამ როგორც არსად აქ სრული დამახინჯებაა მუ-შათა მწერლობის ისტორიისა, არა სწორი კლასიფიკაცია და ფაქ-ტების აბნეულობა.

მუშათა კლასის ჭირვარამის პოეტებათ მას დავითაშვილი, ჭუჩი-შვილი, ევლოშვილი და მაშაშვილი მიაჩნია, რაც ძლიერ არეულია და არაა მართალი. აქ პატივცემულ მკვლევარს ფაქტების უფრო მეტი ცოდნა და მათი მოხმარების უნარი უნდა გამოეჩინა. მუშათა კლასის მწერლობას დიდი ისტორია აქვს და მას სათანადო კლასიფიკაცია სჭირდებოდა.

მირიანაშვილის ეს ქართული სიტყვიერების განარკვი მეტად მო-ძველებული შეხედულებების წიგნია, რომელიც თანამედროვე ახალ მკითხველს ბევრს ვერაფერს მისცემს.

ალ. სულავა.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

გ3.

ფრ. ნაროუშვილი — ხოლტი ეწევა აგიტაციას	1
ელ. პოლუმორდვინოვი — გადანერგილი (გაგრძელება)	5
პ. სამსონიძე — ლექსი	17
პ. ჩხილვაძე — დაბინდებიდან გათენებამდის	19
კ. ბობოხიძე — სამშობლო	30
კონსტ. ლორთქიფანიძე — ახალი გლეხები	32
ვ. ლუარსამიძე — გეგმიანი შეტევის პოლიტიკისათვის	54
გ. ნატროშვილი — ლირიკული „წყალდიდობისა“ და კლასიკო-სებისაგან სწავლის შესახებ	63
შ. რადიანი — ლეო ქიაჩელი	79
ბიბლიოგრაფია. — ე. პოლუმორდვინოვის, ლ. ტოლსტოის, ა. ჭუკიას, შ. რადიანის და პ. მირიანაშვილის წიგნებზე	85



ବ. ମ. ଲ୍. ବ. ଅନ୍ତରାଳରେଖାପତ୍ରରେ 1-ଲି ବ୍ୟାମଦା, ପଲ୍ଲେବାନ୍ଧୁରେ ଗାନ୍ଧିନୀରେ № 91.

ମତାଙ୍ଗାରଲିଙ୍ଗି № 1343

* ଶ୍ଵେଚ୍ଛାକାରୀ ନଂ 1920.

ମୁଦ୍ରାଯାତ୍ରା ନଂ 1000.